# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 30 ნოემბერი 2000 №231 (1253) | ფასი 50 თეთრი




ლეიტონ ჰიუიტი

## ხიზანიშვილის კონტრაქტი: უდავოდ უვადო

## ვის უნდა ბევრი ათასი?

— რამდენწლიანი კონტრაქტი აკავშირებს საქართველოს ნაკრების 19 წლის მცველს თბილისის „ლოკომოტივთან“?

ა: ერთწლიანი; ბ: ერთ ან ორწლიანი; გ: რა ჟურნალისტების საქმეა; დ: არ აქვს კონტრაქტი.

თვეზე მეტია, საქართველოში ამ კითხვის სწორ პასუხს ეძებენ.

ამ ბოლო ხანს ჩვენშიც დანერგილი პოპულარული ინგლისური თამაშის (ვის უნდა მილიონი) ანალოგს აგერ უკვე ას წელიწადს კიდევ უფრო პოპულარული ინგლისური თამაშის (ფეხბურთი) ქართველი მესვეურები გვთავაზობენ.

აქამდე პასუხის ოთხივე ვარიანტი მოისინჯა:

აკაკი ჩხაიძე, რკინიგზის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე და თბილისის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი: ერთ ან ორწლიანი.

ტარიელ ღვაბერიძე, ჩხაიძის მოადგილე და „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტი: ერთწლიანი.

რევაზ ძოძუაშვილი, „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი: რა ჟურნალისტების საქმეა.

და თავად ზურაბ ხიზანიშვილი, „ლოკომოტივის“ მცველი: არ მაქვს კონტრაქტი.

რაკი თამაშის მთავარი პირობა არ შესრულდა, ანუ კონტრაქტიან თუ უკონტრაქტო ხიზანიშვილს ლონდონის „არსენალში“ გადასვლაში ხელი შეეშალა, მავანმა ბევრი ათასი ვერ მიიღო — პასუხის ყველა ვარიანტი არასწორი გამოდგა და გაჩნდა ახალი — უვადო.

— შეგიძლიათ, ორი სიტყვით გვითხრათ ხიზანიშვილის კონტრაქტის პირობა — ვკითხეთ გუშინ რკინიგზული კლუბის ვიცე-პრეზიდენტს ტარიელ ღვაბერიძეს.

— ჩვეულებრივი პირობაა, ანუ ისეთივე, როგორიც აქვს ყველა ფეხბურთელს, მაგრამ ერთია, არ წერია საკონტრაქტო ვადა.

— ესე იგი, ვადა დაკონკრეტებული არ არის?

— ხიზანიშვილმა არ იცოდა, ჩვენგან როდის წავიდოდა. არ იცოდა, ერთ წელიწადს დარჩებოდა, სამს თუ ოთხ თვეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მას გამოუჩნდებოდა კარგ კლუბში გადასვლის შანსი, ჩვენ გუნდიდან უპრობლემოდ ვუშვებდით.

— დარწმუნებული ხართ პასუხის სისწორეში, ასეთი კონტრაქტი ჩვეულებრივია?

— რა თქმა უნდა. შეიძლება არსებობდეს უვადო ხელშეკრულება, ეს ჩვეულებრივი ამბავია და ეს კონტრაქტიც ისეთივეა, როგორიც აქვს ყველა ფეხბურთელს, ამიტომაც ხიზანიშვილი „ლოკომოტივის“ წევრად ითვლება.

— ესე იგი, კონტრაქტი ჩვეულებრივია, მაგრამ მასში ვადა არ არის მითითებული?

— ვადა არ არის მითითებული. ჩვენ პირობა გვქონდა, რა დროსაც გუნდი გამოუჩნდებოდა, ხელს არ შევუშლიდით, პირიქით, შევუწყობდით.

ჩაკირკიტება ახალი თამაშის სტილია, მაგრამ ხედავთ, რა სასარგებლოა. აჰა, ბატონო, „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი თავკაცისგან შევიტყვეთ, რომ ხიზანიშვილის კონტრაქტში ვადაზე კრიტი არ არის დაძრული.

რა გამოდის?

„ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ უვადო კონტრაქტის პატრონ ზურაბ ხიზანიშვილს პირველივე კარგი კლუბის გამოჩენისთანავე უშვებდა და ხელს არათუ უშლიდა, უწყობდა კიდეც.

ლონდონის „არსენალზე“ კარგი კლუბი ბევრი არაა და „ლოკომოტივს“ მათი რიგი არ დასდგომია. მაგრამ ხიზანიშვილი მაინც ვერ გადავიდა „არსენალში“.

როგორც ფეხბურთელს პირადმა აგენტმა ათოლ სტილმა აცნობა, ქართული მხარე იმდენს ითხოვს შენს სანაცვლოდ, მოლაპარაკებას აზრი ეკარგებაო.

ვინ ჩაშალა ტრანსფერი — კიდევ ერთხელ ვკითხულობთ და რაკი კლუბის და ფეხბურთელის პასუხები ერთმანეთს არ ემთხვევა, ალავერდს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან გადავდივართ.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## 6:0 და ხუთი თითი სამპრასის ლოყაზე

დიდ პიტ სამპრასს ყველას თვალწინ ალიყური აჭამეს: ლისაბონში მიმდინარე არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატზე — „მასტერსის თასზე“ 19 წლის ლეიტონ ჰიუიტმა სახელოვანი მეტოქე არ დაინდო და პირველ სეტის 7:5-ის მერე, მეორეში 6:0 აკადრა.

სამაგიეროდ, „პისტოლ პიტის“ მემკვიდრედ შერაცხულმა მარატ საფინმა, მართალია დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დიდი ნაბიჯი გადადგა სეზონის ბოლოს კლასიფიკაციის სათავეში მოსაქცევად და მორიგი რეკორდის დასამხობად.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

**გუშინ**

**წითელი ჯგუფი**

პიტ სამპრასი (3, აშშ) — ალექს კორეჩა (7, ესპანეთი) 7:6 (7:2), 7:5; მარატ საფინი (1, რუსეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) 6:4, 6:4

**მწვანე ჯგუფი**

ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — მაგნუს ნორმანი (4, შვედეთი) 4:6, 7:5, 6:1

## რა ღირს შაყირი?

*ვიდრე რუსთაველი ალექსანდრე ბუკია „სინათლეზე“ არბიტრ ზურაბ ანიაშვილს ეშაყირებოდა, ისევ მთვრალი ხომ არ ხარო, თსუ-ს მეკარე კონსტანტინე გუგუნავა მის მაგინებელ გორელ ქომაგებთან მარტო შებმას ლამობდა. ამასობაში ბათუმში „დინამო“ იგებდა, მცხეთაში ახალმწვრთნელიანი „ვიტ ჯორჯია“, თბილისში „სიონთან“ „ლოკომოტივი“ და ფოთშიც, ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოსთან“ ადგილობრივი „კოლხეთი“. თავხედი ფეხბურთელი ანიაშვილმა მოედნიდან მიაბრძანა. ამბობენ, ის ერთადერთი არ იქნება, ვისაც ამ ტურის მერე გასასვლელისკენ მიუთითებენო.*



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გუშინ ეროვნულზე: „ლოკომოტივი“ — „სიონი“ 1:0. ბოლნისელთა მეკარე თეიმურაზ ვოლკოვთან შეყრილი ლოკომოტიველთა ერთადერთი გოლის გამტანი მამუკა რუსია

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე წრე

**16 ტური**

29 ნოემბერი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 1 |
| ტორპედო | 0 |
| ბათუმი | 3 |
| დინამო | 4 |
| ლოკომოტივი | 1 |
| სიონი | 0 |
| მერანი | 2 |
| გორდა | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 4 |
| იბერია | 0 |
| დილა | 4 |
| თსუ | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 16 | 13 | 1 | 2 | 31:7 | 40 |
| დინამო | 16 | 12 | 1 | 3 | 43:16 | 37 |
| ტორპედო | 16 | 11 | 3 | 2 | 23:6 | 36 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 9 | 4 | 3 | 25:11 | 31 |
| კოლხეთი | 16 | 7 | 3 | 6 | 15:14 | 24 |
| მერანი | 16 | 5 | 6 | 5 | 16:17 | 21 |
| ბათუმი | 16 | 6 | 2 | 8 | 21:23 | 20 |
| სიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 12:23 | 16 |
| დილა | 16 | 4 | 3 | 9 | 13:27 | 15 |
| გორდა | 16 | 3 | 6 | 7 | 13:22 | 15 |
| თსუ | 16 | 4 | 2 | 10 | 17:31 | 14 |
| იბერია | 16 | 0 | 1 | 15 | 3:35 | 1 |

იხილეთ მესამე, მეოთხე და მეხუთე გვერდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

I დივიზიონი

ნოტინგემი 2:0 შეფილდ იუნ.

ლიგის თასის მეოთხედფინალი

მანჩესტერ სიტი 2:1 უიმბლდონი

ბირმინგემი 2:1 ნიუკასლი

ვესტ ჰემი 1:2 შეფილდ უენსდეი

სტოკ სიტი 0:8 ლივერპული

ფულემი 3:2 დერბი ქაუნთი

ნახევარფინალში ხვდებიან:

იფსვიჩ თაუნი — მანჩესტერ სიტი; ბირმინგემი — შეფილდ უენსდეი; ლივერპული — ფულემი; კრისტალ პალასი — სანდერლენდი

მატჩები გაიმართება 12-13 დეკემბერს

## შოტლანდია

XVIII ტური

დანფერმლაინი 1:0 ჰარტსი

1:0 დეარი (40)

ჰიბერნიანი 0:0 სელტიკი

მაზერველი 2:0 სენტ მირენი

1:0 ტვადლი (74), 2:0 ნიკოლასი (90)

## ჰოლანდია

ფეიენოორდი 2:1 სპარტა

1:0 კეისი (ნაკ.), 2:0 ბოსვე (76), 2:1 ელხატაბი (79)

ჰერენვენი 1:1 ალკმარი

1:0 დ. დე ნოიერი (13), 1:1 ნელისე (72)

როზენდალი 0:1 ბრედა

0:1 ბენდერსი (44)

## ბელგია

თასის მეოთხედფინალი

სტანდარდი 0:1 ლოკერენი

ვესტერლო 3:1 დ.დ. (1:1) ბევერენი

ბეერსხოტი 2:1 ინგელმუნსტერი

გეელი 0:4 გენკი

მელდერტი 1:2 სერკლ ბრიუგე

## თურქეთი

თასის მერვედფინალი

ფენერბაჰჩე — ილიჩა 7:3; ვანსპორი — გალათასარაი 0:7; სანლიურფასპორი — ანთალიასპორი 0:2; სებათსპორი — გაზიანთეპი 0:2; ბუქასპორი — ბურსა 1:4; სალიჰლისპორი — დენიზლი 0:1; ქოჯაელი — შექერსპორი 8:1; სამსუნი — გიოზთეპე 0:1; გენჩლერი — მობელსპორი 7:1; ადანასპორი — ქონიასპორი 6:3; ისთანბული — ტელეკომი 5:0; ისთანბული (B) — რიზე 0:1; დიარბაქირსპორი — ერზურუმი 3:0

## ჩეხეთი

ბრნო 1:2 ჟიჟკოვი

## ავსტრია

ზალცბურგი 1:1 ტიროლი

რაპიდი 2:1 რიდი

შტურმი 1:1 გრაცერი

## გერმანია

თასის მეოთხედფინალი

შტუტგარტი 2:1 ჰანოვერი

მიონხენგლადბახი 1:0 ნიურნბერგი

ფრაიბურგი 3:2 ლევერკუზენი

0:1 პონტე (23), 1:1 კობიაშვილი (34პ), 2:1 კელი (36), 2:2 კირსტენი (74), 3:2 დორნი (77)

მიუნხენ 1860 0:5 ბოხუმი

შალკე 2:1 დორტმუნდი

## იტალია

თასის მეოთხედფინალი

I მატჩები

ლაციო 2:1 უდინეზე

0:1 მარჯიოტა (48), 1:1 სტანკოვიჩი (86), 2:1 ნედვედი (87) გაძევება: ბერტოტო (74), სოსა (88, ორივე უდინეზე)

პარმა 6:1 ინტერი

1:0 სენსინი (18), 2:0 მიკუ (33), 3:0 მონტანო (34), 4:0 ამორუზო (39), 4:1 რეკობა (44), 5:1 აბია (53), 6:1 სარტორი (61)

## საფრანგეთი

XVIII ტური

ბორდო 0:0 ბასტია

ლიონი 2:2 სედანი

0:1 ნდიეფი (48), 0:2 მიონე (52), 1:2 მარლე (68), 2:2 ანდერსონი (85)

მარსელი 2:1 სენტ ეტიენი

1:0 ვეა (81), 1:1 ჟარი (87), 2:1 ადრიანო (88)

ლილი 1:1 სტრასბური

1:0 პერლედი (25), 1:1 მარტენსი (34)

ტულუზი 2:1 ტრუა

1:0 ბონილია (15), 1:1 გუსე (31), 2:1 რეგრაგი (84)

ოსერი 1:0 მეცი

1:0 გიუარში (27პ)

ნანტი 3:1 მონაკო

1:0 კარიერი (26), 1:1 ფარნერუდი (66), 2:1 მოლდოვანი (70), 3:1 ზიანი (88პ)

II დივიზიონი

XXI ტური

კანი — აიაჩო 1:0; გენიონი — ბოვე 2:0; სოშო — კაენი 3:0; ლე მანი — შატორუ 2:1; ნანსი — კრეტეი 2:0; ვასკვალი — ლავალი 2:1; ანჟერი — მარტიგი 1:1; ლორიანი — ნიცა 3:0; ლე ავრი — ნიორი 2:2



მიუნხენელთა მწვრთნელს ვერნერ ლორანტს მწუხარე ტაბლო დაჰყურებს



სტოკ სიტი — ლივერპული 0:8. კარაგერი, ჰიპია და მაკალისტერი, თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან თავსაც იცავდნენ



ნახეთ, ამ თქვენ „სენტ ეტიენს" რა დღე ვაყარო... ხავიერ კლემენტემ „მარსელის" წვრთნა მართლაც მოგებით დაიწყო



ფრაიბურგი — ლევერკუზენი 3:2. ცქიტიშვილი და ჰერმელი კელის მეორე გოლს ულოცავენ

საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა მეორე წრე

# 16 ტური

# კოძუაშვილმა დინამოს აფრიკის ლომი აჭამა

თბილისი
29 ნოემბერი
15 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 70 900)

**ლოკომოტივი 1:0 სიონი**

ჯ. რუსია (62)
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, კვარაცხელია, ქიქველიშვილი, გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია (გონჩაროვი 46), რუსია (გილაური 70), გაგუა (ხუროძე 46)
სათადარიგონი: ახალაძე, დავითაშვილი, ქელიძე, პარამონოვი
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი (მ. სამხარაძე 87), ასანიძელაშვილი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, სოლოღაშვილი, მ. გოგოლაძე (გამცემლიძე 74), ბარნოვი (კ. მეტრეველი 67), მოსეშვილი, ისიანი, წიწნიაძე
სათადარიგონი: დალაქიშვილი, დ. ჯაფარიძე, დიმიტრიშვილი
გაფრთხილება: ბარნოვი (35)
მსაჯები: დ. სანაია, ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), ა. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

**პაატა კვანტალიანი**

**უღიმღამო** და მოსაწყენი გამოდგა გუშინდელი მატჩი „ეროვნულ" სტადიონზე. სტუმარი გამლებაზე იყო, მასპინძელი შეტევაზე გაფაციცებული, ოღონდ იმდენად ნელა, არაზუსტად და ზოგ შემთხვევაში ქაოსურად ირჯებოდა, რომ ლამის ქულის ამარაღა დასჯდგაა, პირველმა წუთმა სულ სხვა შთაბეჭდილება დატოვა, მაყურებელი იფიქრებდა, საინტერესო თამაშის საცდელი მოემზადა. შეხვედრის არბიტრის, დავით სანაიას წამზომზე ისარს ერთი წუთიც არ ექნებოდა დარტყმული, როცა რუსია აღმოჩნდა ექვს მეტრში ვოლკოვის პირისპირ, მაგრამ მეტოქე მცველების მოულოდნელი საჩუქრით დაბნეულმა ერთობ არაზუსტად დაარტყა კარისკენ, სამი წუთის შემდეგ „სიონმაც" შეუტია მოწინააღმდეგის კარისკენ — მარჯვენა ფრთაზე ჰამლეტ წიწნიაძე ვერ მეურვეს დაუძვრა, მისი საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი კი აბრამიძემ ლამის საკუთარ კარში ჩაჭრა. მომდევნო ათ წუთიანი მონაკვეთი კვლავაც მასპინძლებისა იყო. ჯერ გაგუას, შემდეგ კი კვარაცხელიას ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ ვერ ივარგეს. მერე კი ტემპი დაეცა. „ლოკომოტივმა" სათამაშო უპირატესობა კი შეინარჩუნა, მაგრამ მოქმედებისთვის სიმწვავე არ შეუმატებია და მასპინძლებმაც მეორე ნახევრისთვის გადადეს გეგმის შესრულება.

შესვენებაზე, მანამდე და მერეც ტრიბუნაზე მჯდომმა რევაზ ძოძუაშვილმა შენგელია-გაგუას დუეტს გონჩაროვი-ხუროძის წყვილი შეუნაცვლა თავდასხმის ხაზში. ეს ცვლილება რკინიგზელებს პრაქტიკულად არც დასტყობიათ, ორივე ფეხბურთელი ერთობ ინერტულად ირჯებოდა მატჩის ბოლომდე.

მასპინძელთა შეტევების სულისჩამდგმელი ძირითადად კახა გოგიჩაიშვილი იყო. მან წარმატებით შეუთავსა ნახევარმცველის და თავდამსხმელის ფუნქციები ერთმანეთს და სწორედ მისი წყალობით შეძლო ძოძუაშვილის გუნდმა მატჩის ერთადერთი გოლის გატანა. გოგიჩაიშვილმა 62-ე წუთზე ბურთი თავისივე ნახევრიდან წამოიღო, გზად რამდენიმე მეტოქე ჩამოიცილა და მარჯვენა ფლანგიდან დაბალი, გამოზომილი პასი გაგზავნა მოწინააღმდეგის საჯარიმოში. იქ ყველას რუსიამ დაასწრო, კარისკენ მიმავალი ბურთი მცველმა აისხლიტა და მანამდე უშეცდომოდ მოთამაშე ვოლკოვი უძლური აღმოჩნდა. მატჩის დარჩენილ დროში საინტერესო აღარაფერი მომხდარა, ის კი არა, „ეროვნულზე" შეყრილი მცირე აუდიტორია ლამის განახევრდა, ჰქონდათ კიდეც მიზეზი — სიცივე და უსახური ფეხბურთი სერიოზული არგუმენტია სტადიონის დასატოვებლად.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე კი რევაზ ძოძუაშვილის რისხვა დაატყდა თავს „სარბიელს". ამაზე ცალკე იყოს, აქ კი იმაზე მოგახსენებთ, რაც გუშინდელ მატჩთან დაკავშირებით თქვეს მწვრთნელებმა. „სიონის" თავკაცმა სპარტაკ არჩვაძემ გარჯა შეუქო და გამარჯვება მიულოცა მეტოქეს. „რაც შეგვეძლო, ვიბრძოლეთ, მაგრამ „ლოკომოტივი" ერთი თავით მაღლა დგას ჩვენზე და უფრო სოლიდური მიზნები ამოძრავებს, თანაც რკინიგზელებს დღეს ბოლომდე არ გამოუვლენიათ თავიანთი შესაძლებლობები, რადგან წინ მეტად პრინციპული მატჩი აქვთ „დინამოსთან". „სიონი" კი გარწმუნებთ, თავისი შრომით მიაღწევს იმას, რომ კვლავაც უმაღლესი ლიგის ბინადარი იყოს" — თქვა არჩვაძემ.

მხოლოდ შედეგით კმაყოფილმა ძოძუაშვილმა კი თავისი მოსაზრება გაგვანდო წლის უმთავრესი მატჩის მეტოქეზე (3 დეკემბერს „ლოკომოტივი" „დინამოს" ხვდება). „სისულელეა, რომ ამბობენ „ლ:ნამო" მოკვდაო. „დინამო" არასდროს მომკვდარა, უბრალოდ, მიძინებული იყო, ეხლა გამოიღვიძა, ისეთია აფრიკის ლომს შეჭამს და ასეთ გუნდთან განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს."



მამუკა რუსია ნუკრი მინდიაშვილს და პაატა ბარნოვს შორის

# ბაზარში არ ყოფილხართ?

## ხუთ მანეთად დაფასებულს ორად ყიდულობ. ასეა ფეხბურთელიც — ამბობს ძოძუაშვილი

**გუშინდელი** „ლოკომოტივ" — „სიონის" მატჩისეულმა პრესკონფერენციამ ერთობ უჩვეულო ხასიათი მიიღო. ამის მიზეზი რკინიგზელთა მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი გახლდათ. ზურაბ ხიზანიშვილის პრობლემებთან დაკავშირებით დასმულმა ჩვეულივე კითხვამ წონასწორობიდან გამოიყვანა ძოძუაშვილი, და არცთუ ისე შეკავებით „სარბიელის" ჭკუის სწავლება გადაწყვიტა.

— რა იწერება ამ გაზეთში? ეს უსინდისობაა, უზნეობაა. ზოგიერთი ნაძირალა კადრულობს ასეთი ტყუილების წერას და ამით თვითონ უფუჭებს ხიზანიშვილს საქმეს. ისე გამოგყავთ, თითქოს ჩვენ ვიყოთ იმაში დამნაშავე, რომ ხიზანიშვილი „არსენალში" ვერ გადავიდა. რაში გავს ეს? — ყვიროდა ძოძუაშვილი.

**— თქვენ სიტყვებს შეგახსენებთ, ბატონო რევაზ. ამბობდით, რომ ხიზანიშვილი თითქმის უკვე არსენალელია და ამ საქმის მოგვარებას წინ არაფერი უდგას. პრობლემა გამოჩნდა, ჩვენც ამის გარკვევა გვსურს.**

— მერე რა, რომ ვამბობდი, ბევრი რამის თქმა შემიძლია, მაგრამ იქნებ „არსენალისგან" წამოვიდა პრობლემა?

**— „არსენალი" ჩაშლილ ტრანსფერში ქართულ მხარეს ადანაშაულებს.**

— ბაზარში არ ყოფილხარ? ხუთ მანეთს რომ დაგიფასებენ რამეს, მერე ორად ყიდულობ. ასეა ფეხბურთელიც. ჩვენ ჩვენი პირობები გვქონდა. სიტყვაზე, მილიონად დავაფასებდით, მერე ნახევარ მილიონზე ჩამოვიდოდით და ასე...

**— კაციშვილი არ ჩანს მთავარ კითხვაზე პასუხის გამცემი — აქვს თუ არა ხიზანიშვილს კონტრაქტი „ლოკომოტივთან" და რა ვალას ითვალისწინებს იგი. ამ კითხვაზე ვერც „ლოკომოტივის" პრეზიდენტი პასუხობს კონკრეტულად, ვერც ვიცე-პრეზიდენტი და ვერც თქვენ. ხიზანიშვილი კი აცხადებს, რომ მას არავითარი ვალდებულება არ აკავშირებს კლუბთან.**

— ვისი რა საქმეა კონტრაქტის პირობების გაგება. ხიზანიშვილს, რა თქმა უნდა, აქვს კონტრაქტი „ლოკომოტივთან", აბა, ისე როგორ ვათამაშებდით, მაგამ დეტალებზე საუბარი არ გვსურს. ამ კონტრაქტის შესახებ ჩემმა მეგობრებმა იციან, თქვენ კი რაში გჭირდებათ მისი გაცნობა. ისე, ბევრი ჟურნალისტის წყალობითაა, გზა რომ ერევათ ფეხბურთელებს. ზოგიერთი ბოსკამპთან და მის ხალხთან იყო შეკრული და ფეხბურთელის ტრანსფერებზე დარბოდა... რომ წერთ, ბოსკამპიდან „არსენალამდეო", ძოძუაშვილზე და ყიფიანზე რატომ არაფერს ამბობთ, ჩვენ ხელში არ დაინტერესდა „არსენალი" ხიზანიშვილით?..

**ბაატა კვანტალიანი**

# ვინ არის ტორპედოს გამკითხავი?

ფოთი
29 ნოემბერი
15 საათი
ფაზისი
1 500 (ტევადობა 6 500)

**კოლხეთი 1:0 ტორპედო**

ჯ. კვირკველია (41)
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია (კვირკველია 18), ტორჩინავა, ქუნთელია, მაღლაკელიძე, პაპავა, ე. გვასალია, ფანჩულიძე, ახალკაცი, გოგიაშვილი (კრასოვსკი 83), ღაღანიძე (ჭანტურიძე 83)
სათადარიგონი: ჩემია; გ. ჩიტაია, ხუჭუა, შავგულიძე
ტორპედო: ზოიძე, ახვლედიანი, შალამბერიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე (კ. კვეტენაძე 65), გაბიდაური, გუჟუა, ასათიანი, დ. ჯანაშია (მ. ბობოხიძე 65), იონანიძე, იმედაძე
სათადარიგონი: ჭანტურია, თურმანიძე, თავბერიძე, შეყრილაძე, ძამაშვილი
გაფრთხილება: ტორჩინავა (76), გუჟუა (80)
მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი, ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

**იუზა კაციტაძე ფოთიდან**

**— არ დაგიმალავთ,** ამ მატჩს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით, ამიტომ, რომ იტყვიან, ხუთი თითივით ძირფესვიანად შევისწავლეთ „ტორპედოს" თამაში. წინა ტურში ქუთაისში ჩემი თანაშემწე მიქაბერიძე და ვიდეოოპერატორი მივავლინე, სრულად გავაანალიზეთ „ტორპედო" — „ლოკომოტივის" მატჩი. ჩვენ წინასწარ ვიცოდით, რა სათამაშო სქემას აირჩევდა მეტოქე, ისიც კი გავთვალეთ, რომ ძირითადში ვერ მოხვდებოდა კვეტენაძე. ჩვენი ამოცანა ასეთი იყო — არ უნდა მიგვეცა ქუთაისელთათვის თავისუფლად გადაადგილებით საშუალება. შეგვეკვეცა მათთვის სათამაშო სივრცე. მჭიდრო პრესინგი „ტოპედოს" თამაშს გაუმნელებდა. სამი ცენტრალური მცველით ვითამაშეთ. ცენტრი და ფლანგები საიმედოდ გადავკეტეთ, ტაქტიკაში არ შევმცდარვართ. ვიცოდით, როგორ უნდა გვეთამაშა და მოვიგეთ. რაც შეეხება საქართველოს თასის მეოთხედფინალში „ტორპედოსთან" თამაშს, გეტყვით, რომ შანსები სამოცი ორმოცზეა „ტორპედოს" სასარგებლოდ — „კოლხეთის" თავკაცმა სოსო ფილიამ ეს სიტყვები მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე წარმოთქვა.

ფილიამ იცოდა და მოიგო. მართლაც ასეა. მასპინძლებმა გუშინ პირნათლად შეასრულეს მწვრთნელის დავალება. შემართებით, თავდაუზოგავად ეთამაშნენ ჩემპიონს და სამი ქულაც ალალად აართვეს. „ტორპედო" კი ბოლო მატჩების არ იყოს, „ფაზისზეც" უსუსურად გამოიყურებოდა. ქუთაისელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს მასპინძლებს და პირველი გასვლით მარცხიც იგემეს.

მასპინძელთა ტაქტიკაზე ზემოთ ითქვა. ქუთაისელთა წინახაზელებს — ჯანაშიასა და იმედაძეს, შესაბამისად მაღლაკელიძე და ქუნთელია მეურვეობდნენ და წინასწარ ვიტყვით, ორივე მცველმა მშვენივრად გაართვა თავი საქმეს. ლიბეროს ჩვეულად ტორჩინავა თამაშობდა, დაცვითი ფლანგები თავიდან გოროზიასა და პაპავას ებარათ, მაგრამ რაც გოროზია დაშავდა, მისი ფრთის კონტროლი ფანჩულიძეს დაევალა, თუმც გელა წინ, ცენტრისკენაც ხშირად ინაცვლებდა და ღაღანიძესა და გოგიაშვილთან ერთად შუახაზსაც ამაგრებდა. ნახევარდაცვაში მარჯვნიდან ახალკაცი ხომ აქტიურობდა, მერე მას მარცხნიდან კვირკველიამაც მიბაძა და წინ წაწეულ ელდარ გვასალიას, რომლის აქტიურობის ჩახშობა ვახტანგ ხვადაგიანს ევალა, ხშირ შემთხვევაში სწორედ ისინი უწევდნენ.

პირველი ხიფათი „ტორპედოს" კარს მე-16 წუთზე შეექმნა. კუთხურიდან ჩაწოდებულზე ფანჩულიძემ ახლო ძელთან დასწრებაზე თავით ითამაშა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა და ზოიძემ აუღო. ათ წუთში ახალკაცი შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში და ძლიერადაც გაისროლა კარისკენ. ქუთაისელები იღბლად გაძვრნენ, ბურთმა სულ ახლოს ჩაუქროლა ძელს.

ნახევარ საათზე მეტხანს სტუმრები საერთოდ არ გაკარებიან ფოთელთა საჯარიმოს. მხოლოდ 55-ე წუთზე იყო, გაბიდაურის გრძელი პასის შემდეგ იმედაძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ უხეიროდ დაარტყა. კოლხები მონდომებით აგრძელებდნენ თამაშს და დაუფასდათ კიდეც გარჯა — სწრაფი იერიშისას ახალკაცმა მარჯვენა ფლანგიდან ზუსტად ჩაუწოდა საპირისპირო მხარეს, ქუთაისელთა საჯარიმოში უმეთვალყუროდ დარჩენილ კვირკველიას და მანაც ათიოდ მეტრიდან შეუჩერებლად და ძლიერად დაარტყა — 1:0.

აშკარა იყო, მეორე ტაიმში „ტორპედოს" თამაშში კორექტივების შეტანა მართებდა, თუმც არაფერი მსგავსი, ქუთაისელებმა ვერც შესვენების შემდეგ დაალაგეს თამაში. 49-ე წუთზე ელდარ გვასალიას ახლოდან რომ არ აეცილებინა, სტუმრები მეორედაც დაისჯებოდნენ. ვერც შეცვლებმა უშველა ყიფიანის გუნდს. პირიქით, მატჩის ბოლო ათწუთეულში მასპინძლებს ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ პირველ შემთხვევაში ფანჩულიძის ძლიერად დარტყმული ზოიძემ რომ მოიგერია, გვასალიამ ვეღარ დაამატა, მეორედ კი ფანჩულიძის კუთხურს პაპავა გამოეხმაურა თავურით და მცირედით გადააცილა ხარიხას. თავის მხრივ ქუთაისელებმა სახიფათო ჯარიმა ვერ გამოიყენეს და სულ ეს იყო.

— „კოლხეთს" გამარჯვებას ვულოცავ. მეტოქემ ყველა რგოლში დაგვჯაბნა, ძალიან სუსტად ვითამაშეთ. ამდენი ჩავარდნა? ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ მდგომარეობის გამოსასწორებლად — ყიფიანის ერთ-ერთ თანაშემწეს პრესკონფერენციაზე სხვა სათქმელი არც ჰქონდა.

ისე, ჩავარდნაცაა და ჩავარდნაც, ჩემპიონმა მესამე ადგილზე ჩაინაცვლა, თანაც კრიზისშია. ასეთ შემთხვევაში წესით და რიგით ვიღაცას პასუხიც უნდა მოეთხოვოს, მაგრამ ჰყავს კი „ტორპედოს" განმკითხავი?..


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
◆ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
◆ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
◆ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# ვითამაშოთ მწვრთნელისთვის!

## ვიტ ჯორჯიამ მახარაძეს თავი მოაწონა

მცხეთა
29 ნოემბერი
15 საათი
„არმაზი"
500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 4:0 იბერია**

1:0 დილმელაშვილი (10), 2:0, 3:0 მელქაძე (14, 34), 4:0 ნოზაძე (42)
ვიტ ჯორჯია: სტურუა, ქანქოტაძე (ზვ. გვაზავა 67), ჯ. მუჟირი, საჯაია, კობიაშვილი, დილმელაშვილი, დეკანოსიძე (ვ. გოჩაშვილი 60), ციფიანი, ლ. ნოზაძე (დ. დოლიძე 73), გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე
სათადარიგონი: ქურაძე, ინწკირველი, თაყაძე, სულთანიშვილი
იბერია: ჩომახიძე, გ. ნოზაძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ხმალაძე, ონიანი (ჩიმაკაძე 60), ყურაშვილი, ზ. მეტრეველი (ქოლაძე 70), გიგიაძე, ბიწაძე, მუმლაძე
სათადარიგო: ვარდანიძე
მსაჯები: მ. მაისურაძე მ. ჟურუშაძე (ორივე თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); მ. მალაღურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

**კობა ინასარიძე მცხეთიდან**

**შთამბეჭდავი** გამოუვიდა ხელახალი დებიუტი ვიტელთა ახალ მწვრთნელ თემურ მახარაძეს. მისმა შეგირდებმა ოთხი უპასუხო გოლით გაისტუმრეს მცხეთიდან ცალი ფეხით უკვე პირველლიგელი „იბერია". მასპინძლებმა პირწმინდად დაჩაგრეს ბოლო ადგილზე დამკვიდრებული სამტრედიელები და შესვენების შემდეგ ისევე რომ გაეგრძელებინათ მათ თამაში, როგორც პირველ ტაიმში, ორ ამდენსაც გაიტანდნენ, მაგრამ ვიტელებმა მეტოქე აშკარად დაინდეს.

ძალიან მონდომებულნი იყვნენ გუშინ მასპინძლები. ახალი მწვრთნელის თვალში თავის გამოჩენა ყველას სურდა და აკი მატჩის შემდეგაც თქვა თემურ მახარაძემ, ვერავის გამოვყოფ, ყველამ კარგად ითამაშაო. „იბერია" კი მთლად დაუძლურებულა, იმდენად, რომ მწვრთნელ სოსო ფრუიძეს სულ ორი კაცის შეცვლის საშუალება ჰქონდა. 14-კაციან განაცხადში მეთორმეტედ მეკარე ვარდანაძე კი ეწერა, მაგრამ თავიდანვე ცხადი იყო, ვერ ითამაშებდა, ტრიბუნაზე იჯდა და იქიდან უცქეროდა შეხვედრას. დანარჩენი ორი სათადარიგო ფრუიძემ კი გამოიყენა, მაგრამ ამით სტუმართა თამაშს ბევრიც არაფერი დასტყობია.

სამტრედიელთა რბევა მე-10 წუთზე დაიწყო და გოლის გარდა ყველაფერი დეკანოსიძეზეა. მარჯვენა ფლანგიდან მან ბურთი შუისკენ წაიღო, საჯარიმოს ხაზს მიუახლოვდა და დილმელაშვილს მცველთა შორის ჩინებული პასი მისცა. ვიტელი ჩომახიძესთან მარტოდ დარჩა და გატანა აღარ გასჭირვებია.

ოთხ წუთში ანგარიში მელქაძემ გაარა. ჭანკოტაძის გრძელ პასს გიორგაძე ასცდა, ბურთი ვიტელმა მიიღო და მახვილი კუთხიდან ერთობ ლამაზი გოლი გაიტანა. მანვე 20 წუთში დუბლიც გააძერხა, დაახლოებით საჯარიმოს წინა ხაზიდან დაურტყა ჩომახიძეს, ბურთი სამტრედიელ მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და სხვაობაც სამამდე გაიზარდა.



თემურ მახარაძის დებიუტი წარმატები გამოდგა



ვიტელი გიორგი ქორიძე (№8) ორ იბერიელის წინააღმდეგ

ეს უკვე მოგება იყო, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ" ტაიმი მაინც ისე ჩაამთავრა, როგორც დაიწყო და ერთი გოლიც შეაგდო. კომბინაცია ულამაზესი გახლდათ. ნოზაძე, დეკანოსიძე, ქორიძე, მერე ისევ ნოზაძე, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა და იოლად გაიტანა.

ისიც სათქმელია, რომ „იბერიას" პირველ ტაიმში ვიტელთა კარში არც ერთხელ დაურტყამს, თუმც ამ მატჩის სტატისტიკურ მონაცემებს ხვალინდელ „სარბიელში" იხილავთ და უფრო დარწმუნდებით, თუ რამხელა უპირატესობა ჰქონდათ მასპინძლებს.

მეორე ტაიმში კი ლამის ყოველ ხუთ წუთში „ვიტ ჯორჯია" საგოლე მომენტს ქმნიდა, თანაც ისეთს, სხვა, დაძაბული მატჩებისას ათიდან ცხრას რომ გაიტანდა, მაგრამ გუშინ ან ვეღარ, ან აღარ შეაგდეს. ექვსჯერ მასპინძელი ფეხბურთელები მეკარესთან პირისპირ დარჩნენ, ერთხელ ძელს მოარტყეს, ერთი-ორჯერ ჩომახიძემაც იყოჩაღა.

***სოსო ფრუიძე, „იბერიას" მთავარი მწვრთნელი:***

— რაღა თქმა უნდა, შედეგითაც და თამაშითაც უკმაყოფილო ვარ. ყველა ვიტელი ცდილობდა, ახალი მწვრთნელისთვის თავი მოეწონებინა და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ყველაფერთან ერთად ჩვენი გუნდი გამოუცდელი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, მეტი საშუალება არ გვაქვს. „ვიტ ჯორჯიადან" ნახევარდაცვას გამოვყოფდი, განსაკუთრებით დეკანოსიძესა და თავდამსხმელ მელქაძეს. ჩვენ კი ამ გუნდით უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი არ გვაქვს, ეს მე კლუბის პრეზიდენტსაც ვუთხარი.

***თემურ მახარაძე, „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი:***

— იცით, თავდაპირველად იმას ვიტყვი, სირცხვილია, „იბერია" რომ ასეთ დღეშია, გუნდს საკუთარ სტადიონზე არ ათამაშებენ, არადა, ჩანს, ამ ბიჭებს დიდი პოტენცია აქვთ და კარგი პირობები რომ ჰქონდეთ, ბევრ გუნდს გაამწარებდნენ. „ვიტ ჯორჯიას" თამაშით კი კმაყოფილი ვარ. მატჩის წინ სულ იმაზე ველაპარაკებოდი ბიჭებს, რომ მეტოქე სათანადოდ შეეფასებინათ — არ მოდუნდეთ, თორემ შეიძლება დავისაჯოთ-მეთქი. ისე კი „ვიტ ჯორჯია" ძალიან კარგი გუნდია.

# ერთი ნაბიჯი უბედურებამდე

გორი
29 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 4:2 თსუ**

0:1 წუწუნავა (35), 1:1 ხორგუაშვილი (42პ), 2:1 ლომიძე (44), 3:1 ხმალაძე (59), 3:2 წუწუნავა (67), 4:2 ლომიძე (83)
დილა: თ. ილურიძე, ბაკოფიანი, გრიგალაშვილი, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, ციცქიშვილი (გაგნიძე 69), საყვარელიძე (მ. ბურნაძე 87), რევაზიშვილი, ეჯოშვილი, ხორგუაშვილი, ხმალაძე (ხოხობაშვილი 84)
სათადარიგონი: მდივანი; დ. მაისურაძე, ტულუში
თსუ: გუგუნავა (მამარდაშვილი 86), ხარებავა, ებრალიძე, არეშიძე, სვანაძე (მორჩილაძე 65), ახალაძე, მესხი, ერაძე, ადამია (ბ. ნოზაძე 60), წუწუნავა, რ. გოცირიძე
სათადარიგონი: ზვ. ლაბაძე, კვიციანი, ა. ბოკერია
გაფრთხილება: ლომიძე (40), სვანაძე (41), ახალაძე (67), გრიგალაშვილი (84), მესხი (89)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)
სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

**მამუკა ქვანტალიანი გორიდან**

**გორში** თსუ-მ პირველად დალაშქრა მასპინძლის კარი, მერეც გაიტანა გოლი, მაგრამ თავად ოთხი გაუშვა და, ბუნებრივია, წააგო კიდეც. კიდევ ერთმა დამარცხებამ სტუდენტთა სატურნირო მდგომარეობა უფრო დაამძიმა და ახლა „იბერიასღა" უსწრებენ. „დილამ" კი ოდნავ გამოიკეთა ვითარება, თუმც ისევ საშიშ ზონაში დარჩნენ გორელები.

ვერ ითამაშეს საკადრისად სტუმრებმა, განსაკუთრებით დაცვაში ჰქონდათ პრობლემები. „დილას" დასაწყისიდანვე შეექმნა ასპროცენტიანი საგოლე მომენტები, მაგრამ კარის აღების რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან ხორგუაშვილმა, საყვარელიძემ, რევაზიშვილმა, ეჯოშვილმა და რამდენჯერმე ხმალაძემ.

ვერ გაიტან, გაგიტანენ, ცნობილი და ათასგზის დამტკიცებული გამონათქვამია. თსუ-ს დასაწინაურებლად პირველივე სწრაფი და გაახრებული კონტრშეტევა ეყო. გოცირიძე, ადამია, მოტყუებული მცველი და კარის წინ დარჩენილმა წუწუნავამ ილურიძეს აუღებელი დაურტყა. ამ დროისთვის ტაიმის დასრულებას ათი წუთი აკლდა.

„დილამ" შვიდ წუთში გაათანაბრა. მარცხენა ფლანგზე გაჭრილმა ციცქიშვილმა საჯარიმოში ჩააწოდა. ბურთი კი საჯარიმოში, მეტოქისკენ ზურგშექცეულ სვანაძეს ხელზე მოხვდა და... თუ ვინმეს ჩემი მოკრძალებული აზრი აინტერესებს, მოგახსენებთ: მცველს ხელით განზრახ არ უთამაშია, ჩაწოდების მომენტში მან მეტოქეს ზურგი აქცია და ბურთიც შემთხვევით ხელზე მოხვდა. კრიჭაშვილმა წესების დარღვევა დააფიქსირა, სვანაძეს ყვითელი ბარათი უჩვენა, თერთმეტმეტრიანი კი გოლად ხორგუაშვილმა აქცია.

მასპინძლებმა ტაიმის ბოლო წუთზე გაიხარეს. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს საყვარელიძემ დაუხვედრა თავი, მცველისგან ასხლეტილი ლომიძეს მიუგორდა, რომელმაც ბურთი უპრობლემოდ გადაგზავნა კარში.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა. „დილა" უტევდა და ხელსაყრელ მომენტებს აცუდებდა, ხოლო თსუ კონტრიერიშების ორგანიზებას ცდილობდა. ორჯერ გატანაც შეეძლო ნოზაძეს, მაგრამ ილურიძემ ივაჟკაცა.

59-ე წუთზე, როგორც იქნა, გაიტანა ხმალაძემ. ხორგუაშვილმა თავდაუზოგავად იბრძოლა და მცველი აიძულა, შეცდომა დაეშვა. ბურთი ხმალაძემ მოიგდო და ანგარიშში სხვაობა ძლიერი დარტყმით გაზარდა.

სულ რაღაც რვა წუთში წუწუნავამ ისევ გაანერვიულა მასპინძლები — მცველთა შეცდომა კარგად გამოიყენა სტუმართა ფორვარდმა, ბრძოლით მეკარესთან პირისპირ გავიდა და საბოლოო დარტყმაც ზუსტად შეასრულა.

მდგომარეობა გორელთაგან საუკეთესო ლომიძემ განმუხტა. მისი შორიდან გასროლილიც უნაკლო და უზუსტესი გამოდგა. ამის შემდეგ ცხადი იყო, —დილა" გაიმარჯვებდა.

თუმც ატმოსფერო კვლავ დაძაბული იყო. ვერ გეტყვით, სტუმართა მეკარის რა არ მოეწონა ახალგაზრდა გორელ მაყურებელს, მაგრამ გინება არ მოაკლეს. ითმინა გუგუნავამ და მეოთხე გაშვებული გოლის შემდეგ მასაც ნერვებმა უმტყუნა.

..გინებითვე უპასუხა, არ მოეშვნენ და გუგუნავამაც რამდენიმე უხერხული ჟესტით სცადა პასუხის გაცემა. კოჭლაშვილმა მდგომარეობიდან გამოსული და წონასწორობადაკარგული მეკარე ტრავმირებული მამარდაშვილით შეცვალა. გუგუნავა სწრაფი ნაბიჯით გამოემართა, თითქოს გასახდელისკენ, მაგრამ დამცავ ღობეს გამოცდენილმა გეზი იცვალა და პირდაპირ იმ ტრიბუნაზე აიჭრა, საიდანაც აგინებდნენ.

ორმა-სამმა თხუთმეტიოდე წლის ბიჭმა გაგიჟებული მეკარის დანახვისას ტრიბუნების გაყოლებაზე მოკურცხლა, ხოლო ადგილზე დარჩენილთა და სტუმართა მეკარეს შორის კონფლიქტის გაღვივება ადგილობრივმა პოლიციამ აღკვეთა.

თსუ-ს დანარჩენი მოთამაშეები თავიდან სიტუაციაში ვერ გაერკვნენ, სამართალდამცავები სხვებისგან ვერ გაარჩიეს და თანაგუნდელის დასაცავად გაეშურნენ. დამცავ ღობეს უკვე თითქმის გადაევლნენ კიდეც, მაგრამ მერე ყველაფერი ნათელი შეიქნა, ორი პოლიციელი გუგუნავას გასახდელისკენ მიაცილებდა.

გაუმართლებელი და მიუღებელია თსუ-ს მეკარის საქციელი, მაგრამ არც იმ ენაბილწი მაყურებლის საყვედური გვავიწყდება, ზოგჯერ სტუმარ-მასპინძელს განურჩევლად რომ აგინებენ. მსგავსი კონფლიქტი ბევრგან და ბევრჯერ გვინახავს საქართველოში და საკმარისია, თორემ ერთხელაც უბედურება დატრიალდება. საქართველოში ვცხოვრობთ სადაც გინებაზე კი არა ზოგჯერ უბრალო ხუმრობაზეც ჭკუიდან გადადიან. საკმარისია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტის გამტანი აგებს

ბათუმი
29 ნოემბერი
15 საათი
დინამო
8 000 (ტევადობა 18 000)

## ბათუმი 3:4 დინამო

0:1 პაპიძე (20ს.კ.), 1:1 მუჯირი (22), 1:2 გადელია (30), 1:3 სიხარულიძე (34 ს.კ.), 2:3 ყულეჯიშვილი (41), 2:4 მიქაძე (66), 3:4 პაპიძე (89)
ბათუმი: ბედიაშვილი, სიხარულიძე, მინდაძე, პაპიძე, მგალობლიშვილი, გელა ქორიძე, ლეონტი, დარჩიძე (ქაცარავა 77), ყულეჯიშვილი, აფხაზავა, ა. მუჯირი
სათადარიგონი: ჯაში; გველესიანი, თედორაძე, ფურცხვანიძე, სიამაშვილი
დინამო: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, მაშიაშვილი, ზამთარაძე, ა. სახვაძე (კანდელაკი 35), ჯინჭარაძე, სიჭინავა, დათვაძე (მაზიაშვილი 57), გადელია, გ. ვ. მიქაძე (კ. გოგოლაძე 60)
სათადარიგონი: ბათიაშვილი; ბურდული, რუხაძე, თ. მაისურაძე
გაფრთხილება: მგალობლიშვილი (24), ზამთარაძე (79)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; გ. კოკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი, პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

ვინ შეაჩერებს „დინამოს"? აი, კითხვა, რომელიც 16 სექტემბრიდან სულ უფრო აქტუალური ხდება და პასუხის გამცემი ჯერჯერობით არავინ ჩანს.

ვერც „ბათუმმა" შეძლო რევაზ არველაძის აწყვეტილი სამწყსოს დამუხრუჭება. ახალგაზრდა ზღვისპირელებმა ყველაფერი იღონეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

ზოგჯერ ასეც ხდება, მასპინძლებმა ხუთი გოლი გაიტანეს, სტუმრებმა კი მხოლოდ ორი, თუმც იმ ხუთიდან ყველა „დინამოს" კარში როდი გავიდა — ორი ავტოგოლი იყო ამ მატჩში და ორჯერვე მასპინძლებმა შესცოდეს.

მეოცე წუთამდე მეტოქეთ ღირებული თავდასხმაში არაფერი გაუკეთებიათ, ურთიერთჭიდილში საფრთხეც არსაიდან ჩანდა. თუმც მეოცეზე პაპიძის ავტოგოლმა გოლთაცვენას დაუდო სათავე. ყველაფერი კი ასე მოხდა: მარცხენა ფლანგზე მასპინძლები დაჯარიმდნენ და დათვაძემ ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა. იქ კი ყველაზე მაღლა პაპიძე ახტა და საკუთარ კარში ისეთი თავური შეჭედა, სტუმართაც შეშურდებოდათ.

„ბათუმმა" თავისი მცველი გაამხნევა და მალე ანგარიშიც გაქვითა. საჯარიმოს ხაზთან ახლოს აფხაზავამ ჯარიმა მოინადირა. ბურთთან ამირან მუჯირი მივიდა და ჩვეული დააქუხა — ბურთი ცოცხალ კედელში გაძვრა და გრიშიკაშვილიც უძლური აღმოჩნდა.

იშტაზე მოსულ ბათუმელებს მალე წინ გასვლაც შეეძლოთ, მაგრამ დარჩიძის დარტყმული ზამთარაძემ ზედ კარის ხაზიდან რის ვაი-ვაგლახით მოიგერია. „დინამოს" საპასუხო შეტევაც ჩინებული გამოუვიდა. სწრაფი კონტრშეტევა სიჭინავამ დაიწყო, დათვაძემ მარცხნიდან გააგრძელა და მისი დიაგონალურ პასი საჯარიმოში შეჭრილმა გადელიამ უნაკლოდ დააგვირგვინა დაბალ კუთხეში დარტყმით.

კიდევ ოთხი წუთი და „ბათუმი" შოკში აღმოჩნდა. პაპიძის დარად საკუთარ კარს ამჯერად სიხარულიძე დაემუქრა და გაიტანა კიდეც. სახვაძის ფლანგიდან ჩაწოდებულზე მინდაძეს ფეხი აუსხლტა, აი, სიხარულიძეს კი არა — ბედიაშვილის ნახტომი ფუჭი აღმოჩნდა.

მოვლენების ასეთ განვითარებას ასლან ბალაძის შეგირდები წესით უნდა დაებნია. სხვაგვარად კი მოხდა და ტაიმის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე დარჩიძის გრძელ პასს ყულეჯიშვილმა იღბლიანად მოუქნია ფეხი, რითაც გრიშიკაშვილი ადგილზე გააშეშა.

თამაში ინტრიგა ამ გოლმა კი შეუნარჩუნა, მაგრამ ამის მერე მასპინძელთა უსუსური თამაში საკვირველი გახლდათ. „დინამომ" თავისუფალი არე მაქსიმალურად შეუზღუდა მეტოქეს და ხისტი თამაშით მატჩი სასურველ კალაპოტში გადაიყვანა, რასაც მალე ლოგიკური გოლიც მოჰყვა.

სწრაფ კონტრშეტევაზე დაიჭირეს სტუმრებმა „ბათუმი" და გიორგი მიქაძემ მეოთხედ დაამწუხრა ბედიაშვილი.

გასარკვევიც სწორედ აქ გაირკვა. და ზღვისპირელთა გაბრძოლება უფრო ინერციით თუ ხდებოდა.

მატჩის ბოლოს პაპიძემ თავის შეცდომა გამოასწორა და ისევ თავურით ბურთს მეტოქის კარისკენ სასურველი მიმართულება მისცა.

რიხით მავალმა „დინამომ" ერთი შეხედვით იოლად კი მოიგო, მაგრამ როგორც მას ამ ბოლო დროს სჩვევია, მთლად ისე ვერა. აი, „ბათუმმა" კი ექვსეულში დარჩენის საკითხი ერთობ საეჭვო გახადა. ჰოდა, „ვიტ ჯორჯიასთან" მომავალ მატჩს, ისედაც არ აკლია ინტრიგა და ახლა სულ უფრო მოსჭარბდა.



ბათუმელთა წაღმა-უკუღმა მეგოლე ზვიად პაპიძე (№4) და გამოსვლაზე მოყოჩაღე იოსებ გრიშიკაშვილი

# შაყირი სინათლეზე წითლდება

თბილისი
29 ნოემბერი
15 საათი
სინათლე
500 (ტევადობა 3 000)

## მერანი 2:0 გორდა

1:0 გოდერძიშვილი (47), 2:0 ბაჯელიძე (63)
მერანი: დევაძე, ბაჯელიძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, კობესაშვილი, გ. კვეტენაძე (ივანიშვილი 87), დ. გოდერძიშვილი, როსტიაშვილი (სილაგავა 81), ჭინჭარაული (მუხინი 75), მინაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია; თოლორდავა, კაკუბავა, კოშკაძე
გორდა: ნიკურაძე, გაბელაია, ა. ბურნაძე, ზ. ლაბაძე, ბექაური, ბუკია, ლაშა სილაგაძე, მელაძე, კ. ალადაშვილი, მიშველიძე (ივეჩიანი 72), ჯელაძე
სათადარიგონი: გონგაძე, ბერიძე, კაპანაძე, მ. სახვაძე, კოტეიშვილი, მჭედლიძე
გაფრთხილება: კვეტენაძე (42), კობესაშვილი (60)
გაძევება: ბუკია (31)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. დოლიძე, ზ. ჯვარაძე, ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

დავით თავართქილაძე

მეცამეტე ტურში, „გორდა" — „ლოკომოტივის" მატჩში იყო, ფეხბურთელებმა არბიტრ ზურაბ ანიაშვილზე რომ თქვეს, ნასვამი მსაჯობსო...

გუშინ „სინათლეზე" კი ამ ისტორიას რეციდივი მოჰყვა და „გორდას" მარცხენაფლანგელი ალექსანდრე ბუკიაც წითელი ბარათით დაისაჯა. რატომ? შეკითხვაზე პასუხი „გორდას" თავკაცმა იასონ ალადაშვილმა გაგვცა, თუმც მანამდე უშუალოდ თამაშზე ვთქვათ.

მეტად ენერგიულად გამოიყურებოდა „მერანი" და შეხვედრის დებიუტიდანვე მატჩი ცალკარას დაემსგავსა. მასპინძლები ფავორიტებად კი ითვლებოდნენ, მაგრამ სტუმართა ასეთი პასიური თამაში მაინც მოულოდნელობა გახლდათ. პირველი ხიფათი ნიკურაძის კართან ჭინჭარაულ — ბაჯელიძის გათამაშებულ კედელს მოჰყვა და „გორდას" მეკარემ იმარჯვა. მერე გოდერძიშვილ — მინაშვილ — გოდერძიშვილის კომბინაციით დაემუქრნენ მერანელები მეტოქეს, მაგრამ ოდენ კუთხურს გამორჩნენ. შემდეგ მორიგი სამსვლიანი შეტევა განახორციელეს მასპინძლებმა (დევიძე — მინაშვილი — გოდერძიშვილი) — მერანელთა ბომბარდირს სამიზნემ უმტყუნა.

ბუკიას გაძევების შემდეგ ისედაც გახსნილი თამაში კიდევ უფრო გაიხსნა, თუმც "მერანს" ამით პირველ ტაიმში არ უსარგებლია და გასაკეთებელი საქმე შესვენების შემდეგ გააკეთა. აკაკი დევაძემ საკუთარ საჯარიმოდან ძლიერად, შორს გაგზავნა ბურთი, მამუკა მინაშვილი მეტოქე მცველებთან ბრძოლაში ჩაება, ბურთი უმეთვალყურეოდ დარჩენილი დავით გოდერძიშვილს მიუვიდა, ნიკურაძემ კარი დატოვა, მაგრამ მერანელთა ფორვარდმა მეკარესთან მიახლოებაზე უარი თქვა და ცაცია ჭვინტით ისე მოულოდნელად დაარტყა, რომ „გორდას" გოლკიპერმა რეაგირებაც ვერ მოასწრო. როგორც იქნა, გოდერძიშვილმა რვაგოლიანი ზღვარი გადალახა და ალბათ, ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში კვლავ აქტიურად ჩაერთვება.

კაცნაკლული „გორდა" გაშვებულმა გოლმა ვერ გაახელა, ისევ „მერანის" კარნახით მიდიოდა თამაში და მეორე გოლიც მიითვალეს სტუმრებმა — მინაშვილის დარტყმული ნიკურაძემ მოიგერია, მაგრამ უკუგდებულ ბურთს ბაჯელიძემ მიუსწრო და თავურით გაზარდა ანგარიში. მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ ნიკურაძის კარის დალაშქვრა, ორჯერ მინაშვილს მიეცა შანსი, ერთხელ ისევ ბაჯელიძეს, თუმც „გორდას" დიდი ანგარიშით მარცხი გუშინ ნაღდად არ ეწერა. რუსთაველებმაც გაიბრძოლეს — მელაძის სახიფათო საჯარიმო ოდნავ ასცდა მიზანს, ივეჩიანის ცაციით მოჭრილი კი დევაძემ გააუვნებლა.

ყოველივე ლოგიკურად დასრულდა და შედეგად, ბათუმელთა მარცხის წყალობითაც, „მერანი" სანუკვარ ექვსეულში მოკალათდა, რითაც მეტად კმაყოფილი იყო მასპინძელთა თავკაცი, დავით ჯიშკარიანი:

— ამ სეზონში ზედიზედ პირველად მოვიგეთ, როგორც იქნა, მეექვსე ადგილზე გადავინაცვლეთ, ჩემი ბიჭების კი მადლობელი ვარ ასეთი გააზრებული თამაშისთვის.

„გორდას" დამრიგებელმა იასონ ალადაშვილმა კი ნათელი მოჰფინა ბუკიას გაძევების ფაქტს — მას მსაჯისთვის არ შეუგინებია, უბრალოდ, შაყირით უთხრა, ისევ ნასვამი ხომ არა ხარო. ამას თვით ანიაშვილიც ადასტურებს. კარგი იქნებოდა, არბიტრს ოდენ ყვითელი ბარათი უნდა გამოეყენებინა, მაგრამ, ალბათ, ნერვები ვერ მოთოკა.



მერანელთა ეს იერიში „გორდას" მეკარე გიორგი ნიკურაძემ მუშტებით მოიგერია.

# ტავრიას ქართველი ჯოკერი

*რა ჯოკერი, რის ჯოკერი, ისევ აჭარბებენო — გაიფიქრებს, ალბათ, მავანი. არადა, ეს ფრაზა სულაც არაა ჩვენი მოგონილი. უბრალოდ, უკრაინულ გაზეთ „კომანდას“ დავესესხეთ. მეტსაც გეტყვით, გაეცანით ბოლოდროინდელ იქაურ პრესას და უმალ დარწმუნდებით, თუ რა მაღალ შეფასებას იმსახურებდა ლამის ყოველ თამაშში ოთხი თვის წინ უმაღლესლიგელ სიმფეროპოლის „ტავრიაში“ მისული ქართველი. ეს ქართველი ქუთაისელ ტყუპთაგან ერთ-ერთი ვასილ გიგიაძე გახლავთ.*

*ტყუპების კარიერაზე ალბათ მოგეხსენებათ. უთამაშიათ ქუთაისის „რწმენაში“ და „ტორპედოში“, სამტრედიის „იბერიაში“, თბილისის „დინამოში“ (იოჰან ბოსკამპის მიწვევით). მერე სოსო „იბერიას“ დაუბრუნდა, ვასოს კი რუსეთის უმაღლესდივიზიონელ მახაჩყალის „ანჟიში“ მოხვედრის რეალური პერსპექტივა ელოდა, მაგრამ ავადმყოფობამ შეუშალა ხელი და, ფაქტობრივად, ექვსი თვე უთამაშებელი იყო. ამ ზაფხულს კი ტყუპებმა მოსკოვს მიაშურეს, „ტორპედოში“ ისინჯებოდნენ და იქ დარჩენის შანსიც ჰქონდათ, მაგრამ არ გაუმართლათ. მოულოდნელად გაიყო ტყუპთა გზები. სოსო საქართველოში დაბრუნდა, ისევ „იბერიაში“, ვასო კი სიმფეროპოლში აღმოჩნდა, „ტავრიასთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ გუნდის შემადგენლობაში უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის შვიდ და თასის გათამაშების ორ მატჩში ითამაშა. ითამაშა და ხუთი გოლითაც შეეწია ახალ გუნდს.*

*15 ნოემბერს „ტავრიამ“ პირველი წრის გამოტოვებული შეხვედრა დონეცკის „შახტიორთან“ ფრედ რომ დაასრულა, ფეხბურთელები ერთთვიან შვებულებაში გაუშვა. ვასოც, ბუნებრივია, ნახევარი წლის უნახავი ოჯახის წევრების გასახარად, ქუთაისს ჩამოვიდა.*

**— მოსაყოლი ბევრი გექნება, მაგრამ ჯერ ის დავაზუსტოთ, „ტავრიაში“ როგორ აღმოჩნდი...**

— ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. მე და ჩემი მეგობარი შოთა ჩომახიძე სამარაში ვიყავით ჩასულნი. „კრილია სოვეტოვში“ უნდა გავესინჯეთ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, დავაგვიანეთ. სატრანსფერო ვადა რუსულ უმაღლეს ლიგაში იმ დროისათვის ამოწურული იყო. სასტუმროს ნომერში ვისხედით დაბნეულები, როცა სატელეფონო ზარი გაისმა. „ტავრიას“ მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ იშჩენკომ შოთა მოიკითხა. სიმფეროპოლელებს კარგა ხანია მისი ტერნოპოლის „ნივადან“ გადმობირება სურთ, მაგრამ კლუბები ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ. ძალიან კი გამიკვირდა, როცა ჩომახიძემ მოსაუბრეს უთხრა — ისიც აქ არისო. თუ მანდ არის, მაშინ დროს ნუღარ კარგავთ და ერთად ჩამოდითო — თხოვა შოთას იშჩენკომ.

ჩვენც მეორე დღესვე გადავფრინდით სიმფეროპოლში. შოთამ ამიხსნა რაშიც იყო საქმე. როცა იგი „ტავრიაში“ ვარჯიშობდა, იშჩენკოს უკითხავს, საქართველოში ისეთი თავდამსხმელი ხომ არ არ გეგულება, ჩვენ რომ გამოგვადგესო. შოთასაც მე ვუხსენებივარ. ჩემს შესახებ უფრო რომ ჩაჰკითხვია, იშჩენკოს უთქვამს, ეგ ბიჭი მეც მახსოვს „კრივბასიდანო“. კრივოი როგის გუნდში მე და სოსო გასულ ზამთარს ვიყავით გასინჯვაზე, ორ საკონტროლო შეხვედრაში მივიღეთ მონაწილეობა.

სიმფეროპოლში ისე თბილად მიმიღეს, რომ არც ველოდი. ჯერ ამხანაგურ მატჩში დამაყენეს ხერსონის გუნდთან. თამაში წამივიდა, გოლიც შევაგდე. მოკლედ რომ ვთქვა, მომიწონეს და „იბერიას“ პრეზიდენტს ნუგზარ ნიკოლეიშვილს დაუკავშირდნენ კონტრაქტის პირობებზე მოსალაპარაკებლად. „ტავრიასთან“ ერთწლიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი.

**— სიმფეროპოლში გოჩა ტრაპაიძე დაგხვდა...**

— კი. იგი ჩემზე ადრე მივიდა გუნდში და ყველას შეაყვარა თავი, როგორც პიროვნებამ და როგორც მოთამაშემ. სულ ერთად ვიყავით.

**— ვიყავითო?**

— ჰო, სანამ საცხოვრებელს შევიცვლიდი. ერთი თვის წინ კლუბმა ქალაქის ცენტრში კეთილმოწყობილი ბინა გამომიყო.

**— ესე იგი ახალ გუნდს იოლად შეეწყვე?**

— „ტავრიაში“ მომზადებული რომ არ მივსულიყავი, ალბათ, გამიჭირდებოდა. იშჩენკო უკრაინაში ავტორიტეტული მწვრთნელია, გუნდს დიდი დატვირთვით ავარჯიშებს. უკრაინის ჩემპიონატში კარგი ფიზიკური მომზადების გარეშე ფონს ვერ გახვალ. ყველა გუნდი სწრაფ, ხისტ ფეხბურთს თამაშობს, მოედანზე ამოსუნთქვის საშუალება არა გაქვს. საქართველოს ჩემპიონატთან ძალიან დიდი განსხვავებაა, ჩემი აზრით, იქ უფრო პროფესიულად ეკიდებიან საქმეს.

**— იშჩენკომ თავიდანვე წინ წაგწია?**

— თავიდანვე. „ტავრია“ საშინაო მატჩებს ორი თავდამსხმელით თამაშობს. ხან კისლოვი, ხან მიტროფანოვი, ხანაც ანტიუხინი მეწყვილებიან. მიტროფანოვის შესახებ, ალბათ, გსმენიათ. ადრე უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი გახლდათ. სტუმრად მარტო მიწევს წინ თამაში, თუმც დასახმარებლად მუდამ მზად არიან კისლოვი, მიტროფანოვი, ტრაპაიძე და სხვებიც.

**— ცამეტ თამაშში შვიდი ფრე. „ტავრია“ მოყაიმე გუნდია?**

— უკრაინის ჩემპიონატში ქულაც კი დიდი ოფლისღვრის ფასად მოიპოვება. მცველები ხისტად გეთამაშებიან, გასაქანს არ გაძლევენ. მარიუპოლის „მეტალურგთან“, მაგალითად, სამი მცველი მომიჩინეს. ყველაზე მეტად სწორედ ამ თამაშში გამიჭირდა. პირველი წრის შემდეგ „ტავრია“ მეშვიდე ადგილზეა. კლუბის ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს საშუალედო ფინიშთან მიღწეულს. მეორე წრეში თუ მოვუმატებთ, ხუთეულში მოხვედრასაც შევძლებთ, რადგანაც მთავარ კონკურენტებს დონეცკის „მეტალურგს“, ცსკა-ს, „კარპატის“ ბევრად არ ჩამოვრჩებით, თანაც სამივეს ვმასპინძლობთ.

**— ჩემპიონატის შვიდ მატჩში მიიღე მონაწილეობა. შენთვის საუკეთესო რომელი იყო?**

— ჯერ „კრივბასთან“. 3:0 მოვიგეთ. ერთი გავიტანე და ორის თანაავტორი გახლდით. „დნეპრთან“, „შახტიორთან“ გვქონდა დიდი ბრძოლა. თავი არც სხვა მატჩებში დამიზოგავს. საერთოდ, სამჯერ მოვხვდი ტურის ნაკრებში, ორჯერ გოჩა ტრაპაიძესთან და გიორგი დემეტრაძესთან ერთად.

**— „ტავრიაში“ კარგი პირობებია?**

— ნორმალური. კლუბის ხელმძღვანელობა მზრუნველობას არ აკლებს გუნდს.

**— „ტავრიას“ უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვი?**

— გუნდი 15 დეკემბერს შეიკრიბება. ქალაქ საკში ძალებს აღვიდგენთ. მოსამზადებელ პერიოდში ადგილზე ყირიმში, თურქეთში, ისრაელში გვექნება შეკრებები, შესაძლოა ბელგიაშიც გავემგზავროთ.

**— სამეორწრეოდ იშჩენკო გუნდში ახალი ფეხბურთელების მოყვანას ხომ არ აპირებს?**

— პირველი წრის დასრულების შემდეგ „ტავრია“ რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. რაღა თქმა უნდა, შევსება საჭირო იქნება. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი რუვიმ არონოვი მოწადინებულია გუნდის გაძლიერებაზე და ვნახოთ. ისე, გეტყვით, „ტავრიას“ ორი თუ არა, ერთი ქართველი მაინც შეემატება. ახლახან ჩემი ძმა სოსო იყო ჩასული სიმფეროპოლში, იშჩენკომ იგი სამ ამხანაგურ მატჩში გასინჯა — ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცთან“, უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთან და ერთ-ერთ მეორელიგელ გუნდთან. სოსო საყრდენს თამაშობდა. მწვრთნელმა გარჯა მოუწონა და ერთად გავემგზავრებით სიმფეროპოლში. როგორც ვთქვი, ალექსანდრ იშჩენკო შოთა ჩომახიძითაცაა დაინტერესებული. თუ „ტავრია“ და „ნივა“ შეთანხმდნენ, მაშინ შოთაც ჩვენთან იქნება. სხვათა შორის, სიმფეროპოლში გასინჯვაზე „ბათუმის“ ყოფილი თავდამსხმელი ნიგერიელი უჩე უვაკვეც იყო, მაგრამ იშჩენკომ უარით გაისტუმრა.

**— „ტავრიაში“ დიდხანს აპირებ დარჩენას?**

— სულ მცირე ექვსი თვე. მერე ვნახოთ. „ტავრიას“ ვიცე-პრეზიდენტი რუვიმ არონოვი ჯერ-ჯერობით არ მიმხელს თუ რომელ, მაგრამ უფრო ძლიერ გუნდში მოწყობას კი მპირდება.

**— ნაკრებში თამაშზე თუ ფიქრობ?**

— ნაკრებში მოხვედრა ყველა ფეხბურთელის ოცნებაა და არც მე ვარ გამონაკლისი. ვიცი რომ ამისთვის ბევრი შრომაა საჭირო და მეც ვიშრომებ. სხვა რა მევალება?

ინტერვიუს დასასრულს „უკრაინსკი ფუტბოლიდან“ ერთ ციტატას მოვიშველიებთ. აი, რას წერს პოპულარული გაზეთი: „გიგიაძემ მართლა გაგვაოცა. დიდი ხანია „ტავრიას“ არ ჰყოლია ასეთი მოქნილი, თანაც სანიმუშოდ გაწვრთნილი ფორვარდი“.

...თქვენ კი, რა ჯოკერი, რის ჯოკერიო...

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**



[illegible] ფოტო

ვასილ გიგიაძე

# სწავლა მასწავლებელთა

## ოცი წლისანო და უფროსებო

**რამდენიმე** ქართველ მწვრთნელს ოფიციალური მეთოდური განათლება მიუღია, ზოგს საერთაშორისო პროგრესკურსებზეც უვლია, მაგრამ ახლა მწვრთნელთა განსწავლის საქმე საერთაშორისო სისტემად ჩამოყალიბდა და ჩვენ ამ პროცესში ინტეგრირებულნი ჯერაც არ ვართ.

არსებობს უეფას კონვენცია, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ 14 ქვეყანას აერთიანებს, ძირითადად წამყვან საფეხბურთო სახელმწიფოებს და მათ მწვრთნელებს უფლება აქვთ, კონვენციის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში იმუშაონ. სფფ-ს სურს, შეუერთდეს ამ კონვენციას, მუდმივმოქმედი მწვრთნელთა კურსები ასაქმიანოს საქართველოში და ამის თაოსნობა გია გეგუჩაძეს დაავალა. ეს პიონერული ღონისძიება (მწვრთნელთა კურსები სფფ-ს უწინდელი ხელმძღვანელობის ძალისხმევითაც ჩატარებულა საქართველოში, მაგრამ სულ სხვა ფორმით), რა თქმა უნდა, ბევრ საინტერესო შეკითხვას ბადებს და გია გეგუჩაძეც არ დაგვზარდა, საქმის ვითარებაში უკეთ გავერკვიეთ.

...ამ რამდენიმე დღის წინ მალტაში გახლდით უეფას მწვრთნელთა ყოველწლიურ შემეცნებით კურსებზე. ბევრი საინეტერსო რამ მოვისმინე, ვისწავლე ის, რასაც ყველა თანამედროვე მწვრთნელი უნდა გაეცნოს. მზად ვარ, ეს ყველაფერი ჩემს ქართველ კოლეგებს გავუზიარო, რადგან ვთვლი, რომ მიღებული ცოდნა მხოლოდ მე არ მეკუთვნის.

...ჩვენში პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზიის მისანიჭებლად ჯერ მზად არ ვართ, ამას გარკვეული დრო სჭირდება. A და B დიპლომების გაცემა კი უკვე შეგვიძლია. ჯერ B დიპლომია საჭირო, რომ A აიღო. B დიპლომიანებს უფლება ექნებათ, ბავშვთა ფეხბურთში იმუშაონ, A დიპლომიანებს კი — მოყვარულ გუნდებში და პროფესიონალებში მთავარი მწვრთნელის ასისტენტად. დიპლომისთვის ერთთვიანი კურსის გავლაა საჭირო.

...უშუალოდ საფეხბურთო ასპექტების გარდა, მწვრთნელებს წაეკითხებათ სამედიცინო და ფსიქოლოგიური ლექციებიც. ლექტორთა კონტინგენტი შერჩეული გვყავს.

...მწვრთნელთა მომზადებაში ბევრი სხვა ფაქტორებიცაა. მაგალითად, მაღალი კლასის ფეხბურთელებთან ურთიერთობა. მართალია, ჩვენ კლუბებს მილიონერი ფეხბურთელები არ ჰყავთ, მაგრამ ეს ხომ ერთ-ერთი მეტად საინტერესო საკითხია. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა ბილ ბესვიტმა სწორედ ამ თემაზე წაგვიკითხა ლექცია. მნიშვნელოვანია აგრეთვე მწვრთნელების პრესასთან ურთიერთობის საკითხიც და სხვაც ბევრი.

-წლეულს სექტემბერში, ჟენევის მწვრთნელთა კონფერენციაზე მოვისმინე როჟე ლემერის ლექცია თამაშის ანალიზის საკითხზე უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით. არც ისე შეუძლებელია, ასეთი მეთოდი ჩვენთანაც დავნერგოთ.

...პირველ კურსებს ალბათ ოთხი თვის შემდეგ ჩავატარებთ. მწვრთნელები 120-საათიან ციკლს გაივლიან. მათი კურსებზე მიღების წესსაც მანამდე დავხვეწთ. რა თქმა უნდა, ვისაც უკვე დიდი გამოცდილება აქვს, მათთვის არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს A და B დიპლომებისთვის სწავლა. ასე რომ, გამონაკლისებს დავუშვებთ, რაც უეფას დირექტივაც არის. დღესდღეობით ბავშვთა ფეხბურთში 170 მწვრთნელი მუშაობს და მათ დიპლომირებას დაახლოებით ორი წელი დასჭირდება.

...ჩვენს კურსებს პერიოდულად დაესწრებიან უეფას წარმომადგენლები. კურსების პროგრამა უეფას ტექნიკური კომიტეტის მიერ დამტკიცდება. საერთოდ, ქართველ მწვრთნელთა დიპლომირებას უეფა მუდმივად გაუწევს მეთვალყურეობას — ჩვენ ხომ ხელი უნდა მოვაწეროთ კონვენციას, რომლის ძალითაც ქართველ მწვრთნელებს უფლება ექნებათ, ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში იმუშაონ.

...პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზიის მიცემა, როგორც უკვე გითხარით, მომავლის საქმეა, რასაც აუცილებლად შესაბამისი საკანონმდებლო ბაზაც ესაჭიროება.

...მწვრთნელთა დიპლომირების ამ პროექტის სახელწოდებაა JIRA PANEL PROECT. მხოლოდ მწირი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ ჯირა ჩეხი მწვრთნელი იყო, რომელიც მწვრთნელთა სწავლა-განათლებას ფაქტობრივად საზოგადოებრივ საწყისებზე ახორციელებდა.

...უნდა გითხრათ, რომ ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს გაიოზ დარსაძესთან. ისიც, რა თქმა უნდა, ჩაერთვება ჩვენი მწვრთნელების მომზადების საქმეში. დარსაძეს ხომ უდიდესი გამოცდილება აქვს ამ მხრივ.

...კურსები ფასიანი იქნება, თანხა — ხელმისაწვდომი. ასაკობრივი შეზღუდვა ისაა, რომ 20 წელზე უმცროსები არ მიიღებიან.

..ჩვენი სურვილია, მწვრთნელობა მაღალპრესტიჟული პროფესია გახდეს და გამოვრიცხოთ შემთხვევითი პიროვნებების არსებობა ქართულ ფეხბურთში.

**დავით თავართქილაძე**



ანზორ კავაზაშვილი

ცნობილ მეკარეს, საქართველოდან წლების წინ წასულ ანზორ კავაზაშვილს ახლახან სამოცი წელი შეუსრულდა. თავის დროზე ის ორჯერ დაასახელეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მეკარედ, ორჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი და მსოფლიოს ორ (1966, 1970) ჩემპიონატზეც ითამაშა.

მერე ცოტა ხანს მწვრთნელობდა. რვა წლის წინ კი რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცობაც განიზრახა, მაგრამ ვიაჩესლავ კოლოსკოვს ვერ აჯობა და მას შემდეგ, როგორც ამბობს, ფეხბურთს ტელევიზორშიც კი იშვიათად უყურებს — არ მცალიაო. ბიზნესმენობა დაუწყია, ფარეხებს აშენებს და მოსკოვში, ვერნადსკის გამზირზე მთელი კომპლექსი წამოუჭიმია.

ამ დღეებში ძალიან გაუკვირდა, როცა მასთან „სპორტ ექსპრესის“ კორესპონდენტი მივიდა. საიდან გაგახსენდითო, უხუმრია და მერე ბევრი საინტერესო რამ მოუყოლია. ჩვენც მცირე შემოკლებით გთავაზობთ კავაზაშვილის ნაუბარს.

# ქართველი საქმოსნები სამ მანქანას მთავაზობდნენ: ანზორ, გაუშვიო!

— თავიდან, ეზოში, თავდამსხმელად ვთამაშობდი, მაგრამ თხუთმეტი წლისა უკვე ბათუმის ტექსოპარკის გუნდის კარში ვიდექი. ეტყობა შემამჩნიეს და თბილისიდან კგბ-ს ორი ოფიცერი ჩამოვიდა — „დინამოში“ მიწვიეს. ბავშვობიდან სუსტი ვიყავი. 11 წლისა კინაღამ ნაღვლის ბუშტმა შემჩრა, ამიტომ დიდ ფიზიკურ დატვირთვას მარიდებდნენ. თამაში მინდოდა და ჩემი მაინც გავიტანე. თბილისისკენ მთელი ქუჩა მაცილებდა. საერთო საცხოვრებელში ერთი თვე გავძელი, მერე დედა მომენატრა და გავიპარე. სამ დღეში ისევ კგბ-დან მომაკითხეს და ლესელიძეში, „დინამოს“ ბაზაზე წამიყვანეს, მწვრთნელმა ხუხუჭა ქოჩორზე ხელი გადამისვა და თავის გადაპარსვა მიბრძანა...

## მოსკოველი ბაბუა

— მალე „დინამოდან“ ისევ გავიპარე. ამ დროს უკვე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ვთამაშობდი. ერთხელ გენტიდან მოსკოვში ვბრუნდებოდით. ვიფიქრე, წავალ „სპარტაკში“, ეგებ ამიყვანონ-მეთქი. მატარებლით მივედი ტარასოვკის ბაზაზე.

შევდივარ, ვხედავ, ვიღაც მოხუცი სკამზე ჩამომჯდარა. დარაჯი მეგონა.

— რა გინდაო — მკითხა. მეკარე ვარ თბილისიდან-მეთქი. თავი გააქნია, არ გიცნობო. „როგორ, ძირითადში მათამაშებენ და...“

მაშინ „დინამოს“ კარის დარაჯი დიდებული მეკარე სერგო კოტრიკაძე იყო — „არ ვიცი, შენთვის „სპარტაკში“ თამაში ჯერ ადრეა, წამოიზრდები და მერე გამოიარე“.

კინაღამ გავგიჟდი, თქვენ ვინ ხართ, ასე რომ მელაპარაკებით-მეთქი.

„გუნდის უფროსი სტაროსტინი გახლავართო“ — მიპასუხა. „დამაცალეთ, შეგეხვეწებით და აღარ მოვალ-მეთქი“ — ვუთხარი და წამოვედი.

სტაროსტინს ვუყვარდი. თავის წიგნებშიც არაერთხელ დაუწერია ამაზე.

## თბილისური აეროდრომი

— მაგრამ ეს მერე იყო. მაშინ კი, 57-ში, თბილისში დავბრუნდი. მალე იუნიორთა შორის ევროპის საუკეთესო მეკარედ დამასახელეს, დაახლოებით წელიწადნახევარში ძირითადშიც ჩამაყენეს, მაგრამ რადიკულიტი დამემართა და ერთი თვე არ მძინებია. ამ დროს „დინამომ“ ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიგო. საკმარისი მატჩები მქონდა ნათამაშევი, მაგრამ მედალი მაინც არ მომცეს. მერე საზღვარგარეთულ შეკრებაზეც არ წამიყვანეს და გავბრაზდი. მოსკოვის თვითმფრინავზე ბილეთის ასაღებად გავიქეცი. პასპორტს ვაწვდი, მოლარე კი მეუბნება: ანზორჩიკ, ხუთი წუთი მოითმინე, ახლავე მოვალო. დაბრუნდა და... იცი, ხელმძღვანელობამ ბილეთის მოყიდვა ამიკრძალა, არ შეიძლება შენი ქალაქიდან გაშვებაო.

შენობიდან დამჟავებული გამოვედი. ქუჩაში ნათესავი შემხვდა და როცა ჩემი ამბავი გაიგო, ბილეთი თავის გვარზე ამიღო, „კეპკა-აეროდრომი“ დამახურა და გამიშვა. საკონტროლო პუნქტში პასპორტში არც არავის ჩაუხედავს.

მოსკოვში ლენინგრადის მატარებელზე გადავჯექი — „ზენიტში“ მეძახდნენ.

## პიტერული კონსპირაცია

— თავიდან გუნდის უფროსის ბინაში დამმალეს. არც ვიცოდი, რომ თბილისიდან ორი „კაგებეშნიკი“ გამოეგზავნათ ჩემს საძებრად. გასაკვირია, მაგრამ მიპოვეს. როცა მოვიდნენ, უფროსის ცოლმა უთხრა, ანზორი ორი კვირაა ბათუმში წავიდაო. ცოტა ილაპარაკეს და წავიდნენ. ჩემპიონატის დაწყებამდე კი სამი თვეა დარჩენილი. რა უნდა მოიგონოს „ზენიტმა“? ამ დროს ტაშკენტის „პახტაკორი“ ორთვიან აზიურ ტურნეში მიემგზავრებოდა. მათთან ერთად გამიშვეს და გაზაფხულამდე უზბეკებთან ვვარჯიშობდი. მერე ისინიც აღარ მიშვებდნენ, დიდ ფულს მთავაზობდნენ, მაგრამ ვიუარე. ძალიან ცხელოდა ტაშკენტში.

## მეორე ქართველი იქნები?

— „ზენიტში“ წელიწადი გავატარე და მასლოვმა მოსკოვის „ტორპედოში“ დამიძახა: ერთი ქართველი, მეტრეველი უკვე გვყავს, მეორე იქნებიო? არც დავფიქრებულვარ. მაშინ ქართველები თბილისის „დინამოს“ გარდა მხოლოდ მოსკოვის „დინამოსა“ და „ტორპედოს“ სწყალობდნენ, „სპარტაკს“ კი ვერ იტანდნენ. თავიდან ვინანე, ორი წელი სათადარიგოთა სკამზე გავატარე. მერე, როცა „ტორპედოდან“ ცსკა-ში უამრავი ხალხი გადაიყვანეს, გზა გამეხსნა და საუკეთესო წლებიც დაიწყო.

## ტაშკენტის გადათამაშება

— 1964 წელია. ვერაფრით გამიგია, როგორ დაგვეწია მაშინ თბილისის „დინამო“, მაგრამ ფაქტია, ტაშკენტში ოქროს მედლებისთვის დამატებითი მატჩი დაინიშნა. ჩვენ „პახტაკორის“ ბაზაზე ვცხოვრობდით. ვიცოდი, ქართველები მომადგებოდნენ და თამაშის გაყიდვას შემომთავაზებდნენ.

მოვიდნენ. ცნობილი საქმოსნები სამ მანქანას მთავაზობენ: ანზორ, გაუშვი, ვინ იცის, სხვა დროს როდის გახდება თბილისი ჩემპიონიო.

მწვრთნელებთან მივედი და ვუთხარი, თვითონ გადაწყვიტეთ, ვის დააყენებთ კარში, მაგრამ რომ გავუშვა, თითს ყველა ჩემსკენ გამოიშვერს — თამაში გაყიდაო. იფიქრეს და ედიკ შაპოვალენკო დააყენეს, მაგრამ მან ვერაფერი გააწყო, კუთხურიდანაც კი გაუშვა. მერე ვალია ივანოვმა გაიტანა, მაგრამ კუნთი დაეჭიმა და შეცვალეს. მოკლედ, 1:4 წავაგეთ. სამაგიეროდ, მომავალ წელს „ტორპედო“ სუფთად გახდა ჩემპიონი. მაშინ ყველაზე ძლიერები ვიყავით. თბილისს არც შევადარებ.

## ქუთაისური ამბავი

— მწვრთნელი ვერ გავხდი. გული არ მიწევდა. „სპარტაკის“ შემდეგ, 1972-ში ქუთაისში მეძახდნენ. თავიდან როგორც მოთამაშეს, მაგრამ უარი ვთქვი. ვარსკვლავი ვიყავი — იმ წლებში რვაცილინდრიანი „ფორდით“ დავდიოდი და ქუთაისში გადავსულიყავი? ისე, კარგ ფულს კი მთავაზობდნენ.

მერე ახალი ტალღა აგორდა. ქალაქკომის პირველი მდივანი მოვიდა და მთავარი მწვრთნელობა შემომთავაზა. მაშინ მთელი ქალაქი უმაღლეს ლიგაზე ოცნებობდა. დავთანხმდი. თხუთმეტი ტურის შემდეგ პირველ ადგილზე ვართ. აგარაკზე ვზივარ და თამაშისთვის ვემზადები. უცებ ვსევოლოდ ბლინკოვი შემოდის. გამიხარდა, ვიფიქრე, დასასვენებლად ჩამოვიდა-მეთქი. მაპატიე ანზორ, მაგრამ დღეიდან მთავარი მწვრთნელი მე ვარო — მითხრა. მახსოვს, ქალაქკომის მდივანი მთელი წელიწადი მემალებოდა.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ქუთაისში სეზონის ბოლომდე მეკარედ მაინც დავრჩი, მაგრამ ფეხბურთელები სულ მთვრალები დადიოდნენ და როცა ბლინკოვს მიზეზი ვკითხე, შენი საქმე არაა, მწვრთნელი ვარ და პასუხს ვაგებო — მომიგო. აღარაფერი მითქვამს. იმ წელს მეექვსე ადგილი დავიკავეთ, მე კი ფეხბურთს საბოლოოდ დავანებე თავი.

## მადლობა კოლოსკოვს

— კოლოსკოვი ჩემს მეზობლად ცხოვრობს. თავის დროზე სკამი ვერ გავიყავით, მაგრამ ბოლმა გულში არ ჩაგვიდია. უბრალოდ, საწყენია, უფრო ეშმაკურად რომ მოვქცეულიყავი, ახლა რუსული ფეხბურთის ხელმძღვანელი ვიქნებოდი. სტაროსტინმა მაშინ ვალია ივანოვის პირით შემომითვალა: ანზორის დიდი პატივისცემის მიუხედავად, ქართველი რუსულ ფეხბურთს ვერასოდეს უხელმძღვანელებს. ამას არავინ დაუშვებსო.

მაშინ რომ თანამდებობა მიმეღო, ახლანდელი კაბინეტი აღარ მექნებოდა. ასე რომ, კარგია, რომ წავაგე. გამოდის, კოლოსკოვს მადლობა უნდა გადავუხადო.




სანდერლენდი — მანჩესტერი 2:1. ამ შეჯახების შემდეგ დუაიტ იორკი მოედნიდან გააძევეს, ემერსონ ტომე (№36) კი გაიტანეს

## ინგლისი

### ლიგის თასის მერვედფინალი

**სანდერლენდი 2:1დ.დ.(1:1) მანჩესტერი**

0:1 იორკი (31), 1:1 არკა (75), 2:1 ფილიპსი (101პ)

**იფსვიჩი 2:1 ძოვენთრი**

1:0 ბრემბლი (6), 1:1 ბელამი (54პ), 2:1 ჯონსონი (65)

**კრისტალ პალასი 0:0 ტრანმერი**

**ბარტეზი,** გარი ნევილი, კინი, სქოულზი, ბათი, ბექემი და შერინგემი — ეს დასვენებულთა სიაა, სტამი, გიგზი და კოული კი — დაშავებულების. რაღა დარჩა? რა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ სარეზერვო შემადგენლობა მეორე ნევილით, იორკითა და სოლსკიაერით გაძლიერებული. 82-ე წუთზე მსაჯმა იორკი გააძევა. შედეგი? ცხადია, მეოთხედფინალში „სანდერლენდი“ გავიდა.

ლიგის თასის პრესტიჟი დიდი ხანია დაეცა, თუმცა მისი მომგები უეფას თასის საგზურსაც იგებს და ამიტომ ბევრისთვის ის მნიშვნელოვან ტურნირად რჩება. მაგალითად, „სანდერლენდისთვის“, რომელიც აგებდა, მაგრამ ბოლომდე იბრძოლა და მიზანსაც მიაღწია: 75-ე წუთზე არგენტინელმა ხულიო არკამ ჩინებული თავურით გაათანაბრა, დამატებით დროში კი კევინ ფილიპსმა, თვენახევარი რომ ვერ გაეტანა, პენალტიდან გამარჯვებისა შეაგდო. მაგრამ მანამდე იყო 82-ე წუთი, როცა ტრინიდადელმა იორკმა მასპინძელთა ბრაზილიელ მცველ ემერსონ ტომეს ლამის ფეხი მოტეხა და გასახდელის გზას გაუდგა. „ახლა დუაიტს სამმატჩიან დისკვალიფიკაციას მისცემენ და ვინაიდან კოულიც დაშავებულია, თავდასხმაში დიდი პრობლემები შეგვექმნება. ისე, ასეთი საქციელი იორკისთვის დამახასიათებელი სულაც არაა და მსაჯს შეეძლო ეს გაეთვალისწინებინა. ბოლო-ბოლო, ტომე მთელი თამაში ეუხეშებოდა ჩვენებს“ — მიუხედავად ყველაფრისა, ალექს ფერგიუსონი მაინც ბრაზობდა.

ამავე გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა „იფსვიჩი“, რომელსაც ამჟამად საამური დრო უდგას — პრემიერლიგაში წლეულს ალზევებული იქაც წარმატებით თამაშობს და მესამე ადგილზეა.

აი, ქვეყნის თასი კი სულ სხვაა. აქ არავინ იკადრებს სათადარიგო შემადგენლობით თამაშს (არადა, მისი გამარჯვებულიც იგივე უეფას თასზე გადის). თუმცა მსოფლიოს უძველეს საფეხბურთო შეჯიბრში ჯერჯერობით უძლიერესები არ ჩაბმულან, გასული ეტაპის მთავარი სენსაცია კი მეორედივიზიონელი „პორტ ვეილის“ მარცხი გახლდათ. სრულიად უცნობმა „ქანვეი აილენდმა“ ჯერ შინ, ბოლო ორ წუთში გატანილი ორი გოლით მიაღწია გადათამაშებას (4:4), გუშინწინ კი მეტოქე გასვლაზე დაამარცხა.

### ასოციაციის თასი

I ეტაპის გადათამაშება

ბარტონი — კიდერმინსტერი 2:4; ბალი — კეტერინგი 0:1; ნორვიჩი — ბერი 1:0; პიტერბორო — მენსფილდი 4:1; პლიმუთი — ჩესტერი 1:2დ.დ. (1:1); პორტვეილი — ქანვეი 1:2დ.დ. (0:0); საუთენდი — ტორკი 2:1დ.დ. (1:1); გრავესენდი — ნოთს ქაუნთი გაიმართება 5 დეკემბერს

II ეტაპის წილისყრა

8 დეკემბერი: ჰულსოლი — ბარნეტი. 9 დეკემბერი: ბორნმუთი — ნიუნიტონი; ბრისტოლ სიტი — კეტერინგი; ნორვიჩი — ლეიტონ ორიენტი; ქანვეი — საუთენდი; კარდიფი — ჩელტენემი; ჩესტერი — ოქსფორდი; დარლინგტონი — ლუთონი; კიდერმინსტერი — კარლაილი; ლინკოლნი — დაგენემი; პიტერბორო — ოლდემი; მორეკემბი — კემბრიჯი; როტერემი — ნორთჰემპტონი; სკანთორპი — ბრაიტონი; სოთპორტი — კინგსტონიანი; სუინდონი — გათეშედი; უიგანი — გრავესენდი ან ნოთს ქაუნთი; იორკი — რედინგი. 10 დეკემბერი: ბლექპული — იოვილი; მილუოლი — უიკომბი

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი

I მატჩი

**მილანი 4:2 ატალანტა**

0:1 განცი (20), 1:1 ლეონარდო (31), 1:2 ნაპი (45პ), 2:2 ხოსე მარი (55პ), 3:2 ლეონარდო (66), 4:2 შევჩენკო (88)

მილანი: აბიატი, სალა, როკე ჟუნიორი, მალდინი, ჰელვეგი, ამბროზინი (გატუზო 46), ჯუნტი (ბრინიჩი 77), სერჟინიო, ლეონარდო, ბირინდელი (შევჩენკო 61), ხოსე მარი

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

ატალანტა: პელიცოლი, სიგილია, ნატალი (რუსტიკო 70), ლორენცი, ბელინი, კ. ძენონი (დ. ძენონი 46), გალო, დუნდიერსკი, პინარდი, ნაპი, განცი (როსინი 61)

მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი

გაფრთხილება: ბელინი, სიგილია, ხოსე მარი

6 112 მაყურებელი

## გერმანია

### თასის მერვედფინალი

**უნიონი 4:2 ულმი**

0:1 შარინგერი (26), 1:1, 2:1 ისა (30, 44), 3:1 დურკოვიჩი (72), 3:2 ლეანდრო (75პ), 4:2 პერშიხი (81)

**მაგდებურგი 5:3დ.დ.(3:3) კარლსრუე**

0:1 გრიმი (18), 1:1 მასლეი (33), 1:2 ვაისი (44პ), 2:2 მასლეი (77), 2:3 ნაგორნი (78), 3:3 პანზანი (90), 4:3 შოლცი (95), 5:3 მიდლო (119)

**ვოლფსბურგი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 0:0) დუისბურგი**

0:1 მილოვანოვიჩი (116), 1:1 აკონორი (119)

## უკრაინა

გადადებული მატჩი: კრივბასი — შახტარი 0:4

I წრის საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 13 | 9 | 3 | 1 | 38:13 | 30 |
| დინამო | 13 | 9 | 3 | 1 | 24:9 | 30 |
| დნიპრო | 13 | 8 | 3 | 2 | 14:9 | 27 |
| მეტალურგი | 13 | 6 | 5 | 2 | 15:12 | 23 |
| კარპატი | 13 | 7 | 0 | 6 | 23:18 | 21 |
| ცსკა | 13 | 5 | 6 | 2 | 16:9 | 21 |
| ტავრია | 13 | 4 | 7 | 2 | 14:11 | 19 |
| მარიუპოლი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:15 | 16 |
| ზაპოროჟიე | 13 | 4 | 3 | 6 | 17:22 | 15 |
| მეტალისტი | 13 | 3 | 4 | 6 | 10:19 | 13 |
| კრივბასი | 13 | 3 | 3 | 7 | 12:20 | 12 |
| ნივა | 13 | 2 | 3 | 8 | 15:27 | 9 |
| ვორსკლა | 13 | 2 | 2 | 9 | 6:18 | 8 |
| სტალი | 13 | 1 | 2 | 10 | 8:22 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანდრეი ვორობეი (შახტარი) | 13 |
| გიორგი დემეტრაძე (დინამო) | 8 |
| ივან გეცკო (კრივბასი) | 7 |

## თურქეთი

### თასის მეთექვსმეტედფინალი

დარდანელსპორი — ანკარაგიუჯიუ 2:3; ალთაი — ტრაბზონსპორი 1:2; საკარიასპორი (?) — ბეშიქთაში 0:3



ვალერი კარპინი

# მე ვარ რუსი, მსე იგი, მეროპელი

**ახლახან** ვწერდით, ესპანური „სელტას“ რუსმა ვალერი კარპინმა სასამართლოში იჩივლა, დისკრიმინაციას განვიცდიო. მოგეხსენებათ, ევროპაში კლუბებს ხუთი არაევროკავშირელის ყოლის უფლება აქვთ და მათგან მხოლოდ სამს შეუძლია ერთდროულად მინდორზე ყოფნა. ისიც კარგად ვიცით, რომ რუსეთი ევროკავშირის წევრი არაა.

ვიგოელთა მერვე ნომერი არც ისე სულელია, სასამართლოში სამშობლოს ევროკავშირში მიღების მოთხოვნით რომ ეჩივლა და ოდენ თავისი გაევროპელება მოითხოვა.

საქმე მადრიდის სასამართლოში სამშაბათს გაირჩა და რუსმა საწადელი აისრულა — ამიერიდან ის ნაღდი ევროპელია და შაბათს ამ რანგში წარსდგება „ბარსელონას“ წინააღმდეგ, რომელსაც „სელტა“ პრიმერადივიზიონის მეცამეტე ტურში მასპინძლობს.

კარპინის გამარჯვებას საშუალო კლასის ადგილობრივი ფეხბურთელები დიდად არ გაუხარებია. ისინი ფიქრობენ, რომ ახლა კლუბებს საბოლოოდ გაეხსნებათ ხელ-ფეხი და მათ უფრო მაღალი კლასის უცხოელებს ამჯობინებენ. თუმცა სასამართლომ ასე ბრძანა და რაღას გააწყობენ.

აღსანიშნავია, რომ ვალერი კარპინი პირველი უცხოელი არ არის, რომელსაც ესპანურმა სასამართლომ ევროკავშირელობა უბოძა. პირინეებზე პირველად პროცესი ორმა ლიტველმა კალათბურთელმა მოიგო, რომლებიც ვიტორიას „ტაუში“ თამაშობენ. ახლა რიგში თურქი, სლოვენიელი და ჩეხი კალათბურთელები დგანან, რომლებსაც მალე სხვა ფეხბურთელებიც შეუერთდებიან.

წინ, ევროპისკენ!

# ბენფიკას თითი დაუქნიეს
## აქა ამბავი უცნაური ტრანსფერისა

**პორტუგალიურ** გრანდ „ბენფიკას“ ძალიან „ჭკვიანი“ ხელმძღვანელობა ჰყოლია. თუ არ გჯერათ, ამაში ახლავე დაგარწმუნებთ.

ლისაბონურმა კლუბმა ამ ზაფხულს რამდენიმე ტრანსფერი განახორციელა. აქედან ერთი მართლაც გამორჩეული გახლდათ.

საქმე ასე იყო: „ბენფიკა“ ჰოლანდიურ „ვიტესს“ დაუკავშირდა და სიტყვა გუნდის ბომბარდირ პიერ ვან ჰოიდონკზე ჩამოუგდო. არნემელებმა პორტუგალიელების წინადადება შორს დაიჭირეს, თავდამსხმელი ჩვენ გვჭირდებაო. ლისაბონელებმაც, ბევრი რომ იფიქრეს, ფორვარდის სანაცვლოდ 6,6 მილიონი ამერიკული დოლარი შესთავაზეს (ცნობისთვის, პორტუგალიურ კლუბს ასეთი თანხა ფეხბურთელში ჯერჯერობით არ გადაუხდია). ჰოლანდიელებიც ანკესს წამოეგნენ და ჰოიდონკის გაყიდვაზე დათანხმდნენ. „ბენფიკამ“ „ვიტესს“ ექვსასი ათასი დოლარი უმალ ჩაუთვალა, ექვს მილიონს კი, თავდამსხმელს რომ განაცხადში შევიყვანთ, მერე გადმოგირიცხავო, დაჰპირდა... ჰოიდონკი „ბენფიკამ“ შემადგენლობაში შეიყვანა, ათამაშებს და ფორვარდს გოლებიც გააქვს, „ვიტესისთვის“ დარჩენილი ექვსი მილიონის გახდა კი აზრადაც არ მოსვლია. რა კარგია, არა?

მაგრამ ევროპაში სამართალი არ დაიკარგება — არც უეფა არსებობს ტყუილად და არც სასამართლო. ცოტა ხნის წინ ევროფეხბურთის მმართველმა ორგანომ „ბენფიკას“ თითი დაუქნია (თბილისის „დინამო“ — „მრეტების“ დავა ხომ არ გაგახსენდათ?), თანხა დროულად გადაიხადეთ, თორემო...

„ვიტესმა“ უეფას მუქარა არ აკმარა „ბენფიკას“ და სარჩელი სასამართლოშიც შეიტანა, რომელმაც ვერდიქტი ორი დღის წინ გამოიტანა: ცხადია, „ვიტესი“ გამართლდა. ისე, საკითხავია, რა არგუმენტი აქვთ პორტუგალიელებს ისეთი, სატრანსფერო თანხას რომ არ იხდიან. იმას ვერ იტყვიან, ფული არ გვაქვსო, რადგან მთელი საფეხბურთო მსოფლიოს თვალწინ ეწვივნენ სტამბულს და „გალათასარაისთან“ მოლაპარაკებები წამოიწყეს, ჟარდელი დაგვითმეთ და 30 მილიონს გადაგიხდითო. ეს თავიდან, თორემ მერე არ იკითხავთ, რა ვარიანტი შესთავაზეს? 15 მილიონს ნაღდ ფულად მოქცემთ და 15 მილიონიც... სწორედ პიერ ვან ჰოიდონკში გვიანგარიშეთო.

ჭკვიანები არიან, არა?

**ვანო ოქროპირიძე**

# თქვენ რა იცით ძმობა და მაზი

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი კვლავ იძიებს „ატალანტა“ — „პისტოიეზეს“ სათასო შეხვედრის ჩაწყობის ამბავს. შეგახსენებთ, რომ სამი ბერგამოელი და ხუთი პისტოიეზელი ფეხბურთელი წინასწარ გარიგებაში ამხილეს, თუმცა მოგვიანებით პისტოიეზელ ჯანლუკა ლილოს ბრალდება მოუხსნეს.

პროკურატურისა და სადისციპლინო კომიტეტის საერთო აზრით, გარიგების მოთავე ატალანტელი კრისტიანო დონია და მასზე განსაკუთრებულ ზეწოლას ახდენენ. გამოძიებას დაუდგენია, რომ დონი „მაზავიკთა“ წრეში შინაურ კაცად ითვლება და ტოტალიზატორში დიდ ფულს ჩადის ხოლმე. ამასთანავე, შეამოწმეს დონის მობილური ტელეფონი და აღმოჩნდა, რომ მას იმ მატჩის წინა დღეებში 28-ჯერ დაურეკავს პისტოიეზელ ჯიროლამო ბიძარისთან, რომელიც გარიგების ერთ-ერთი თანამონაწილეა.

„მაგათ (ფედერაციას და პროკურატურას) ჩემი კუთხეში მიმწყვდევა და ჩაქოლვა უნდათ — ამბობს დონი — ტოტალიზატორმა დიდი ფული წააგო და შარს მდებენ. ფედერაცია კიდევ რაღაც სისულელეებს იგონებს, ოღონდ კი ჩაწყობა დაამტკიცოს. არადა, რაც არ ყოფილა, როგორ უნდა დაამტკიცო? და საერთოდ, მაგათ რა იციან, ჩაწყობა როგორ ხდება. ახლა გაიძახიან, კარგი კაცი თუა, ბიძარის 28-ჯერ რატომ დაურეკაო. გამაგიჟებენ! ვისი რა საქმეა, ძმაკაცს რამდენჯერ დავურეკავ? მაგრამ მაგ უბედურებმა ძმაკაცობაც არ იციან. ანდა, ის ნიძლავზე დიდ ფულს ჩადისო. ბეპე სინიორი მთელი ცხოვრება მაზავს, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს და ჩემგან რა უნდათ? დიახ, ვთამაშობ. აი, ახლა სერია A-ს ტური რომ იქნება, 22 ათასი დოლარი მაქვს დადებული, ბიჭებს დავენიძლავე. მერე რა? აბა, მაჩვენონ, სად წერია, რომ ადამიანს დანიძლავება არ შეუძლია. ჩემი გუნდის მოგებაზეც დამიდვია და ამაში ცუდს და უკანონოს ვერაფერს ვხედავ. მაგათ ჰგონიათ, რომ ამ საქმიანობით ვმდიდრდები. არაფერიც. ეს უბრალოდ თამაშია, გართობა. რა, გართობის გამო ჩემს საქმეს, პროფესიას ვუღალატებ და მატჩს ჩავაწყობ?“

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ბოლო სამი სხდომა დონის საკითხს მიუძღვნა და დაადგინა, მამხილებელი საბუთების მოძიება უნდა განვაგრძოთო.

**გიორგი დარჯანია**

# ერთ დროს უძვირესი

**იტალიურ** პრესაში გავრცელდა ცნობა, ჯანლუიჯი ლენტინის ჩინური „დალიან ვანდა შაიდი“ ეპატიჟება და ისიც ყაბულს არისო.

ეჰ, როგორ გარბის დრო. ამ რვა წლის წინ ბევრი ევროპული გრანდი ვერ შეძლებდა ამ კაცის გადაბირებას, ახლა კი ჩინელების საკბილო გამხდარა. 1992 წლის ერთ მშვენიერ დღეს საფეხბურთო სამყარო მილანიდან მოსულმა ცნობამ გააოცა — „მილანმა“ „ტორინოსგან“ ლენტინი 21,5 მილიონ დოლარად შეიძინაო. მაშინ ეს ზღაპრული თანხა იყო.

ლენტინიმ თამაში „ტორინოში“ დაიწყო. ცოტა ხანს „ანკონაშიც“ იყო და ისევ ტურინულ კლუბში დაბრუნდა. საარაკო ტრანსფერზე უკვე ვთქვით, მაგრამ აქედან სახეირო არაფერი გამოსულა — ოთხ მილანურ სეზონში ლენტინი მხოლოდ 63-ჯერ გავიდა მინდორზე (ტრავმებმა მეტის საშუალება არ მისცა) და ფეხბურთელის კარიერამ დაღმასვლა დაიწყო. „სან სიროდან“ თავდამსხმელი „ატალანტაში“ გადავიდა, იქიდან კი კვლავ „ტორინოს“ დაუბრუნდა. 13-ჯერ ითამაშა „სკუადრა აძურაში“.

წლევანდელ სეზონს „ტორინო“ სერია B-ში, ხოლო მისი ვარსკვლავი თავისუფალ აგენტად შეხვდა. ამბობენ, ჩინელთა გარდა ლენტინის იაპონური და არაბული კლუბებიც იწვევენო. მისით „ნაპოლი“ და „ატალანტაც“ ყოფილან დაინტერესებულნი, თუმცა ყველაზე რეალური ჩინური გზა ჩანს.



ჯანლუიჯი ლენტინი



რომარიო გაბრაზეს

# თქვენი ევროპელი...

**რამდენიმე** დღის წინ ფიფამ თავისი ფავორიტები დაასახელა, რომელთაგან ერთს წლის საუკეთესო ფეხბურთელად აირჩევენ. გამოკითხვაში 130 ქვეყნის ნაკრებთა მწვრთნელები მიიღებენ მონაწილეობას. გავიხსენოთ, რომ ფიფას რჩეულნი არიან რივალდო, ლუიშ ფიგუ და ზინედინ ზიდანი.

რომარიომ ფავორიტთა შორის საკუთარ სახელს რომ ვერ მოჰკრა თვალი, აღშფოთდა და ფიფა გვარიანად გამოლანძღა. „იქნებ ვინმემ ამიხსნას, რა კრიტერიუმებით ასახელებს ფიფა საუკეთესოებს — ცხარობს ბრაზილიელი, რომელიც ექვსი წლის წინ თავად ფლობდა წლის ფეხბურთელის ტიტულს — განა ესენი ცუდი ფეხბურთელები არიან და დაუმსახურებლად დააფასეს, მაგრამ რითი ვართ ნაკლები მე, არიელ ორტეგა და ხუან რიკელმე? ჩემზე ვიტყვი: წლეულს კარიოკას ჩემპიონატში (რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატი) 19 გოლით ბომბარდირი გავხდი, მერე რიო-სან პაულუს ტურნირში 10 თამაშში 12 გოლი შევაგდე და იქაც ბომბარდირი გავხდი, ჟოაო აველანჟის თასზე 15 გავიტანე და კიდევ გავიტან, ნაკრებშიც 2 მატჩში 7 მივითვალე, ეგენი კი მაინც არ მაქცევენ ყურადღებას. ყოველივე ამას ერთადერთი ახსნა აქვს — თუ ევროპულ კლუბში არ თამაშობ, აღიარებას ვერ ეღირსები. ეს უნამუსობაა“.

დავუმატოთ, რომ ფიფა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს 1991 წლიდან ირჩევს. გამარჯვებულთა შორის ოთხი ევროპელია (ლოთარ მათეუსი, მარკო ვან ბასტენი, რობერტო ბაჯო, ზინედინ ზიდანი), ამდენივე სამხრეთამერიკელი (რომარიო, ორჯერ რონალდო, რივალდო) და ერთიც აფრიკელი ჟორჟ ვეა, თუმცა ცხრავე შემთხვევაში ისინი ევროპულ კლუბებში თამაშობდნენ.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ რომარიო ახლა „ვასკუ და გამაშია“, მის მიერ ნახსენები არიელ ორტეგა — „რივერ პლეიტში“, ხოლო ბოკახუნიორსელი ხუან რომან რიკელმე ტოიოტის თასზე შეხვედრის ერთ-ერთი გმირი გახდა.

**გიორგი დარჯანია**

# ესეც შავი

**აჰა,** გუშინ არ იყო? „ლაციოს“ ტიფოზები სხვის გუნდებში იწუნებდნენ შავკანიანებს და ნაცისტურ გამოხტომებით გვარიანად შეარყიეს თავიანთი რესპექტაბელური კლუბის კეთილი იმიჯი. ამის პასუხად და დემოკრატიული ევროპის წინაშე დემოკრატებად დასარჩენად თუ იყო, რომ გუშინ „ლაციომ“ გვარიანი აფრიკული ნაბიჯი გადადგა: „უდინეზესთან“ სათასო მატჩში გუნდის განაცხადში შეყვანილი იყო 18 წლის განელი მცველი დანიელ ოლა.

ერთადერთი შავი ფეხბურთელი, „ლაციოს“ ცისფერი სამოსი რომ სცმია, ჰოლანდიელი აარონ მუჰამედ ვინტერი იყო, რომელიც ამ კლუბში 1992-96 წლებში თამაშობდა. ვინტერი „ლაციოს“ რასისტ ქომაგთაგან ნიშანში ამოღებული კაცი იყო. თავად კლუბიც არაერთხელ დასჯილა რომის ოლიმპიურ სტადიონზე წამოსროლილი რასისტული შეძახილებისთვის.

სწორედ რომ წინა თვეში იყო, რასისტ ქომაგთა დიდმა მეგობარმა, ლაციოელმა სინიშა მიხაილოვიჩმა არსენალელ პატრიკ ვიეირას რომ „შავი მაიმუნი“ უწოდა. მართალია, სერბმა მალევე მოიბოდიშა, მაგრამ რასისტ მხარდამჭერებზე ამას დიდად არ უმოქმედია.

პატარა ოლა კი უკვე წელიწადზე მეტია „ლაციოს“ ფრთის ქვეშაა. იგი კარგახანს შვეიცარიის მეორე დივიზიონის კლუბ „კარუჟში“ იყო გაქირავებული, რომში ზაფხულშიღა დაბრუნდა და ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა.

# სამუდამოდ კომასთვის

**19 ნოემბერს** სერია C-ში „კომო“ — „მოდენას“ მატჩის შემდეგ მასპინძელთა კაპიტანმა მასიმო ფერინომ სტუმარ ფრანჩესკო ბერტოლოტის გასახდელში ხელი ჰკრა. მოდენელი წაიქცა, თავი დაარტყა და ტვინის მძიმე ტრავმით საავადმყოფოში მოხვდა, სადაც მას მრავალსაათიანი ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს.

ფეხბურთელი მას მერე კომაში იყო და რამდენიმე დღეა, რაც ცალკეული სიტყვების თქმას ახერხებს, რომელთაგან ზოგიერთის გარჩევა ჭირს. ექიმები ჯერაც ვერაფერს ამბობენ, სრულად გამოჯანმრთელდება თუ არა ბერტოლოტი.

ინციდენტი უშუალოდ მატჩის დროს დაიწყო. ბერტოლოტი ფერინოს ეუხეშა და კომოელი საპასუხოდ ყელში სწვდა, რისთვისაც მსაჯმა იგი გააძევა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ფეხბურთელებმა ერთმანეთის ლანძღვა განაგრძეს, მოგვიანებით წაძიძგილავდნენ კიდეც.

ახლა მასიმო ფერინო თავის საქციელს ნანობს და მომხდარს უბედურ შემთხვევას უწოდებს. ჯერაც უცნობია, რა განაჩენს გამოუტანს მას სასამართლო, სისხლის სამართლის საქმე კი მის წინააღმდეგ უკვე აღძრულია. სამაგიეროდ, განაჩენი „კომომ“ გამოიტანა — კლუბში თქვეს, რომ კაპიტანი მათთან აღარასდროს ითამაშებს.

# სარტორი შეფამ დასაჯა, კოუტუ იტალიამ




ფერნანდუ კოუტუ

უეფამ იტალიური „პარმის" მცველი ლუიჯი სარტორი მკაცრად დასაჯა. უეფას თასის მეორე ეტაპზე ზაგრების „დინამოსთან" საპასუხო მატჩში „დინამოელთა" უხეშობა იტალიელ ფეხბურთელს ძვირად დაუჯდა — ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ სარტორს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. აქედან ერთი მატჩი მცველმა უკვე გამოტოვა. ასე ხუთშაბათს „მიუნხენ 1860"-თან [illegible] შეხვედრაში სარტორი თამაშს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალყურს. „პარმა" ვერ უშველა, [illegible] ფრედ, 2:2 მორჩა და ახლა შემდგომ ეტაპზე გასასვლელად გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევს. თუ ისე მოხდა, რომ იტალიურმა კლუბმა წარმატებით ითამაშა, მაშინ სარტორი გუნდს მეოთხედფინალის საპასუხო მატჩშიც დაეხმარება, არადა, დისკვალიფიკაცია გაისად იქიქრება (ცხადია, თუ „პარმა" ევროტურნირზე თამაშის უფლებას მოიპოვებს.

მომავალ ოთხ თამაშს კიდევ ერთი იტალიური კლუბის მცველი გამოტოვებს, ოღონდ რომის „ლაციოს" პორტუგალიელ ლეგიონერ ფერნანდუ კოუტუზე გავრცელდება სანქცია მხოლოდ შინაურ ასპარეზზე ანუ სერია A-ზე ვრცელდება.

ეს გადაწყვეტილება იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა სამშაბათს მიიღო, როცა ჩემპიონატის ბოლო ტურში „პარმა" — „ლაციოს" მატჩზე იმსჯელა. ამ შეხვედრის 86-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა მსაჯმა კოუტუს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მინდვრის დატოვება მოსთხოვა. არბიტრის გადაწყვეტილებით აღშფოთებულ კოუტუს კი ასპარეზიდან გასვლამდე [illegible] კარგად შემოეჭმანება.

ასე, როგორც ვიდეოჩანაწერმა გამოაჩინა, კოუტუს ორიოდ ერთი ყვითელი ბარათი სულ ტყუილად მისცეს — იგი მეტოქის თავდამსხმელს სადროოდ არ გააჩერებდა. და მაინც, ახლა ფერნანდუ კოუტუ მხოლოდ „რეჯინასთან", „ბარისთან" და „ვინჩენცასთან" მატჩებს კი არა, 17 დეკემბერს „რომასთან" უპრინციპულეს დერბისაც დააკლდება.

# მე და ჩემი ნაბადიო

## ბრაზილია

### ჩემპიონატის მერვედფინალი

საპასუხო მატჩი

**ვასკუ და გამა 3:2 ბაია (3:3)**

**ბრაზილიური** მედია „ვასკუ და გამას" წინააღმდეგ ილაშქრებს და სამართლიანადაც. ჟოაო აველანჟის თასზე „ვასკუ" — „ბაიას" მატჩის წინ რადიოსადგურ „გლობოს" პოპულარული კომენტატორი ჟოზე კარლუშ არაჟუ კაბინაში არ შეუშვეს, უთხრეს, რემონტი დავიწყეთო. ჟურნალისტი დაეჭვდა, რადგან მისთვის წინასწარ არავის არაფერი უცნობებია, თუმცა ვითარების დამწვავებას მოერიდა და კლუბის წარმომადგენლებს თხოვნით მიმართა, გვეჩვენებით ბლომად ცარიელი კაბინაა და იქიდან წავიყვან რეპორტაჟსო. ამაზე უარი მიიღო, რამაც არაჟუ საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მისი თავიდან მოშორება სურდათ.

მარტო რადიო „გლობოს" კომენტატორი როდი აღმოჩნდა ამგვარ სიტუაციაში. მატჩის შემდეგ ყველა ჟურნალისტს განუცხადეს, რომ მწვრთნელთან და ფეხბურთელებთან საუბრის უფლება არ მისცემდნენ.

როგორც გაირკვა, მედიის წინააღმდეგ ბოიკოტის გამოცხადების მოთავე „ვასკუს" დირექტორი ეურისო მირანდა ყოფილა, რომელიც იმავდროულად ბრაზილიის კონგრესის წევრიცაა. მირანდას არ მოსწონებია ის კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც რიოდეჟანეიროელმა ჟურნალისტებმა კლუბის მისამართით გამოთქვეს და მათ ქართული ფეხბურთისთვის კარგად ნაცნობი ხერხით დაუპირისპირდა.

აღსანიშნავია, რომ მირანდას საქციელი გასულ სეზონში ერთი მატჩის ჩაშლის მიზეზიც გახდა. ის მოედანზე შევარდა და არბიტრს საქმის გარჩევა დაუწყო. „ვასკუს" დირექტორს იმაშიც ადანაშაულებენ, რომ ის ყველანაირად ხელს უშლის ბრაზილიის კონგრესში მიმდინარე გამოძიებას, რომელიც ქვეყნის ფეხბურთში ფეხმოკიდებულ კორუფციის საკითხს იძიებს.

# ვიეირას მეორე ელის

**ლონდონის** „არსენალის" ნახევარმცველ პატრიკ ვიეირას თავზე კვლავ შავი ღრუბელი დასტრიალებს. ფრანგი ფეხბურთელის საქმე ისევ სადისციპლინო კომიტეტმა უნდა გაარჩიოს და დიდი შანსია, მინიმუმ სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

კვირას პრემიერლიგის მეთხუთმეტე ტურში „ლიდსმა" „არსენალს" უმასპინძლა და 1:0 მოუგო. მატჩი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ფეხბურთელები თავს არ ზოგავდნენ და ხშირად უხეშობდნენ კიდეც. შეხვედრის არბიტრ გალაჰერს რვაჯერ მოუხდა ჯიბეზე ხელის გაკვრა და ყვითელი ბარათის ამოღება — აქედან შვიდჯერ მსაჯმა „არსენალის" ფეხბურთელები გააფრთხილა. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ვიეირა „გაყვითლებულთა" სიაში არ ყოფილა, თუმც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის მითითებით, სადისციპლინო კომიტეტი ვიეირასთან დაკავშირებულ ორ მომენტზე იმსჯელებს.

ერთ ეპიზოდში „არსენალის" ფეხბურთელის ბუცი ლიდსელ ოლივიე დაკურს სახეში მოხვდა, მეორედ კი ვიეირა ერიკ ბაკეს მოექცა არაჯენტლმენურად, თანაც მაშინ, როცა ბურთი მათგან მოშორებით ტრიალებდა. არბიტრმაც და მისმა თანაშემწეებმაც ვერაფერი შენიშნეს, თუმცა ტელეოპერატორებს არაფერი გამორჩენიათ. ინგლისელ დისციპლინარებსაც ვიდეოჩანაწერზე დაყრდნობით მოუწევთ ვიეირას საქციელზე მსჯელობა. თუ იგი დამნაშავედ ვცანით, მაშინ მინიმუმ სამი მატჩით მოუწევს დასვენებაო, განაცხადა ამასთან დაკავშირებით სადისციპლინო კომიტეტის წევრმა გრემ ბინმა.

ეს კომიტეტი, ფეხბურთის ასოციაციის რჩევით, „ლიდსი" — „არსენალის" მატჩში მომხდარ კიდევ ორ ინციდენტს გაარჩევს და დამნაშავეებს ალბათ მკაცრადაც დასჯის. ერთი ინციდენტი არბიტრ გალაჰერს უკავშირდება, რომელსაც მატჩის შედეგით უკმაყოფილო არსენალელების დიდი რისხვა დაატყდა თავს. „ლიდსის" თავკაც დევიდ ოლირის კი ლონდონელთა კიდევ ერთი ფრანგი ლეგიონერი რობერ პირესი წაეკიდა — „არსენალის" ფორვარდმა მეტოქის მწვრთნელისკენ მუშტებითაც გაიწია. ეს ყველაფერი გასახდელში მატჩის შემდეგ მოხდა. შეგახსენებთ, რომ თუ ვიეირა დაისაჯა, წლეულს მისთვის ეს მეორე დისკვალიფიკაცია იქნება. ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში უკვე ორჯერ გააძევეს მინდვრიდან — პრემიერლიგის პირველ და მეორე ტურში ფრანგს მეტოქის წინააღმდეგ გადამეტებული უხეშობა არ აპატიეს. ამით აღშფოთებული ვიეირა პრემიერლიგიდან და ინგლისის მიტოვებითაც იმუქრებოდა, თუმცა შემდეგ თანამემამულე მწვრთნელმა არსენ ვენგერმა დააწყნარა და განზრახვაზეც ხელი აალებინა.

**განო ოქროპირიძე**



ანდრეას ბრემე

# სად გაქრა თქვენი ჯადოქრობა, ჰერ ბრემე?

**ოქტომბრის** დასაწყისში გერმანული „კაიზერსლაუტერნის" სამწვრთნელო შტაბში დიდი ცვლილებები მოხდა. კლუბის ხელმძღვანელობამ ოტო რეჰაგელს წლევანდელი შედეგი დაუწუნა, ძველი ამაგი დაუვიწყა და გუნდიც ანდრეას ბრემეს ჩააბარა, კაცს, რომელსაც ზურგს მხოლოდ ფეხბურთელობისას მოპოვებული დიდება და მიღებული გამოცდილება უმაგრებდა. ბრემეს სამწვრთნელო დებიუტი მართლაც შთამბეჭდავი აღმოჩნდა — პირველივე შეხვედრა „კაიზერსლაუტერნმა" სტუმრად „მიუნხენ 1860"-თან 4:0 მოიგო. ამ გამარჯვებას სხვა მოჰყვა. ბრემეს ხელმძღვანელობით „ლაუტერნმა" ჩემპიონატის ზედიზედ ოთხი მატჩში გაიმარჯვა, უეფას თასზე კი სტუმრად ბერძნულ „იონიკოსს" მოუგო. შემდეგ, ბუნდესლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერი [illegible] აღმოჩნდა. ბრემესეულ ჯადოქრობას [illegible].

მას შემდეგ „კაიზერსლაუტერნმა" კიდევ ოთხი შეხვედრა ჩაატარა — სამი ბუნდესლიგაში, ერთი შინ „ირაკლისთან" უეფას თასზე... ამ მატჩებიდან ბრემეს შეგირდებმა ყველა წააგეს. გერმანულ „ბილდსა" მწვრთნელთან საუბრის მიზეზი მიეცა, მით უმეტეს, რომ დღეს მისი გუნდი უეფას თასის მესამე ეტაპზე შოტლანდიურ „რეინჯერსს" ხვდება.

**— ჰერ ბრემე, სადაა ის ჯადოქრული თვისებები და ხერხები, რომლითაც თავიდან თამაშს თამაშზე იგებდით?**

— როგორც ხედავთ, გაქრა. სამწუხაროდ, თქვენს კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გაგცეთ. თუმცა მჯერა, ისევ ვიპოვი.

**— გუნდის ბოლოდროინდელი თამაში ამ იმედს არ უნდა გაძლევდეთ...**

— არა, იმედს არ ვკარგავ, რადგან გუნდის თამაშის ხარისხით ძალიან უკმაყოფილო სულაც არ ვარ. აი, თუნდაც ბოლო ტურში „ლევერკუზენთან" კატასტროფული რომ გვეთამაშა, მეც დარდი და საზრუნავი მომემატებოდა, მაგრამ ამ შეხვედრაში იყო მონაკვეთები, როცა [illegible] ვიყავით. მატჩი 2:4 კი წავაგეთ, მაგრამ ქულის აღება ნამდვილად შეგვეძლო.

**— მერე, რამ შეგიშალათ ხელი?**

— მთელი თამაშის განმავლობაში ძალიან ბევრი ინდივიდუალური შეცდომა დავუშვით, რამაც საბოლოო შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა. თითქმის იგივე მიზეზით წავაგეთ წინა მატჩებიც.

**— ნუთუ ეს ინდივიდუალური შეცდომებია ამ წარუმატებელი შედეგის მთავარი მიზეზი?**

— არა, უფრო მნიშვნელოვანი საწუხარიც გვაქვს და ეს ტრავმირებული ფეხბურთელები არიან. ჩვენი მთავარი პრობლემა ეს არის. ყოველი თამაშის წინ სხვადასხვა ტრავმის გამო წამყვანი ფეხბურთელები გვაკლდება. ამდენი დაშავებული ბუნდესლიგის არც ერთ გუნდს არ ჰყავს, ამიტომ ამ წრეში როგორმე თავი უნდა გავიტანოთ, მომდევნო ტურებში ბოლომდე ვიბრძოლოთ, რათა პირველი წრე ღირსეულად ჩავამთავროთ, მერე კი ზამთრის არდადეგებიც მოგვისწრებს. მეორე წრისთვის ფეხბურთელებიც გამოჯამრთელდებიან, მოსამზადებელ ეტაპს გაივლიან და დიდი იმედი მაქვს, იანვრიდან ყველაფერი რიგზე იქნება.

**— ალბათ, გარკვეულ ცვლილებებსაც მოახდენთ?**

— რა თქმა უნდა. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელს გავუშვებთ, ზოგიერთი მათგანი ჩვენს მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს.

**— ცხადია, გაძლიერებაზეც ფიქრობთ.**

— რამდენიმე მოთამაშის დამატება გვსურს. ყველაზე მეტად მცველი და გამთამაშებელი გვჭირდება. შევეცდებით, „ბაიერნიდან" ჩირიაკო სფორცა დავიბრუნოთ. იგი „კაიზერსლაუტერნს" უფრო მოერგება. შარშან სფორცა გუნდის დაცვის ბურჯი იყო. პირველი წრის მერე რამდენიმე ჩვენთვის სასურველ მოთამაშეს აუცილებლად ვიპოვით.

**— მანამდე...**

— მანამდე ვეცდებით, ეს წარუმატებელი სერია შევწყვიტოთ და ზამთრის არდადეგებს ცხრილში კარგ ადგილზე შევხვდეთ. უეფას თასზეც მეტს უნდა მივაღწიოთ. „რეინჯერსთან" დაძაბული მატჩები გველის. ამ გუნდის სიძლიერე ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ჩვენ ძალებს არ დავზოგავთ. მოკლედ, გუნდის მარცხიან სერიას წერტილი გლაზგოში უნდა დავუსვათ.

# ნასიმენტუ, ოღონდ პელე არა

**„მილანის"** ბრაზილიელმა ლეონარდომ კლუბიდან წასვლა გადაწყვიტა. ამაში უცნაური არაფერია, რადგან მას სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა უჭირს და ამ სეზონში მხოლოდ ორჯერ გამოჩნდა სერია A-ში. თუმცა ცოტა არ იყოს, გაკვირვებას იწვევს დრო, როცა ფეხბურთელმა ამის თაობაზე განაცხადა.

სამშაბათს იტალიის თასზე „მილანი" „ატალანტას" შეხვდა. მე-20 წუთზე სტუმრები მაურიციო განცმა დააწინაურა, მაგრამ ლეონარდომ თერთმეტ წუთში წონასწორობა აღადგინა. ტაიმის ბოლოს ბერგამოელებმა მეორე გოლი შეაგდეს და მილანელთაგან ისევ ლეონარდომ გაათანაბრა. ამის მერე „ატალანტა" გატყდა და ხოსე მარისა და ანდრეი შევჩენკოს გოლებით „მილანმა" მოიგო. მატჩის შემდეგ ალბერტო ძაკერონიმ ბრაზილიელი ასე დაახასიათა: „ლეონარდო ამოუცნობი ფეხბურთელია, მისგან ყველაფერი მოსალოდნელია. მისი დღევანდელი თამაშით აღფრთოვანებული ვარ. ლეონარდო იერიშის წამოწყებაშიც მონაწილეობდა და დასრულებაშიც. ფეხბურთელებისადმი ჩემი მოთხოვნაც ესაა".

აი, ასეთი კარგად თამაშისა და მწვრთნელისგან შექების შემდეგ ლეონარდო წასვლაზე ალაპარაკდა.

„გადაწყვეტილება დიდი ხნის წინ მივიღე — განმარტავს ლეონარდო — დღევანდელ თამაშს არაფრის შეცვლა არ შეუძლია. ასე რომ ყოფილიყო, საერთოდ ხმას არ ამოვიღებდი. საქმე ისაა, რომ გუნდში არცთუ მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ და „მილანს" ჩემი სათადარიგოთა სკამზე ჯდომით არაფერი აკლდება. ეს არ ნიშნავს, თითქოს მწვრთნელისგან რამეს ვითხოვდე. პირიქით, ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, საკუთარ თავს ვადანაშაულებ. ვფიქრობ, რომ გუნდისთვის იმას ვერ ვაკეთებ, რაც შემიძლია. ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა. ამასთანავე სიტუაციის დრამატიზირება არ მიყვარს და მსურს, კლუბის ხელმძღვანელობასთან მშვიდად, ზედმეტი ხმაურის გარეშე მივაღწიო შეთანხმებას, რათა უკვე იანვარში გამიშვან, თორემ სეზონის ბოლოს კონტრაქტის ვადა ისედაც მიმთავრდება".

ფეხბურთელის ამგვარმა განცხადებამ ალბერტო ძაკერონი გააკვირვა, არ ირწმუნა, რომ გადაწყვეტილება საბოლოოა და თქვა, ყველაფერს ვიღონებ, რათა ლეონარდო დავტოვოო.

„მილანში" მოხვედრამდე ლეონარდომ დიდი გზა გაიარა. 1987 წელს ის „ფლამენგოში" მივიდა და სამი წელი ითამაშა, მერე კი „სან პაულუში" გადავიდა. საინტერესოა, რომ კარიერის პირველ ოთხ სეზონში ლეონარდომ ბრაზილიის ჩემპიონატში 70 მატჩი ჩაატარა და ერთხელაც არ გაუტანია.

ლეონარდო სამშობლოდან ევროპაში წავიდა და 1991-93 წლებში „ვალენსიაში" ითამაშა. მისი ესპანური მონაგარი ორ სეზონში 71 მატჩი და ექვსი გოლია. ამას მოჰყვა რამდენიმე თვე ისევ „სან პაულუში" და სამი იაპონური სეზონი — ის ჯეი-ლიგის „კაშიმაში" გამოდიოდა.

იაპონიიდან ლეონარდო ევროპაში დაბრუნდა, ორი სეზონი „პარი სენ ჟერმენში" გაატარა, თუმცა აქედან ერთი სეზონი „მილანში" იყო განათხოვრებული, 1998 წლიდან კი საბოლოოდ დამკვიდრდა იტალიაში.

ამ სეზონში, თავშიც ვთქვით, ლეონარდომ სულ ორჯერ ითამაშა სერია A-ში. გასული სეზონიც უიღბლო ჰქონდა — ტრავმებმა გააწამა და ოდენ 14 მატჩი ჩაატარა.

ფეხბურთელმა, აქამდე მისი სრული სახელი არ გვითქვამს — ლეონარდო ნასიმენტუ და არანჟუმ, ნაკრებში 54-ჯერ ითამაშა და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა, თუმცა ფინალში არ მიუღია მონაწილეობა.

ახლა? „იტალიაში არ დავრჩები. 31 წლისა ვარ და მინდა კარიერა იქ დავასრულო, სადაც დავიწყე, მაგრამ „ფლამენგო" ახლა კრიზისშია და ვეჭვობ, ეს ვარიანტი ახლავე გამომივიდეს. ამიტომ სამშობლოში დაბრუნებამდე ცოტა ხანი შეიძლება პორტუგალიაში ვითამაშო".



ლეონარდომ ორი გოლი გაიტანა და... წასვლა გადაწყვიტა

**გიორგი დარჯანია**

საქართველოს ჩემპიონატი

X ტურის საუკეთესო მოთამაშე

## გოჩა წოწელია

მაკაბი



თბილისის „მაკაბის“ ზუსტად ხუთი დღე ეყო საფუძვლიანი მომზადებისათვის, რათა პირველ წრეში „სტუ-ჯეოსელთან“ გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხებისთვის რევანში აელო.

წლეულს სანახაობრივად ლამაზ კალათბურთს თამაშობს „მაკაბი“, რომელსაც ძირითადად სწრაფ პირველ შეტევაზე ჰყავს დაგეშილი კალათბურთელები. „მაკაბის“ სასტარტო ხუთეული დღეს ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. ბოლო მატჩებში ძირითადებს კარგად ეშველება გამოცდილი მალხაზ ანდღულაძე. ქართველი კალათბურთელებიდან ყველას შეუძლია შორიდან სროლა. კამერუნელ ცენტრ დიდიე დაჩუმის კი ფარზე დიდ დახმარებას უწევს მისი თანამემამულე ჟოლივეტ ტუჯანი.

„მაკაბის“ ჯერჯერობით ყველაზე მეტად გამთამაშებლის პოზიციაზე უჭირს. ამ ადგილზე უმეტესად ფუნქციით მსროლელი გოჩა წოწელია თამაშობს. სტუ-სთანაც გამთამაშებლობა კვლავ წოწელიამ იკისრა და კარგადაც გაართვა თავი. გოჩას დაუბრკოლებლად გადაჰქონდა ბურთი მეტოქის ნახევარზე, მშვიდად ალაგებდა თამაშს, ხელსაყრელ პოზიციებზე გაჰყავდა თანაგუნდელები და თვითონაც ხშირად ათავსებდა ბურთს მეტოქის კალათში, როგორც საშუალო თუ შორი მანძილებიდან, ისე ფარქვეშიდან.

სტუ სხვადასხვა სათამაშო ხერხებით ცდილობდა მეტოქის შეჩერებას. სტუდენტები ძირითადად „მაკაბის“ შეტევების ორგანიზატორ გოჩა წოწელიას გაუვნებლებას ლამობდნენ, ის კი ოლიმპიური სიმშვიდით აგრძელებდა თამაშს და ერთხელაც არ წამოგებულა მეტოქის პროვოკაციაზე.

რადგან სტუ-მ წოწელიას გასაჩერებლად სხვა გზა ვერ გამოძებნა, სათამაშო სიტუაციებში მის მიმართ უხეშ თამაშს მიჰყო ხელი. „მაკაბის“ გამთამაშებელი ამ დღეს საჯარიმო სროლებშიც საუკეთესო იყო. ცამეტი შესაძლებლობიდან გოჩამ მხოლოდ ორი ააცილა, ისიც მეოთხე მეოთხედის ბოლო წუთებში, როდესაც გამარჯვებულის ვინაობა ეჭვს აღარ იწვევდა.

სტუდენტებიდან ბევრმა სცადა წოწელიას შეჩერება, მაგრამ ყველაზე კარგად მისი მეურვეობა სტუ-ს და საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელს ირაკლი ხოშტარიას გამოსდიოდა. თუმცა გოჩამ თავის მეურვეზე 10 ქულით მეტი — 27 მოინაგრა.

გოჩა წოწელიას ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა „მაკაბის“ ხელმძღვანელობასთან და სხვა გუნდებში თამაშის დროსაც ხშირად ხლებია მაკაბელებს უცხოეთში მოგზაურობის დროს. წინა სეზონი წოწელიამ თსუ-ში გაატარა, წლეულს კი მისი და „მაკაბის“ მეგობრობა თანამშრომლობაში გადაიზარდა.

# სლოვენიაში პოკერი ქართული თამაშია

## ტომო მაჰორიჩმა მეოთხე ქართველად კოტე ტუღუშს უხმო

**გუშინწინ**, 28 ნოემბერს, სლოვენიაში გაემგზავრა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებისა და სტუ-ს უკანახაზელი კოტე ტუღუში. იგი მზადაა, ექვსწლიანი კონტრაქტი გაუფორმოს ლიუბლიანის „სლოვანს“. ამრიგად, თუ ეს ტრანსფერი შედგა, კოტე ტუღუში „სლოვანის“ მეოთხე ქართველი კალათბურთელი შეიქნება ვლადიმერ ბოისას, ნიკა ცქიტიშვილისა და დავით უგრეხელიძის შემდეგ. შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში ამ გუნდში კიდევ ერთი ჩვენებური, ირაკლი კეიდიაც გამოდიოდა, მაგრამ მან „სლოვანის“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო.

ტუღუში მეორედ ესტუმრა სლოვენიას. პირველად იგი სექტემბერში სწორედ „სლოვანის“ მიწვევით ჩავიდა ლიუბლიანაში და იქ თითქმის ერთი თვე გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა კალათბურთელმა „სლოვანის“ მთავარ მწვრთნელად ტომო მაჰორიჩის მეთვალყურეობით ივარჯიშა და ჩანს, მას თავიც მოაწონა — ასე რომ არ ყოფილიყო, მაჰორიჩი თავისთან აღარ მიიხმობდა.

— „სლოვენიაში ყოფნისას გუნდის მწვრთნელებმა ამხანაგურ მატჩებშიც გამომცადეს, მერე კი უკან გამომაბრუნეს, რადგან ვიზა გამითავდა. მაჰორიჩი თავიდანვე დაინტერესდა ჩემით, გამომგზავრებისას მითხრა, მოსკოვში ჩადი, სამუშაო ვიზა გააკეთე და უკან გამობრუნდიო. დამოუკიდებლად ძალიან გამიჭირდა ოფიციალური მხარის მოგვარება და საქართველოშიც ამიტომ შემოვრჩი ამდენ ხანს, თან სტუ-ს ხელმძღვანელთა თხოვნასაც გავუწიე ანგარიში. ამ ორიოდ კვირის წინ კი „სლოვანის“ დირექტორი იანეზ რაიგლი დამიკავშირდა და ლიუბლიანაში დაუყოვნებლივ ჩასვლა მთხოვა, ნურაფერზე ნუ იდარდებ, ოღონდ ჩამოდი და ყველა საკითხს ჩვენ მოვუვლითო“ — გვითხრა სლოვენიაში წასვლამდე ორი დღის ადრე კოტე ტუღუშმა.

მისი საუბრიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სლოვენიელებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს მეოთხე ქართველის აყვანა და დღე-დღეზე, ალბათ, ოფიციალურ კონტრაქტსაც გაუფორმებენ ტუღუშს. როგორც თავად კალათბურთელისგან შევიტყვეთ, ლაპარაკია ექვსწლიან ხელშეკრულებაზე რაც, დაგვეთანხმებით, საკმაოდ დიდი დროა. ეს საკითხი მაინცდამაინც არ ანაღვლებს ტუღუშს, საქართველოს ჩემპიონატში თამაშს სლოვენიაში თუნდაც ექვსი წლით დარჩენა მიჯობსო, ამბობს.

მოახერხებს კი კოტე ტუღუში „სლოვანში“ არსებული კონკურენციის დაძლევას? ეს კითხვა, ალბათ, თავად კალათბურთელს აწუხებს ყველაზე მეტად. მით უმეტეს, მან იცის, რომ იქაური წესების თანახმად, გუნდში მხოლოდ ოთხ ლეგიონერს შეუძლია თამაში. სადღეისოდ კი სწორედ ამდენი უცხოელი ჰყავს „სლოვანს“: სამი ჩვენებური — ბოისა, ცქიტიშვილი, უგრეხელიძე და ერთიც ხორვატი, დავიდ გრბეშიჩი.

მიუხედავად ამისა, ტუღუში იმედიანადაა: „მაჰორიჩს პირად საუბარში არ დაუმალავს, რომ მომავალი წლიდან გუნდის გადახალისებას აპირებს. პირდაპირ მითხრა, ამ სეზონის შემდეგ გრბეშიჩის ნაცვლად ერთი ადგილობრივი უკანახაზელი უნდა ავიყვანო და ამ რგოლში მას შენ უნდა შეუწყვილდეო. ასე რომ, მაჰორიჩს მომავლის „სლოვანში“ ვჭირდები და დიდი ტრაგედია არ იქნება, წლეულს რომ არ მათამაშოს. თუმცა გამორიცხული არაა, ამ სეზონშივე მოვირგო „სლოვანის“ მაისურა, ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია“.



კოტე ტუღუში

**გიორგი ბიჭაშვილი**

# ევროკალათა

ესპანეთის „ბარსელონამ“ დაითხოვა ლიბანელი ცენტრი რონი საიკლი. კლუბს ერთი უცხოელის ადგილი გაუთავისუფლდა. ბარსელონელები მოლაპარაკებას აწარმოებენ კუბელ ცენტრ ანდრეას გუიბერტთან, რომელიც ამჟამად უგუნდოდაა. გუიბერტის კარიერის ევროპული ნაწილი 1996 წელს ესპანეთში, „ორენსეში“ დაიწყო. შემდეგ იგი „მინესოტა ტიმბერვულვზმა“ აიყვანა, მაგრამ არ ათამაშა. შარშან კუბელი საბერძნეთის „ნიარ ისტში“ იყო, წლეულს სექტემბერში კი პირობებზე ვერ შეუთანხმდა ესპანურ „ტაუს“.

● ● ●

თურქეთის ვიცე-ჩემპიონის, სტამბოლის „ეფესის“ გამთამაშებელმა ქერემ თუნჩერიმ ამერიკაში მარცხენა ფეხის ოპერაცია გაიკეთა და, სულ მცირე, სამი თვე დასვენება მოუწევს. ამერიკელ ქირურგებს თუნჩერისთვის პირდაპირ უთქვამთ: თუ ოპერაციას გაიკეთებ, კალათბურთს სამი თვე ვერ ითამაშებ, მაგრამ ტკივილი აღარ შეგაწუხებს. თუ ოპერაციას არ გაიკეთებ და ისე იმკურნალებ, ორ თვეში კარგად იქნები, სამაგიეროდ ტრავმა მალე შეგახსენებს თავსო. თუნჩერიმ ოპერაცია ირჩია. „ეფესი“ საგონებელში ჩავარდა და ახალი გამთამაშებლის, თანაც უცხოელის ძებნა დაიწყო.

● ● ●

სლოვენიის კალათბურთის ფედერაციამ ფიბა-ს მითითება შეასრულა და უვადო დისკვალიფიკაციით დასაჯა ორი მსაჯი, ანდრეი იერშანი და ანდრეი ლოვშინი. ეს არბიტრები ევროლიგის მატჩებს ემსახურებიან, ფიბა კი ამბოხებულებთან ყოველგვარი თანამშრომლობის წინააღმდეგია. იერშანს და ლოვშინს სლოვენიის ჩემპიონატის მატჩების მსაჯობა აეკრძალათ.

ფიბას ეს მითითება თითქმის ყველა ფედერაციამ შეასრულა, რომელთა მსაჯებიც ევროლიგის მატჩებს ემსახურებიან. გამონაკლისი მხოლოდ ესპანეთი და ინგლისია, რომლებიც ამგვარი მსაჯების დასჯას არ აპირებენ. ფიბა კიდევ ერთხელ დაემუქრა ურჩ ფედერაციებს და უთხრა, თუკი ევროლიგის მატჩების მომსახურე მსაჯებს დისკვალიფიკაციას არ მისცემთ, თქვენს ნაკრებ გუნდებს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებიდან მოვკვეთავო.

● ● ●

საბერძნეთის ერთ-ერთმა უძველესმა კლუბმა, სალონიკის „არისმა“ მწვრთნელი დრაგან საკოტა დაითხოვა და თან ორი ამერიკელი, ენტონი ბოუი და ჯეიმს ფორესტიც მიაყოლა. სალონიკელებმა ბევრი იფიქრეს და გუნდის გაწვრთნა უკრაინელ სპეციალისტ ანდრეი პოდკოვირიოვს შესთავაზეს. ეს კაცი აქამდე კვიპროსის „კერინიასს“ ხელმძღვანელობდა.

პოდკოვირიოვმა წინადადება მიიღო და „არისის“ უფროსობას უთხრა, გაშვებული ამერიკელების ნაცვლად ორ უკრაინელს, გამთამაშებელ დმიტრი ბაზელევსკის და ცენტრ გრიგორი ხიჟნიაკს ჩამოვიყვანო. ხელმძღვანელობა დათანხმდა, რამაც „არისის“ გულშემატკივართა უკმაყოფილება გამოიწვია. სალონიკელი ფანები ეწინააღმდეგებიან გუნდში ნაკლებცნობილი მწვრთნელის და უკრაინელი კალათბურთელების მოსვლას. მათ გააფრთხილეს „არისის“ დირექტორატი — განზრახვაზე ხელი აიღეთ, თორემ ახალწვეულებს არათუ გუნდში, თვითმფრინავის ტრაპზეც არ ჩამოვუშვებთო. გულშემატკივრებს სათავეში უდგას სალონიკური კლუბის ყოფილი თავმჯდომარე იანის საურიდისი, რომელიც ამჟამად „არისის“ ფან-კლუბის პრეზიდენტია.

## ესპანეთი

VII ტური

**კონსტაბლანკა — ხირონა 72:62, კახა სან ფერნანდო — ხიხონი 78:73, ტაუ — ესტუდიანტესი 74:68, კანტაბრია — კასერესი 82:69, რეალი — ხუვენტუდი 87:78, ფუენლაბრადა — ბარსელონა 74:86, კანარიასი — ფორუმი 58:81, უნიკახა — ორენსე 84:60, პამესა — ბრეოგანი 82:72**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიკახა | 7 | 6 | 1 | 642:520 | 13 |
| პამესა | 7 | 6 | 1 | 585:528 | 13 |
| ტაუ | 7 | 5 | 2 | 610:561 | 12 |
| ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 564:483 | 11 |
| ბრეოგანი | 7 | 4 | 3 | 577:57: | 11 |
| ფუენლაბრადა | 6 | 4 | 2 | 511:462 | 10 |
| რეალი | 6 | 4 | 2 | 486:461 | 10 |
| ესტუდიანტესი | 6 | 4 | 2 | 507:490 | 10 |
| ფორუმი | 7 | 3 | 4 | 586:584 | 10 |
| ხუვენტუდი | 7 | 3 | 4 | 556:573 | 10 |
| სან ფერნანდო | 7 | 3 | 4 | 540:566 | 10 |
| კანტაბრია | 7 | 3 | 4 | 521:578 | 10 |
| ხირონა | 7 | 2 | 5 | 536:560 | 9 |
| კასერესი | 7 | 2 | 5 | 515:558 | 9 |
| ორენსე | 7 | 2 | 5 | 528:573 | 9 |
| კონსტაბლანკა | 7 | 2 | 5 | 521:573 | 9 |
| კანარიასი | 7 | 2 | 5 | 507:581 | 9 |
| ხიხონი | 7 | 1 | 6 | 529:585 | 8 |



1987 წელს დაბადებულთა თბილისის „დინამო“

# ხაშური ახალი ქალაქია

ხაშურში საქართველოს ბავშვთა საკალათბურთო ლიგის ჩემპიონატის პირველი ტური გაიმართა. ტურნირში 1987 წელს დაბადებულთა ოთხი გუნდი მონაწილეობდა. პირველობა არავის დაუთმო თბილისის „დინამომ“ (მწვრთნელი ვაჟა მხეიძე), რომელმაც დამაჯერებლად სძლია თანაქალაქელ „ორბს“, აგრეთვე ხაშურისა და ბორჯომის გუნდებს. გამარჯვებულები „დინამოს“ ბავშვთა სპორტსკოლის აღზრდილები არიან, რომელიც ახლა უკვე დიღმის საკალათბურთო ბაზაზე განაგრძობს მუშაობას.

ტურნირის ორგანიზება კი ხაშურის სპორტსკოლამ ითავა. დირექტორმა გია ღამბაშიძემ და კალათბურთის მწვრთნელებმა, გია ცერაძემ და ირაკლი ბითაძემ სპორტსკოლის ძველი დარბაზი საფუძვლიანად გაარემონტეს, გაალამაზეს და პირველ საკალათბურთო შეჯიბრებსაც უმასპინძლეს. მანამდე კი განახლებულ დარბაზში ნორჩმა ძიუდოისტებმა მოსინჯეს მკლავის ძალა.

ხაშურის სპორტსკოლაში უკვე ინტენსიურად მუშაობენ ბავშვთა საკალათბურთო ჯგუფები. კალათბურთის იქაური მესვეურები ბევრს შრომობენ და დიდად მონდომებულნი არიან, რათა ბავშვთა კალათბურთი არა მხოლოდ მათ მშობლიურ ქალაქში, არამედ მთლიანად რეგიონში აღორძინდეს. ასე რომ, საქართველოს საკალათბურთო რუკაზე კიდევ ერთი პუნქტი — ხაშური მოინიშნა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მაკმილანის რეფორმას გამარჯვება მოჰყვა

28 ნოემბერი

**დალასი 107:93 ტორონტო**
დალასი: ფინლი (32), ნეში (21 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), ნოვიცკი (19)
ტორონტო: ვილიამსონი (22 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (16 ქულა, 11 მოხსნა)

**ლეიკერსი 124:107 ინდიანა**
ლეიკერსი: ბრაიანტი (37), შ. ონილი (27 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი, 6 დაფარება), ჰარპერი (21)
ინდიანა: კროშერი (18), ჯ. ონილი (17 ქულა, 11 მოხსნა), ბესტი (16)

**ჰიუსტონი 81:88 საკრამენტო**
ჰიუსტონი: მობლი (21)
საკრამენტო: ვებერი (21 ქულა, 11 მოხსნა)

**ჩიკაგო 76:96 მინესოტა**
ჩიკაგო: მერსერი (20), ბრენდი (16 ქულა, 13 მოხსნა)
მინესოტა: შჩერბიაკი (18), ბრენდონი (16)

**ვაშინგტონი 75:102 ატლანტა**
ვაშინგტონი: სტრიკლენდი (17)
ატლანტა: რაიტი (23)

**კლივლენდი 72:87 ბოსტონი**
კლივლენდი: მილერი (12 ქულა, 11 პასი)
ბოსტონი: უოლკერი (28), პირსი (20)

**ნიუ ჯერსი 92:98 იუტა**
ნიუ ჯერსი: მარბერი (33), მარტინი (19 ქულა, 10 მოხსნა)
იუტა: მელოუნი (21 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), სტარქსი (18)

**მაიამი 101:102 მილუოკი**
მაიამი: ჯონსი (26), ჰარდევეი (23)
მილუოკი: ჰანტერი (23), რობინსონი (22), ალენი (21)

**პორტლენდი 93:105 სიეტლი**
პორტლენდი: სტუდემაიერი (20), უოლესი (18 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება), პიპენი (17)
სიეტლი: პეიტონი (24 ქულა, 10 პასი), ლუისი (18)

„სიეტლ სუპერსონიქსის“ ახალ მწვრთნელი ნეიტ მაკმილანი უკეთეს დებიუტზე ვერც იოცნებებდა. კუპრივით ...ში მაკმილანმა პოლ ვესტფოლის ...ი დაიკავა, შეგირდები მეზობელ პორტლენდში ჩაიყვანა და იქაურ „ტრეილ ბლეიზერთან“ შეხვედრა დამაჯერებლად 105:93 მოაგებინა. „სიეტლის“ გამარჯვებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ოკეანისგაღმა საკალათბურთო წრეებში. ყველამ კარგად იცის, რომ „პორტლენდი“ გამარჯვებებს იოლად არ თმობს, „სიეტლთან“ კი სულაც ბოლო ექვსი შეხვედრა მოიგო და ახლაც ...ს მარცხს ბევრი ვერ იფიქრებდა. „...ბგერითებმა“ და მათმა ახალმა მე...ურმა კი პროგნოზები თავდაყირა დააყენეს და ჩემპიონობის ერთ-ერთ მა...ებელს მისსავე მოედანზე სძლიეს.

ამ ღირსსახსოვარმა გამარჯვებამ „სიეტლის“ ქომაგთ ძველი დრო გაახსენა, როცა „სონიქსი“ უძლიერესთა შორის იყო და იმედიც გაჩნდა, რომ შესაძლება ოდინდელი დიდება დაბრუნდეს. ...თი თამაშის შემდეგ ძნელია ამის ...მა, მაგრამ მაინც აღვნიშნოთ, რომ ...ალი მწვრთნელის მისვლასთან ერთად ...წილ გუნდში მკვეთრად შეიცვალა სიტუაცია. მაკმილანმა თავგასული შეგირდები დისციპლინას დაუმორჩილა ...შედეგმაც არ დააყოვნა. გუნდის ლიდერი გერი პეიტონი, რომელმაც ვესტფოლი მოიჩელა, ახალ დამრიგებელს ...ლაფერს ჭკვიანი ბავშვივით უჯერებდა, მიუხედავად იმისა, რომ მაკმილანი რვა წლის განმავლობაში მოედანზე პეიტონის შემცვლელი გახლდათ. ...ვე ითქმის სხვებზეც, ისინი ახალ ...კაცს ყურს უგდებდნენ და ამით ...ლოდ მოიგეს.

...ისე, ზოგს კი ჰქონდა უკმაყოფილების საბაბი. მაკმილანმა სამწვრთნელო კარიერა რეფორმებით დაიწყო, პირველივე მატჩში სასტარტო ხუთეულიდან ამოაგდო სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი, თავდამსხმელი ვინ ბეიკერი და ...ს ფრთა რუბენ პატერსონიც მიაყოლა. მათ ადგილებზე მოკალათებულ ემანუელ დევისსა (11 ქულა) და ჯელანი ...კოის ციდან ვარსკვლავები არ მოჰქონდათ, მაგრამ ბოძებული შანსი ხელიდან არ გაუშვეს, უშეცდომოდ და ...ადლებით ითამაშეს და ახალ დამრიგებელს თავი მოაწონეს. საერთოდ, „პორტლენდთან“ ყველა სიეტლელი მობილიზებული და საბრძოლოდ შემართული გავიდა მოედანზე.

მაკმილანის პირველ გამარჯვებას საფუძველი პირველივე მეოთხედში ჩაეყარა. „პორტლენდი“ არ ელოდა მეტოქის ასეთ თამაშს და მას რიტმში ვერ აჰყვა. სტუმრები დაცვაში ყოჩაღად ირჯებოდნენ და მეტოქეს არც ერთ შეცდომას არ პატიობდნენ. უკვე პირველი მეოთხედის შემდეგ „სონიქსი“ 30:19 იგებდა, ტაიმის შემდეგ სხვაობამ 18 ქულას უწია. მასპინძლები მერელა გამოფხიზლდნენ და შეხვედრის ბედის შემობრუნება სცადეს, მაგრამ „სიეტლი“ ფხიზლობდა და „პორტლენდი“ 9 ქულაზე ახლოს არ გაიკარა.

„ვერ მოვიგეთ, რადგან მეტოქეს ჩვენზე მეტად სურდა გამარჯვება — ამბობდა ნამატჩევს „პორტლენდის“ ერთ-ერთი ლიდერი სკოტი პიპენი — ამ გუნდში დიდი პოტენციალი ჩანს და არ გამიკვირდება, თუ ეს ამ სეზონშივე გამოიღებს ნაყოფს.“

აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან მოისაკლისეს წამყვანი მოთამაშე არვიდას საბონისი. საწყისი მეოთხედის შუაწელში საბონისმა მაკკოის ლაზათიანად კი დაუფარა, მაგრამ ჩამოხტომისას თანაგუნდელ პიპენს ფეხზე დაახტა, უხერხულად დაეცა და ის მუხლი დაიშავა, რომელზეც ერთი თვის წინ ოპერაცია გაიკეთა. თუმც მისი არყოლა სულაც არ აფერმკთალებს „სიეტლის“ გამარჯვებას, რადგან მასპინძლებს მისი შემცვლელი არაერთი ჰყავთ. თუ როდის შეძლებს საბასი მოედანზე მობრუნებას, ეს ჯერჯერობით უცნობია.

საერთოდ, 28 ოქტომბერი ბევრ მასპინძელს შავად გაუთენდა. „მაიამის“ გულშემატკივარი თავისი გუნდის გაუთავებელ წაგებებს კარგა ხანია, შეეჩვია, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ „ჰითი“ „მილუოკისთან“ დამარცხდებოდა. დარბაზში „მაიამის“ საქომაგოდ მისული 15 ათასი კაცი თავისი გუნდის გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდა, „ჰითი“ ბოლო მეოთხედის დასაწყისში 22 ქულის სხვაობით — 85:63 იგებდა. საბოლოო გამარჯვებაც, რომელიც ფლორიდელთა სამმატჩიანი წაგებების სერიას დაასრულებდა, თითქოს შორს არ იყო, სულ რამდენიმე წუთი და... „მაიამიმ“ ეს შეხვედრა რაღაც სასწაულით 101:102 წააგო. გამოვთვალოთ, დარჩენილი დრო (დაახლოებით 11 წუთი) 39:16 დათმო. მასპინძელთა უმოწყალო რბევა „ბაქსის“ სათადარიგო გამთამაშებელმა ლინდსი ჰანტერმა დაიწყო ავანტიურისტული სამქულიანით. მან კიდევ ოთხჯერ დალაშქრა შორი მანძილიდან მასპინძელთა კალათი, „მაიამისაც“ უზარმაზარი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა შემოეფლანგა. შემცვლელის დაწყებული საქმე კი „მილუოკის“ ძირითადმა გამთამაშებელმა სემ კასელმა (15 ქულა) დაამთავრა. მან გაოგნებულ მასპინძლებს საფინალო სირენამდე 0,9 წამით ადრე სამიანი ჩაუგდო და შეხვედრას წერტილიც დაუსვა.

„პირდაპირ არ ვიცი, რა ვთქვა — თქვა ნამატჩევს „მილუოკის“ მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა — ასეთი რამ წელიწადში ერთხელ ხდება. მესამე მეოთხედის შემდეგ მატჩის ხსნის შანსი თითქმის არ გვრჩებოდა. ბიჭებს მაინც ვუთხარი, იქნებ სამქულიანებით გამოგვივიდეს რამე-მეთქი. როცა ჰანტერმა პირველი ჩააგდო, იმედი მოგვეცა და ვანიშნე, გაეგრძელებინა. ხოლო კასელის ნასროლს თამამად შემიძლია, სეზონში საუკეთესო ვუწოდო.“

თითქმის მოგებული შეხვედრის დათმობა, ძნელი მისახვედრი არაა, რა გუნებაზეც დააყენებდა მასპინძლებს, ისინი რამდენიმე წუთი შოკში იყვნენ და საკუთარი გულშემატკივრების ლანძღვა-გინებას ისმენდნენ. „პირველ სამ მეოთხედში ჩვენი საუკეთესო თამაში ვაჩვენეთ, ასე ჩვენ ამ სეზონში არ გვითამაშია. ბოლო მეოთხედში რა დაგვემართა, ამაზე ვერაფერს გეტყვით, მიჭირს მომხდარის ბოლომდე გააზრება. ეს კატასტროფაა“ — ამბობდა მატჩის შემდეგ მაიამელთა ერთ-ერთი ლიდერი ტიმ ჰარდევეი. მოხდა კი ის, რომ „მილუოკიმ“ გრიგალივით გადაუქროლა ფლორიდას და უკან ნამუსრევი დატოვა. „ბაქსმა“ ორ დღეში ამ შტატის ორივე წარმომადგენელი, „ორლანდოც“ და „მაიამიც“, მათსავე მოედანზე შეარცხვინა.

„კლივლენდ კავალიერზი“ სიმპათიური გუნდია, ხეირიანი არავინ ჰყავს და უამისოდაც ლიდერობს ცენტრალურ დივიზიონში. 28 ნოემბერს მას შინაურ შეხვედრაში, წესითა და რიგით, უნდა ეჯობნა „ბოსტონისთვის“, თუნდაც იმიტომ, რომ „ბოსტონს“ მანამდე სტუმრად არ მოეგო, „კლივლენდი“ კი შინ არ დამარცხებულიყო. ყველაფერი კი პირიქით მოხდა. ამაში განსაკუთრებული არაფერია, ყველა აგებს, თუნდაც შინ, მაგრამ ამ შეხვედრაში „კლივლენდი“ საშვილიშვილოდ შერცხვა — „კავალიერზმა“ მეორე მეოთხედში სულ ოთხი ქულა მიითვალა. ასეთი რამ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას არ ახსოვს და ალბათ, დიდი ხანი გავა, სანამ ამ ანტირეკორდს ვინმე „იღბლიანი“ დაამხობს.

დიახ, „ბოსტონი“ კარგად იცავდა თავს, მაგრამ დღეს ხომ ყველა თამაშობს დაცვას. სტუმრებს არც ბევრი ბურთი ჩაუჭრიათ და არც დაფარება გაუკეთებიათ უთვალავი რაოდენობით, უბრალოდ მასპინძელთა ნასროლ ბურთს ჯიუტად არ სურდა „სელტიქსის“ კალათში ჩაშვება. კლივლენდელები აცილებდნენ სამქულიანებს, ფარქვეშიდან, გარედან, კაუჭებს, ნახტომში ნასროლებს. ერთხელ სულაც ფარქვეშ უმეთვალყურეოდ დარჩენილ 221-სანტიმეტრიან ჟიდრუნას ილგაუსკასს ჩატენილი ბურთი ამოუვარდა კალათიდან. დამთავრდა მეორე მეოთხედი და კლივლენდელები ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ. ამ საშინელი თორმეტწუთეულის შემდეგ კი რაღა გასაკვირია, რომ „კავალიერზმა“ წააგო.

შინ მოთამაშეთაგან კი მხოლოდ ორმა — „დალასმა“ და „ლეიკერსმა“ იმარჯვა. „დალასის“ გამარჯვებაში ლომის წილი ტორონტოელმა ვინს კარტერმა დაიდო, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ფეხი იტკინა და თავისიანებს ვერაფრით შეეშველა. მოგეხსენებათ, იგი თავისი გუნდის ლამის ნახევარს უდრის და მის გარეშე დარჩენილი „დინოზავრები“ ტეხასელთა იოლი ლუკმა გახდნენ.

ჩემპიონი „ლეიკერსი“ შინ დაუხვდა ვიცე-ჩემპიონ „ინდიანას“ და იოლად გაუმკლავდა. „ინდიანა“ დღესდღეობით ის აღარაა, რაც შარშან იყო, თუმც წინა სეზონის ფინალში მის მძლეველს თავიდან მაინც გაუწია წინააღმდეგობის მსგავსი. საწყის პერიოდში მეტოქისგან ნაჩხვლეტმა „ლეიკერსის“ ლიდერმა შაკილ ონილმა, როგორც იქნა, გამოიღვიძა და სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩიც ჩაატარა. შაკს მისი მოგვარე გამოუცდელი ყმაწვილკაცი ჯერმენ ონილი მეურვეობდა. ძნელი მისახვედრი არაა, ვინ იმარჯვა ონილების დუელში. გაილაღა კობი ბრაიანტმაც. მან „ინდიანას“ დაცვით ნაგებობებში ითარეშა და სეზონში ყველაზე მეტ, 37 ქულასაც მოუყარა თავი.

**ირაკლი ფირუზვილი**



პორტლენდი — სიეტლი. გერი პეიტონის შეჩერება პორტლენდელმა სკოტი პიპენმა ვერ მოახერხა

## კვირის მოთამაშე
### ბაირონ დევისი
### • შარლოტი •

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციაში წინა კვირის საუკეთესო მოთამაშედ „შარლოტ ჰორნეთსის“ 191-სანტიმეტრიანი უკანახაზელი ბაირონ დევისი აირჩიეს. დევისი მეორე წელია, პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში თამაშობს და რადგან თავის პირველ პროფესიულ სეზონში ხეირიანი არაფერი გაუკეთებია, ნაკლებად იცნობენ. ამ სეზონში მის აღმასვლას გუნდის ლიდერის, მსროლელი ედი ჯონსის „მაიამიში“ გადაბარგებამ შეუწყო ხელი. დევისი ხუთეულში მის ადგილზე მოკალათდა და გუნდის შეუცვლელ წევრადაც იქცა.

წინა კვირაში „შარლოტმა“ ოთხივე მეტოქე დაამარცხა და „კრაზანების“ წარმატებულ სვლაში დევისმა ლომის წილი დაიდო. მართალია, მას გუნდისთვის ქულები დიდი ოდენობით არ მოუტანია, მაგრამ, სამაგიეროდ, „შარლოტის“ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი შეიქნა და ორჯერ სამმაგი დუბლიც შეასრულა.

„შარლოტმა“ და დევისმა კვირა ტორონტოში, იქაური „რეპტორზის“ ისტორიული (100:64) განადგურებით გახსნეს. აქ კვირის რჩეულს მაინცდამაინც არ გამოუჩენია თავი, ალბათ, იმიტომ, რომ „ჰორნეთსი“ მის ძალისხმევას ნაკლებად საჭიროებდა. დევისს შეხვედრაში 9 ქულა, ამდენივე პასი და 7 მოხსნა მოუგროვდა. აი, მომდევნო, გაცილებით სერიოზულ შეხვედრაში „ფილადელფიასთან“ მან 12 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა და კარიერაში პირველი სამმაგი დუბლი გააჩხრხა. მისი აქტიურობით „შარლოტმა“ „ფილადელფიას“ ათმატჩიანი მოგებათა ჯაჭვი გაუწყვიტა და სეზონში პირველად აგემა მარცხი (88:73). დევისის 13 ქულის, 11 პასისა და 8 მოხსნის წყალობით „ჰორნეთსმა“ მომდევნო მეტოქე „მილუოკისაც“ იოლად, 109:90 მოუგო. კვირა კი „კლივლენდის“ 109:98 ძლევით გასრულდა. დევისმა მეორედ შეასრულა სამმაგი დუბლი: 14 ქულას, 11 პასს და 10 მოხსნას ოთხი ჩაჭრაც დაუმატა. კვირის რჩეულს ამ ოთხ შეხვედრაში საშუალოდ 12,0 ქულა, 10,5 პასი და 8,8 მოხსნა მოუგროვდა.

კვირის მოთამაშის ტიტულში ბაირონ დევისს ეცილებოდნენ პოლ პირსი (ბოსტონი), თანაგუნდელი ჯამალ მაშბურნი, თეო რეთლიფი (ფილადელფია), შონ მარიონი (ფინიქსი) და რაშიდ ვოლესი (პორტლენდი).



| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ფილადელფია | 11 | 2 | 84,6 |
| ნიუ იორკი | 9 | 6 | 60,0 |
| ბოსტონი | 7 | 7 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 6 | 8 | 42,9 |
| მაიამი | 5 | 9 | 35,7 |
| ორლანდო | 5 | 10 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 4 | 11 | 26,7 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| კლივლენდი | 9 | 5 | 64,3 |
| შარლოტი | 9 | 6 | 60,0 |
| ტორონტო | 8 | 6 | 57,1 |
| ინდიანა | 6 | 7 | 46,2 |
| დეტროიტი | 5 | 9 | 35,7 |
| მილუოკი | 5 | 9 | 35,7 |
| ატლანტა | 3 | 12 | 20,0 |
| ჩიკაგო | 1 | 13 | 7,1 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 11 | 3 | 78,6 |
| სან ანტონიო | 9 | 4 | 69,2 |
| დალასი | 10 | 5 | 66,7 |
| მინესოტა | 8 | 6 | 57,1 |
| ჰიუსტონი | 8 | 7 | 53,3 |
| დენვერი | 7 | 7 | 50,0 |
| ვანკუვერი | 5 | 9 | 35,7 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ფინიქსი | 10 | 3 | 76,9 |
| საკრამენტო | 10 | 3 | 76,9 |
| ლეიკერსი | 11 | 4 | 73,3 |
| პორტლენდი | 10 | 6 | 62,5 |
| სიეტლი | 7 | 9 | 43,8 |
| გოლდენ სტეიტი | 4 | 10 | 28,6 |
| კლიპერსი | 4 | 11 | 26,7 |

# სარბიელი სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

## კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# პიტი მეცხრედ დააცხრეს



პიტ სამპრასი

ლისაბონი. პორტუგალია. „მასტერსის თასი“.
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 3,7 მილიონი $

## წითელი ჯგუფი

**მარატ საფინი (1, რუსეთი) — ალექს კორეხა (7, ესპანეთი) 6:7 (6:8), 7:5, 6:3**

წლევანდელი ATP-ის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი მატჩი, ამ პრესტიჟულ ტურნირზე პირველად მოთამაშე მსოფლიოს პირველი ჩოგნისთვის ლამის სავალალოდ დასრულდა — მარატ საფინი მარცხს ბეწვზე გადაურჩა.

ესპანელი ალექს კორეხა ჯანით დიდად არ გამოირჩევა, სამაგიეროდ, იობის მოთმინებას და გამჭრიახ აზროვნებას არავინ დაუკარგავს. ორიოდ კვირის წინ, პარიზის ღია პირველობის ნახევარფინალში საფინთან მარცხმა მას მარტო იმ ჭეშმარიტებაზე კი არ აუხილა თვალი, რომ რუსთან მძლავრი დარტყმების გაცვლა-გამოცვლას აზრი არ აქვს, არამედ ამ გენიალური მიგნების კორტზე როგორღაც გამოყენების ხერხზეც მიანიშნა.

ამჯერად კორეხამ შესანიშნავი ტაქტიკა შეიმუშავა — ბურთს ბადის მეორე მხარეს ყველა საშუალებით, თანაც რაც შეიძლება ნელა აბრუნებდა, რათა რუსს ერთი დარტყმით გათამაშების მოგება მაქსიმალურად გასჭირვებოდა, მაგრამ როგორც კი მეტოქე სიფხიზლეს მოადუნებდა, მაშინვე თავად გადადიოდა შეტევაზე და საფინს სიცოცხლეს უმწარებდა.

მოსკოველის საუკეთესო თვისებებს შორის, ტაქტიკის სიტუატურად ცვლის უნარს, ჯერჯერობით მაინც, ნამდვილად ვერ იპოვით, ამიტომ ტვინის მტვრევა და მარატისთვის ამოცანის პასუხის ჩუმად კარნახი (მწვრთნელის დახმარება ოფიციალურად ჩოგბურთში აკრძალულია) მის მოძღვარ რაფაელ მენსუას ევალება.

ესპანელი მენსუა თანამემამულისთვის ზურგში მახვილის ჩაცემას ეტყობა არ ჩქარობდა, რაკი საფინს საჭირო მითითებები ბოლო წუთამდე დაუგვიანა და ბლომად აყვირა: „როცა ცუდად ვთამაშობ და ვაგებ, რა თქმა უნდა, ჩემი ბრალია, მაგრამ მწვრთნელსაც ხომ ევალება ერთი-ორი სიტყვით შეგეწიოს. მე და ის ერთმანეთს უკვე ექვსი წელია ვიცნობთ, მან კარგად იცის, მატჩის თითოეულ მომენტში რა მჭირდება. როცა საკუთარი თამაშით უკმაყოფილო და გაბრაზებული ვარ, ვინმეს უნდა ვუყვირო, ჰოდა, ხშირად ერთმანეთს ვულრიალებთ-ხოლმე. მოგვიანებით ეს არც ერთს აღარ გვახსოვს“.

სამაგიეროდ, რუსმა მცირეოდენი დახმარება შესანიშნავად გამოიყენა, ხელის მთელი ძალით ქნევას შეეშვა და შეცდომების დაშვების ნაცვლად თავადაც, კორეხას მსგავსად, გადაგდებაზე დაიწყო თამაში. წაგების პირას მყოფმა საფინმა ასე მეორე სეტში 3:5-დან ზედიზედ 7 გეიმი მოიგო, მატჩში გარდატეხა შეიტანა და ესპანელს კორტზე ყოფნის ხალისი დაუკარგა.

20 წლის რუსმა ორსაათნახევრიანი მატჩის მოგებით კიდევ ერთი კურდღელი დაიჭირა: ახლა პიტ სამპრასი სეზონის ბოლოს კლასიფიკაციაში მას თეორიულადაც ვეღარ გადაუსწრებს, უახლოეს მდევარ გუსტავო კუერტენს კი ამისთვის „მასტერსის თასის“ ჩემპიონობა დასჭირდება.

**ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) — პიტ სამპრასი (3, აშშ) 7:5, 6:0**

ასეთი რამ 1996 წლიდან აღარ მომხდარა: ლეგენდარულმა პიტ „პისტოლ“ სამპრასმა, უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონმა, დიდი სლემის ტიტულებსა და კლასიფიკაციაში პირველობაში რეკორდსმენმა სეტი მშრალზე წააგო. თანაც ვისთან? 19 წლის პირზერძეშეუმშრალ მეტოქესთან.

ვეტერან ამერიკელს თავის გასამართლებლად ის თუ გამოადგება, რომ ბოლო ორ თვეში ჩოგანსა და კორტზე გაცილებით მეტ დროს ახალმოყვანილ მეუღლეს, მსახიობ ბრიჯიტ უილსონს უთმობდა, მაგრამ ჯერ კიდევ ერთი დღით ადრე ის ლისაბონში გამარჯვების ამბიციებსაც არ მალავდა.

ენერგიულ ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტთან მატჩი პიტმა არცთუ უხეიროდ დაიწყო და 5:5-მდე მეტოქეს ბევრად არც ჩამოუვარდებოდა. თავისუფალი ვარდნა იქედან დაიწყო, როდესაც ოზმა მას მრისხანე მოწოდება აართვა, მერე საკუთარზე ორი ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა და პირველი ხელი მოიგო.

აქედან მოყოლებული, სამპრასს თითქოს ხელში ძალა გამოელია, კორტზე უაზროდ დაბორიალებდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. ახალგაზრდულად თავხედმა ჰიუიტმა ამასობაში დრო იხელთა, ღვაწლმოსილ მეტოქეს პატივი არ სცა და აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში მარცხისთვის მწარედ იძია შური.

„მგონი, პიტს მატჩის ბოლოს მის მიმართ ინტერესიც დაეკარგა. დღეს ის იმ ჩოგბურთელს არ ჰგავდა, ვისაც ამდენი „მეიჯორი“ მოუგია. მე კი რა მეთქმის, ბედნიერი ვარ. ორი წლის წინ ამ დროს ავსტრალიაში „ჩელენჯერებზე“ ვთამაშობდი, ახლა კი საუკეთესოებს ვხვდები“ — განაცხადა ჰიუიტმა.

„0:6-ის ჩაყლაპვა ძალიან ძნელია. თავიდან რომ ცუდად გავირჯებოდი, ვიცოდი, მაგრამ მეგონა, თანდათან მოვუმატებდი, პირიქით კი მოხდა — თავდაჯერება სულ დავკარგე. იმედგაცრუების დრო არ მაქვს, ხვალ მორიგი მატჩი მელის“ — აღნიშნა პიტმა, რომელსაც ტურნირი ხუთჯერ მოუგია და თითო მატჩი შესარჩევ ჯგუფში ყოველთვის დაუთმია ვინმესთვის.

სტატისტიკის მოყვარულთათვის: სულ კარიერაში სეტი მშრალზე სამპრასს ცხრაჯერ წაუგია, ბოლოს კი ეს 1996 წლის როლან-გაროსის ნახევარფინალში, ევგენი კაფელნიკოვთან შეემთხვა.

## მწვანე ჯგუფი

**ანდრე აგასი (8, აშშ) — გუსტავო კუერტენი (2, ბრაზილია) 4:6, 6:4, 6:3**

ტურნირის წინ ტრავმა ანდრე აგასის აწუხებდა, თუმცა მატჩის ბედი მისმა მტკივანმა ბარძაყმა კი არა, გუსტავო კუერტენის დაჭიმულმა კუნთმა გადაწყვიტა.

„გუგა“, რომელიც მარატ საფინის ერთადერთი რეალური კონკურენტია სეზონის ბოლოს კლასიფიკაციაში პირველობისთვის, ბრძოლაში მეორე სეტის ბოლოს ფეხმა შეაწუხა და კორტზე ექიმის ხმობა დასჭირდა. რამდენიმეწუთიანი წამლობის შემდეგ ბრაზილიელმა თამაში კი გააგრძელა, მაგრამ გამოცდილ ამერიკელს ნახევარკაცის დამარცხება აღარ გასჭირვებია.

„ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ანდრეს გარდა კიდევ ერთ მეტოქეს ვებრძოდი. ხუთშაბათამდე დავიცდი და თუ ოდნავ არ მოვმჯობინდი, თამაშზე უარს ვიტყვი“ — აღნიშნა კუერტენმა და აქამდე უსაქმოდ მყოფი სათადარიგო ტომას ენკვისტი, ალბათ, ძალიანაც გაახარა.

**ავთანდილ სვანიძე**



ალექს კორეხა



მარატ საფინი





„გლაზგო“ ჰავანის პორტში

# ჭრიჭინა და გოლდინგი

**ერთკვირიანი** პაუზის შემდეგ მსოფლიო ოკეანეში ვბრუნდებით. „BT ჩელენჯის“ მეორე ეტაპი ჯერ კიდევ მაშინ დასრულდა, როცა „ტაიმს კლიპერისა“ სრულდებოდა, „ვენდი გლოუბის“ იახტებზე ცალად მდგარებს კი გზის მეხუთედიც არ ამოეწურათ. ბოსტონიდან ბუენოს აირესს უკლებლივ ჩაღწეულმა „ჩელენჯერებმა“ გვარიანი დასვენება მოიწყვეს ტანგოს სამეფოში და ჰორნის ცივი და შფოთიანი კონცხისკენ დაძვრას არ ჩქარობენ, ისევე როგორც „კლიპერთა“ ეკიპაჟები კუბის დატოვებას. ისინი ჰავანაში პარასკევს და შაბათს შევიდნენ. მოულოდნელობები არ ყოფილა, „პლიმუთმა“ ანტილის არქიპელაგის მისადგომებთან მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნა და ფინიშზე პირველი იყო. „პორტსმუთისა“ და „ლონდონის“ სამეორეადგილო სპრინტი დედაქალაქელთა მარცხით დასრულდა, ხოლო „ბრისტოლმა“ ერთხელაც დაამტკიცა, რომ რეგატის ფავორიტია. შუა ატლანტიკაში ტაქტიკური ჩავარდნის შემდეგ პირველი ეტაპის მომგებნი ლოგიკურად მეექვსე ადგილს ვერ უნდა ასცდენოდნენ, მაგრამ „ბრისტონმა“ „გლაზგო“ ჯერ წინ არ გაუშვა, მერე კი „ლიდსთან“ 70-მილიანი ჩამორჩენა მოსპო და ჰავანაში ბეწვზე შეასწრო.

დახვედრა მშვენიერი იყო. ნაპირზე იდგა ჰავანაში ოთხი დღით ადრე ჩაფრენილი სერ რობინ ნოქს ჯონსტონი (დედამიწას მარტომ და შეუსვენებლად კარგა ხნის წინ რომ შემოუარა) და კუბაში ბრიტანეთის ელჩის, დევიდ რიჯუეის მიძღვნილ ადგილობრივ ხარისხიან სიგარას სიგარაზე აბოლებდა. პირველი სამი იახტისთვის პრიზების ჩამორიგებამ პალმების ჩრდილში საზეიმოდ ჩაიარა, მერე კი ზღვის მგლები ტურისტებად იქცნენ და ჰავანის დიდებულ ქუჩებს მოედვნენ, რომელთაგან ზოგი დღესაც ისეთი ვიწროა, როგორც 4 საუკუნის წინათ, ფრენსის დრეიკის კორსარობის ხანაში.

„ტაიმს კლიპერი“ ერთხანს დაისვენებს. ამჟამად ოკეანეში მხოლოდ „ვენდი გლოუბის“ ხალხია. ქარი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ქრის, ამიტომ იახტების მეტი წილი ზუსტად სამხრეთით მიემართება, თუმცა გზის სიმოკლის თვალსაზრისით სამხრეთ-აღმოსავლეთის გეზი (კეთილი იმედის კონცხისკენ) უფრო სასურველია, ქარი რომ ხელსაყრელი იყოს. მოწინავენი ტრინიდადის კუნძულებს გასცდნენ (რომლებიც, ცხადია, ატო ბოლდონის ტრინიდადში არაფრით აგერევათ), ხოლო ელენ მაკარტურმა ისინი წუხელ იხილა. ახალგაზრდა ბრიტანელი ლედი მეხუთეა და თავს ჩინებულად გრძნობს. „ზღვა სულ უფრო და უფრო გალურჯდა — იტყობინება იგი უსაქმურობისგან — დილით მზე ამოვიდა თუ არა, ციდან ღრუბლის ორიოდე ფთილაც გაქრა. მეძინა დიდებულად, დაღლილობის ნასახსაც ვერა ვგრძნობ“.

ბოლო დღეებში აიწყვიტა ფრანგმა ივ პარლემ. მიშელ დეჟუაიეს ცოტა ადრე ლიდერობისთვის ბრძოლა მოუგო და წინ სოლიდურად გაიჭრა, თუმცა ამ დღეებში შტორმია მოსალოდნელი და ვინც ქარის გაძლიერებას უკეთ მოიხმარს, იქნებ პარლესაც დაეწიოს.

სიკვდილსაც დავიწყებია მაიკ გოლდინგი, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ — ფრანგული ლე საბლ დოლონედან ანძის გატეხვის გამო სხვებზე რვა დღით გვიან გამოსულ ბრიტანელს ქრონიკული პრობლემები აწუხებს. რამდენიმე დღის წინ კომუნიკაციის უახლესმა თანამგზავრულმა სისტემა SAT B-მა უმტყუნა და იახტის კომპიუტერის ნაწილებად დაშლა მოუხდა, მერე წყლის მწარმოებელმა აპარატმა იჭირვეულა კარგა ხანს და შუაღამისას უძირო ოკეანეში სადღაციდან გასაკვირად მოფრენილი სამდუიმიანი ჭრიჭინას საზეიმო მოძახილმა წამოაგდო ზეზე. „სულიერის დანახვა მეამა — არ ტყდება გოლდინგი — სურათის გადაღება დავუპირე, მაგრამ გამექცა“. „ტიიმ გრუპ 4“-ის პატრონი საერთოდაც ჩინებულ ხასიათზეა, გაშლილი სპინაკერით მიცურავს და საათში 12 კვანძზე ნაკლებს არ გადის. ორი დღის წინ ბატკნის ხორცით გამძღარა და ცოტათი ნანობს, ნაწილი სამხრეთ ნახევარსფეროსთვის შემენახა, მოვკვდები კონსერვების ჭამითო.

**დავით გულუა**

**რეგატა «ვენდი გლოუბი»**
29 ნოემბრის ვითარება
პირველი ხუთეული

1. ივ პარლე („აქუიტან ინოვასიონს“, საფრანგეთი) 19434 საზღვაო მილი ფინიშამდე;
2. მიშელ დეჟუაიე (PRB, საფრანგეთი) +145;
3. კატრინ შაბო („ვირლპულ“, საფრანგეთი) +155;
4. როლან ჟურდენი („სილ“, საფრანგეთი) +170;
5. ელენ მაკარტური („კინგ ფიშერ“, დიდი ბრიტანეთი) +228;

**რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»**
II ეტაპი. ვილამურა — ჰავანა - საბოლოო შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1. | „პლიმუთი“ | 8 ქულა |
| 2. | „პორტსმუთი“ | 7 |
| 3. | „ლონდონი“ | 6 |
| 4. | „ბრისტოლი“ | 5 |
| 5. | „ლიდსი“ | 4 |
| 6. | „გლაზგო“ | 3 |
| 7. | „ჯერსი“ | 2 |
| 8. | „ლივერპული“ | 1 |

**საერთო ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | „პლიმუთი“ | 15 ქულა |
| 2. | „ბრისტოლი“ | 13 |
| 3. | „პორტსმუთი“ | 13 |
| 4. | „ლონდონი“ | 11 |
| 5. | „ლიდსი“ | 7 |
| 6. | „ჯერსი“ | 6 |
| 7. | „გლაზგო“ | 5 |
| 8. | „ლივერპული“ | 2 |



REUTERS ფოტო

სამხრეთაფრიკელმა რობი კემპსონმა უელსელთა კაპიტანი სკოტ ქვინელი დაითრია

# არმიას ორი «დაჭრილი» დაუბრუნდა

**1 დეკემბერს** საქართველოს ჩემპიონატის მეორე ფინალისტის ვინაობა გაირკვევა. ერთი პრეტენდენტი უკვე ცნობილია. შეგახსენებთ, რომ თბილისის სტუ-„ყოჩებმა" 15 ნოემბერს ბათუმში გამართულ პირველ ნახევარფინალურ მატჩში იქაურ „დათვებს" 13:8 მოუგეს და ფინალში დამსახურებულად გააღწიეს. თუ ვინ იქნება მათი მოცილე, ამას მეორე ნახევარფინალური მატჩი, „ლოკომოტივის 1" — ასკ გამოავლენს, რომელიც როგორც უკვე ვთქვით, პარასკევს ოქროყანის სტადიონზე ჩატარდება. ის შეხვედრა, წესით და რიგით, 16 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ არმიული კლუბის ხელმძღვანელობამ მისი გადადება მოითხოვა, რადგან ასკ-ს სამი მობურთალი, საქართველოს ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებების წევრები, ირაკლი აბუსერიძე, ვასიკო აბაშიძე და ბადრი ხეხელაშვილი, საშვიდკაცო მსოფლიოს სერიაზე ნაკრებში იყვნენ გამოძახებულნი და, შესაბამისად, თავიანთ კლუბს რკინიგზელებთან პრინციპულ შეხვედრაში ვერ დაეხმარებოდნენ. ასკ-ს ხელმძღვანელობამაც მნიშვნელოვანი მატჩის ჩატარება წამყვანი მორაგბეების გარეშე არ ისურვა და საქართველოს რაგბის კავშირის წესდება მოიშველია, რომელშიც მითითებულია, რომ თუ გუნდის სამი ან მეტი მორაგბე ნაკრებშია მიწვეული, მაშინ კლუბს სრული უფლება აქვს შეხვედრის გადადება მოითხოვოს. არმიელთა მოთხოვნა დააკმაყოფილეს და თბილისური დერბიც პარასკევს გაიმართება, მაგრამ შესაძლოა ზემოთ ნახსენები სამი მოთამაშიდან მოედანზე მხოლოდ ირაკლი აბუსერიძე გამოჩნდეს. მართალია, სამეული მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა, მაგრამ ვასიკო აბაშიძე და ბადრი ხეხელაშვილი დუბაის ტურნირზე დაშავდნენ და მათი თამაში „ლოკომოტივი 1"-ის წინააღმდეგ სათუოა.

# კაცია და ქუდი ხურავს 86!

## დაობლებული კოენის ლელო ლეონარდისთვის

**ტესტი**

კარდიფი. 26 ნოემბერი
60 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| **უელსი** | **13 (10)** |
| **სამხრეთ აფრიკა** | **23 (6)** |

**უელსი:** რ. უილიამსი (შ. უილიამსი 20), გ. ტომასი, ბეიტმანი, გიბსი, ჯეიმსი, ნ. ჯენკინსი (ა. ტომასი 61), ჰოული, ჩარვისი, სქვინელი (კაპ.), ბადჯეტი, ვიატი, გაფი, მორისი (ჯონი 63), გ. ჯენკინსი (ა. ლუისი 55), როჯერსი (ი. ტომასი 41)

1 ლ — გიბსი (31), 1 გ — ნ. ჯენკინსი, 2 ს — ნ. ჯენკინსი (14), ა. ტომასი (61)

**სამხრეთ აფრიკა:** დელპორტი (ვესტერჰოიზენი 44), პოლსე, ფლეკი, ფან სტაატენი, რუსოუ (უილიამსი 22), მონტგომერი, ფან დერ ვესტჰოიზენი, ა. ვენტერი, ფოსი (კაპ.), კრიხე, ენდრიუსი, ფან დერ ბერხი (ე. ვენტერი 58), მეიერი (ლე რუ 66), სმიტი (მარე 80), კემპსონი

2 ლ — ფან დერ ვესტჰოიზენი (59), პოლსე (80), 2 გ. და 3 ს. — ფან სტრაატენი (2,27, 80)

**გაფრთხილება:** ფლეკი (77)

**მსაჯი:** ლანდერი (ინგლისი)

უელსელებმა ანგარიშის გახსნა სტუმრებს დაანებეს, როცა თამაშის წესები უკვე მე-2 წუთზე დაარღვიეს. მერე მსოფლიოში ყველაზე შედეგიანმა მორაგბემ, ნილ ჯენკინსმა გაათანაბრა ანგარიში ფოსის თამაშგარეს გამო, თუმცა მანვე ორიოდე წუთით ადრე კიდევ ერთი საჯარიმო გააცუდა. მე-17 წუთზე ტინუს დელპორტს ჰქონდა ლელოს გატანის შანსი, მაგრამ ბოლო წამს იგი გარეტ ტომასმა შებოჭა. დელპორტი მეორე ტაიმში დაშავდა და ახლა უკვე სამშობლოშია სამკურნალოდ.

მასპინძლებმა თანდათანობით მოიპოვეს უპირატესობა. მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში რობ ჰოულიმ კარგად გადააგდო აუტში ბურთი. დერეფანში იან გაფმა ივაჟკაცა და სკოტ გიბსმაც მარჯვენა ფრთაზე გიანავარდა. ნილ ჯენკინსმა გარდასახვა ზუსტად შეასრულა და უელსი 10:6 დაწინაურდა, რადგან ბრაამ ფან სტრაატენმა ლელომდე ერთი საჯარიმოს გატანაც მოასწრო.

მეორე ტაიმში უელსელები აბრაგანებით ცდილობდნენ „ქურციკთა" დაცვის გარღვევას, მაგრამ ეს უკანასკნელნი ფხიზლად იყვნენ. მეტიც, იოს ფან დერ ვესტჰოიზენის ლელომ და ფან სტრაატენის გარდასახვამ აფრიკელები დააწინაურა. უელსმა არველ ტომასის ძალისხმევით ისევ გაათანაბრა, თუმც ნილ ჯენკინსის შემცვლელმა თავისიანები მაინც დაალალატა. მან ჯერ არეკნი გააცუდა, მერე კი იოლი საჯარიმო, რასაც ერთი არაზუსტი არეკნი დაუმატა. „მილენიუმზე" თავმოყრილ ქომაგებს გამარჯვება მაინც არ ეეჭვებოდათ, რადგან 77-ე წუთზე სტუმრებს რობი ფლეკი გაუძევეს ათი წუთით და შესაბამისად, საბოლოოდ.

თუმცა მსაჯის მიერ წამატებულ დროში „ქურციკებმა" იმარჯვეს. ჯერ ფან სტრაატენმა შეაგდო საჯარიმო, მერე კი ბრეიტონ პოლსემ გაიტანა ლელო.

და სამხრეთ აფრიკამ მესამე ტესტიც მოიგო არგენტინასა და ირლანდიაში წარმატებების შემდეგ.

**ტესტი**

თვიქნემი. 25 ნოემბერი
50 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | **19 (9)** |
| **არგენტინა** | **0 (0)** |

**ინგლისი:** ბოლშოუ, კოენი, ტინდალი (გრინვუდი 58), კეტი, ლაჯერი, უილკინსონი, დოუსონი, ბეკი, დალალიო, ჰილი (კორი 74), გრივკოკი, ჯონსონი (კაპ.), ვაიტი (ვიკერი 40), რიგენი (ვესტი 78), ლეონარდი (ფლეტმანი 70)

1 ლ — კოენი (69), 1 გ. და 3 ს — უილკინსონი (1, 32, 43, 69), 1 ა — უილკინსონი (25)

**არგენტინა:** კონტეპომი, ბარტოლუჩი, ორენგო, არბიზუ (კაპ.), კორლეტო, კესადა, პიჩოტი, მარტინი, ლონგო, ფელანი, ფერნანდეს ლობე, ალუბი (უგარტემენდია 64), გარაუ, მენდესი, ჰასანი

**გაფრთხილება:** კონტეპომი (67), ფერნანდეს ლობე (80)

**მსაჯი:** ლუისი (ირლანდია)

ინგლისის ნაკრებმა ტესტების სეზონი იოლი გამარჯვებით განაგრძო. მამის გარდაცვალების გამო ავსტრალიასთან არნათამაშევმა ბენ კოენმა დაბრუნება მატჩის ერთადერთი ლელოთი აღნიშნა. ახალგაზრდა გარე ნახევარმცველმა ჯონ უილკინსონმა კი თავისიანების დანარჩენი ქულები მიითვალა.

წინა კვირაში ინგლისელმა მორაგბეებმა პატარა გაფიცვაც მოაწყვეს ფინანსური მოთხოვნებით, მაგრამ ქომაგებმა ისინი მაინც ძველებურად მიიღეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ჯეისონ ლეონარდის იუბილეც იყო. ინგლისელთა კვაჭმა ნაკრების კვართი 86-ედ მოირგო, რაც ამ ქვეყნის რეკორდია.

წვიმისგან დამძიმებულ მინდორზე პირველ ტაიმში შერკინებებისა და დარტყმების დაპირისპირება იყო. სამმეოთხედელებს კი ჩვეული სიჩქარეების აკრეფა უჭირდათ და ამიტომ სწრაფ იერიშებსაც ვერ ახორციელებდნენ. დამრტყმელთაგან უკეთესი უილკინსონი გამოდგა, რომელმაც 21 წლისამ უკვე 300 ქულაზე მეტი შესძინა ინგლისის ნაკრებს, რაც ძალიან კარგი შედეგია. მოპირდაპირე ბანაკიდან კი გონსალო კესადას გაუცუდდა სამიზნე. შარშანდელი მსოფლიოს თასის ყველაზე შედეგიანმა მორაგბემ სამჯერ ვერ გაატარა ბურთი ძელებს შორის.

მეორე ტაიმის დასაწყისში უილკინსონმა ერთი საჯარიმოც შეაგდო და მასპინძლები 12:0 დაწინაურდნენ. გამარჯვება, ფაქტობრივად, განადგურებული იყო, თუმცა ინგლისი მაინც ლელოს გატანას ეშურებოდა. ოღონდ იან ბოლშოუს, ლოურენს დალალიოსა და დან ლაჯერს „აღთქმულ მიწაზე" რამდენიმე მეტრი დააკლდათ. მატჩის ერთადერთი ლელო კი კონტეპომის დროებითი გაძევებისას გავიდა.

19:0 და მომავალ შაბათს „ქურციკებთან" ტესტს ინგლისი მშვენიერ გუნებაზე ხვდება.

**ტესტი**

გენუა. 25 ნოემბერი
33 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| **იტალია** | **19 (9)** |
| **ახალი ზელანდია** | **56 (25)** |

**იტალია:** სტოიკა, პერციანო, მარტინი, რაინერი, დალანი, პეცი (პრეო 53), ტრონკონი (ფრატი 3), პიოვანი (პაოლეტი 70), კაიონე (სტავიოძე 69), ძაფირი (დე როსი 38), ვისერი, გრიტი (მასტროდომენიკო 60), მურარო, მოსკარდი (კაპ.), ლო ჩიჩერო

2 ლ — ლო ჩიჩერო (57), სავოიძი (80), 3 ს — პეცი (19, 27, 31)

**ახალი ზელანდია:** კალენი (მერთენსი 73), ჰოულეტი, უმაგა, ალატინი (ოჰალორანი 70), რეიჰანა, სპენსერი, მარშალი, კრიბი, რობერტსონი (რენდელი 70), ტიატია (მაქსველი 43), ფლეველი, ბლეკედერი (კაპ.), სომერვილი (სლეიტერი 52), ოლივერი, ფლეკი

8 ლ — რეიჰანა (21, 47), ტიატია (34), ჰოულეტი (37), კრიბი (52, 74), მარშალი (66), სპენსერი (69), 5 გ — სპენსერი (21, 37, 52, 69, 74), 2 ს — სპენსერი (6, 11)

**გაფრთხილება:** მარტინი (44), ლო ჩიჩერო (70)

**მსაჯი:** დევისი (უელსი)

შემოდგომის ევროპული ტურნე დაასრულა ახალმა ზელანდიამ, რომელმაც გენუაში იტალია გაანადგურა. თუმცა მასპინძლები ცუდ ხასიათზე ნამდვილად არ იყვნენ — სად 19:56 წაგება და სად 3:101, როგორც შარშან მსოფლიოს თასზე.

იტალიას უკეთესი შედეგისთვისაც შეიძლებოდა მიეღწია, რომ არა მისი შერკინების ნახევარმცველის ალესანდრო ტრონკონის მე-3 წუთზევე მიღებული ტრავმა. იძულებითმა ცვლილებამ აპენინელები საკმაოდ არია და „ოლ ბლექსის" მწყობრ შეტევებს ვერაფერი დაუპირისპირეს.

ახალი ზელანდიის ნაკრებიდან ვისაც არ დაეზარა, თითქმის ყველამ გაიტანა ლელო. რეიჰანამ კი თავისი პირველი სანაკრებო ქულები მოიხვეჭა. სამხრეთელთა მთავარმა მწვრთნელმა უეინ სმიტმა საფრანგეთთან წაგების შემდეგ ენდრიუ მერთენსის ნაცვლად ძირითადში კარლოს სპენსერი დააყენა.

იტალიელები კი უკვე გაცხოველებით ბჭობენ ნაკრებში დიეგო დომინგესის დაბრუნებაზე და ეს, სავსებით შესაძლებელია, ექვსი ერის პირველობაზე მოხდეს.

**გაგი გურული**

# მგელაძე დათვებში, ძაგნიძე პენსიაში



ლევან მგელაძე

**წარუმატებელი** გამოდგა წლევანდელი სეზონი ბათუმის „დათვებისთვის". შარშანდელმა ჩემპიონმა მიღწეულის გამეორება ვეღარ შეძლო და პლეი ოფის ნახევარფინალში გამოეთიშა პირველობას, მერე საქართველოს თასის ფინალში თბილისის „ლოკომოტივი 1"-თან ხელი მოეცარა და ახლა მხოლოდ ბრინჯაოსთვის ბრძოლას შემორჩა, ამ სინჯის მედალი კი ზღვისპირელთათვის ვერაფერი ნუგეშია. თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო, სოლიდური შემადგენლობა, ახალი მთავარი მწვრთნელი და მყარი ფინანსური გარანტია თითქოს წარმატების საწინდარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ ზედიზედ მეორედ ჩემპიონობისთვის ბათუმელები მზად არ იყვნენ. კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის გაძლიერება და ძველი დიდების დაბრუნება გადაწყვიტა, სწორედ ამიტომ გამოუცდელი მოთამაშე მწვრთნელის თამაზ ფხაკაძის ნაცვლად მრავალნაცადი მწვრთნელის ძებნას შეუდგნენ და „დათვების" მოთვინიერება ცნობილ სპეციალისტს, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებისა და ასკ-ს ყოფილ დამრიგებელ ლევან მგელაძეს შესთავაზა. „დათვების" ტექნიკური დირექტორის მერაბ ცანელიას თქმით, წინასწარ შეთანხმება ლევან მგელაძესთან უკვე მიღწეულია, მაგრამ საბოლოო პასუხი მომავალ კვირას გახდება ცნობილი, როდესაც მხარეები მოსალაპარაკებლად მაგიდას მიუსხდებიან და ხელს ხელზე დაჰკრავენ. დღეისთვის საქმეს მაინც ისეთი პირი უჩანს, რომ მგელაძე სამწვრთნელო კარიერას ბათუმში გააგრძელებს. ეს სამომავლო ამბავია, მანამდე კი ზღვისპირელთა კაპიტანმა და გუნდის ლიდერმა ნუგზარ ძაგნიძემ დიდი რაგბიდან წასვლა გადაწყვიტა. 35 წლის ვეტერანმა ასეთი რამ ხუთი წლის წინაც მოიმოქმედა, მაგრამ 1998 წელს დაბრუნდა და მას მერე, რაც მშობლიურ „აია"-ში ერთხელ ითამაშა, ბათუმში გააგრძელა ვარჯიში. დებულება უფლებას არ აძლევდა და ძაგნიძემაც ვერ შეძლო იმ სეზონში „დათვების" სახელით გამოსვლა, მაგრამ მომდევნო წელს კაპიტნის სამკლაური მოირგო და ზღვისპირელებს ჩემპიონობაც მოაპოვებინა. წლევანდელი პირველობა უფროსმა „ბეყემ" რიხიანად დაიწყო, მაგრამ მალე ჰეპატიტით დაავადდა და სამი თვით იძულებით შეისვენა. გამოჯანმრთელებული მწვანე მინდორს დაუბრუნდა, მაგრამ ეს ძაგნიძის აჩრდილიღა იყო, მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებში თუ გაიბრწყინებდა ძველებურად, ასაკმაც კვალი დაამჩნია და... ქართული რაგბის ავტორიტეტმა უფერულ თამაშს პენსიაზე გასვლა ამჯობინა.

**ბაჩო სვანიძე**



ნუგზარ ძაგნიძე

## ჭადრაკი

# ინდოეთში ქართველობა განახევრდა

**დელიში** ფიდეს მსოფლიოს პირველობაზე პირველი რაუნდი თითქმის დასრულდა. ამ წერილის წერისას მეორე რაუნდში გასული სულ ათიოდე მოჭადრაკის ვინაობა იყო დასადგენი. პირველი რაუნდის სრულ მიმოხილვას ხვალინდელ „სარბიელში“ შემოგთავაზებთ, ამჟამად კი იმას გაუწყებთ, რომ არც ერთ ქართველ მანდილოსანს პირველ რაუნდში ტაი-ბრეიკი არ დასჭირვებია.

დიდი მოულოდნელობა იყო ნინო ხურციძის მარცხი. მას ამერიკელმა ანა ზანმა ორივე პარტია მოუგო. ხურციძე ალბათ სტამბოლის ოლიმპიადამ გადაქანცა და ესეც ერთი საბუთი პროტესტანტთა სასარგებლოდ, ოლიმპიადისა და ჩემპიონატს შორის მცირე ინტერვალის გამო რომ ბუზღუნებდნენ.

დელიში მეტი სენსაცია ჩინელი ჟუ ჩენის წაგება გახლდათ. რეიტინგით მეორე ჩინელი რუსულძირიანმა ამერიკელმა, ირინა კრუშმა გააწბილა. 16 წლის ექსოდესელი რიგიანად ირჯებოდა სტამბოლში და ყოჩაღობს დელიშიც, რაც, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ჩემპიონობის ფავორიტია, მაგრამ სამომავლოდ ხმამაღალი განცხადება კი გააკეთა.

წააგეს სხვა ქართველებმაც: ნონა გაფრინდაშვილმა და ლელა ჯავახიშვილმა ქართველთავე მიზეზით, ნინო გურიელმა და სოფო ტყეშელაშვილმა უცხოტომელებთან. გაფრინდაშვილს ინგა ხურცილავამ ორივე პარტია მოუგო, ჯავახიშვილს გერმანიის სახელით მოთამაშე ქეთევან კახიანი-გერშინსკამ პირველი მოუგო და მეორეში ყაიმს დააჯერა. გურიელს უცნობი სამხრეთაფრიკელი მარანი მეიერი მოერია, ხოლო ტყეშელაშვილს დიდად სერიოზული მეტოქე ჰყავდა, იუგოსლავი ალისა მარიჩი და მხოლოდ ერთ ყაიმს გამორჩა.

კაცებშიც იყო პატარ-პატარა სიურპრიზები. ჯერ ჭაბუკია უკრაინელი რუსლან პონომარიოვი და მისი მეტოქე ვიეტნამელი დაო თხენ ხაიც დიდოსტატებში ითვლება, მაგრამ პირველის წარმატებას ბევრად უფრო ელოდნენ. არაფერი მსგავსი — ვიეტნამელმა მომავალ მსოფლიოს ჩემპიონად მონათლულ სლავ ტალანტს, რომ იტყვიან, „გადაურბინა“. ერთობ გასაკვირი გახლდათ ჟოელ ლოტიეს გავარდნაც: ფრანგი ლონდონში კრამნიკის სეკუნდანტი იყო, ეს კი ცოტას არ ნიშნავს.

მეორე წრეში ზურაბ აზმაიფარაშვილის მეტოქე უკრაინელი ვლადიმირ ბაკლანი იქნება ან ხორვატი ივან ზაია, მაგრამ რომელი, ჯერ ვერ გეტყვით. პირველ წრეში მათ ისე გაუტკბათ ყაიმები, ხუთი პარტიის განმავლობაში ერთმანეთს გასალები ვერ მოარგეს.

**დავით გულუა**

## ხელბურთი

# ცოტა გოლი და ბევრი სენსაცია

**მესამე** ტურის მატჩებით დასრულდა ვაჟ ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის პირველი წრე. ეს ტური განსაკუთრებით ცხარე და ამდენად ყველაზე მწირგოლიანიც გამოდგა. რამდენიმე შეხვედრაში მოულოდნელი შედეგი აღინიშნა.

უმთავრესი სენსაცია, ცხადია, ევროპის საკლუბო ჩემპიონისა და მიმდინარე გათამაშების უპირველესი ფავორიტის, ესპანური „პორტლენდ სან-ანტონიოს“ მარცხი გახდა. ნორვეგიულმა „სანდფიორდმა“ საკუთარ მოედანზე აშკარად დაჯაბნა ბევრად უფრო სახელოვანი მეტოქე, უკვე პირველ ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა ხუთი ბურთით გამოიხატა — 16:11. მართალია, შესვენების შემდეგ სტუმრები ოდნავ გამოფხიზლდნენ, მაგრამ სხვაობის შემცირებაც კი ვერაფრით მოახერხეს. მასპინძელთაგან რვა გოლით ბენტსონი იყო საუკეთესო, ხოლო ესპანელები — გარალდა და ამბროსიო მხოლოდ ხუთ-ხუთჯერ შეეწივნენ თავისიანებს.

ყველაზე დიდი ინტერესი „B“ ჯგუფის ლიდერების „დუნაფერისა“ და „ბარსელონას“ შეხვედრამ გამოიწვია. უნგრეთის ქალაქ დუნაივაროშში 4500 ქომაგის მხურვალე მხარდაჭერის მიუხედავად, მასპინძლებმა მხოლოდ ფრეს მიაღწიეს.

„C“ ჯგუფში რეიტინგით ყველაზე მაღლა მდგომმა „კილმა“ აუტსაიდერ „პალამანოსთან“ სტარტზე ქულის დაკარგვის შემდეგ მომდევნო ორივე მატჩი მოიგო, ამჯერად სტუმრად, უმთავრეს კონკურენტთან და, შეიძლება ითქვას, თავი უკვე ქუდში აქვს. დანიის ჩემპიონმა კი მეორე მარცხით მკვეთრად გაიუარესა შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი.

ყველაზე მშვიდი ბრძოლა იყო პირველ ჯგუფში — მასპინძლებმა ორივე თამაში დამაჯერებლად გაიმარჯვეს.

მეორე წრე მომავალ უქმეებზე დაიწყება.

**A ჯგუფი:** „პივოვარნა“ (სლოვენია) — „ბადელი“ (ხორვატია) — 29:26; „რედბერგსლიდსი“ (შვედეთი) — „ანკარა“ (თურქეთი) — 25:21

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 3 | 0 | 0 | 98:68 | 6 |
| ბადელი | 2 | 0 | 1 | 78:78 | 4 |
| რედბერგსლიდსი | 1 | 0 | 2 | 65:83 | 2 |
| ანკარა | 0 | 0 | 3 | 72:84 | 0 |

**B ჯგუფი:** „დუნაფერი“ (უნგრეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) — 22:22; „მონპელიე“ (საფრანგეთი) — „გდანსკი“ (პოლონეთი) — 25:23

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 2 | 1 | 0 | 74:68 | 5 |
| ბარსელონა | 1 | 2 | 0 | 78:69 | 4 |
| მონპელიე | 1 | 1 | 1 | 75:75 | 3 |
| გდანსკი | 0 | 0 | 3 | 66:81 | 0 |

**C ჯგუფი:** „გოგ გუდმე“ (დანია) — „კილი“ (გერმანია) — 22:23; „პალამანო“ (იტალია) — „ბრაგა“ (პორტუგალია) — 27:28

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კილი | 2 | 1 | 0 | 81:67 | 5 |
| ბრაგა | 2 | 0 | 1 | 71:82 | 4 |
| გოგ გუდმე | 1 | 0 | 2 | 75:73 | 2 |
| პალამანო | 0 | 1 | 2 | 79:84 | 1 |

**D ჯგუფი:** „სანდფიორდი“ (ნორვეგია) — „პორტლენდ სან-ანტონიო“ (ესპანეთი) — 25:20; „ბანიკი“ (ჩეხეთი) — „ლოვჩენი“ (იუგოსლავია) — 29:29

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სანდფიორდი | 2 | 0 | 1 | 74:70 | 4 |
| პორტლენდი | 2 | 0 | 1 | 78:77 | 4 |
| ლოვჩენი | 1 | 1 | 1 | 76:76 | 3 |
| ბანიკი | 0 | 1 | 2 | 84:89 | 1 |

# ყველაფერი ძველებურად: პრეზიდენტები რჩებიან

**ამ დღეებში** სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზს მოცლა არა აქვს — სხვა სახის ღონისძიებებს რომ თავი დავანებოთ, იქ ზედიზედ იმართება ფედერაციების საანგარიშო-საარჩევნო ყრილობები. გუშინ ეს საქმე შედარებით უდავიდარაბოდ ტანვარჯიშულ სახეობათა ფედერაციამ მოითავა. შედარებით უდავიდარაბოდ, რადგან პრეზიდენტობას ომარ ლონლაძეს, ძველ ხელმძღვანელს, სახელოვანი ტანმოვარჯიშე პაატა შამუგია ეცილებოდა, თუმცა უშუალოდ ყრილობის მსვლელობისას მან კანდიდატურა მოხსნა. ლონლაძემაც იოლად შეინარჩუნა პოსტი (ფუტბოლისტი დილარ ხაბულიანის მსგავსად, მესამედ). ვიცე-პრეზიდენტად თომზა ცომაია აირჩიეს, გენერალურ მდივნად — თავფრიდ გვეტაძე. ყრილობის უმეტესი ნაწილი დღევანდელ გაჭირვებულ ყოფაზე საუბარს და სამომავლო პერსპექტივის ძიებას დაეთმო. ყრილობამ ფედერაციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და დაამტკიცა აღმასკომის შემადგენლობა.

გუშინვე მსგავსი ყრილობა გაიმართა საწყალოსნო სახეობათა ფედერაციაშიც, ოღონდ დეპარტამენტის ნაცვლად — „ლაგუნა-ვერეზე“. დასამალი არავისთვისაა, რომ ეს ფედერაცია ყველაზე მეტად არის დაქსაქსული. მის შემადგენლობაში ოთხი სახეობა შედის — წყალბურთი, ცურვა, წყალში ხტომა და სინქრონული ცურვა. არსებულ ხელმძღვანელობის ყველა აქტიური მოწინააღმდეგეები წყალბურთელები იყვნენ. როგორც ჩანს, თვითონაც რამდენიმე ჯგუფად დაყოფილმა ამ სამყარომ გაერთიანება ვერც ყრილობისთვის მოახერხა. ყოველ შემთხვევაში, გუშინ ოპოზიციონერთაგან იქ არავინ გვინახავს, მათთან არ გვისაუბრია და ვერ გეტყვით, ეს ბოიკოტი იყო თუ უბრალოდ, გულგრილობა, ძველ პრეზიდენტ ვლადიმერ გოიაშვილს კი არჩევნებში არავინ დაპირისპირებია და, ცხადია, არც გამარჯვება გასჭირვებია. გენერალური მდივნის პოსტი გივი ცქიტიშვილმა შეინარჩუნა. ვიცე-პრეზიდენტებად ვლადიმერ კვარაცხელია, ცისანა მჭედლიძე და ნოდარ კურტანიძე აირჩიეს 15-კაციან აღმასკომთან ერთად. ფედერაციის მუშაობა, ტრადიციულად, დამაკმაყოფილებლად შეფასდა.

**ირაკლი თავაძე**

## ჰოკეი

# ლინდროსი მოდის და მიდის, იაგრი — ვნახოთ

28 ნოემბერი

**სან ხოსე — მინესოტა 4:1**

0:1 2:0 2:0

0:1 ბენიშეკი 19'51 (1); 1:1 გრენატო 28'05 (2); 2:1 დამფუსი 29'51 (5); 3:1 ფრიზენი 54'47 (6); 4:1 ნოლანი 57'50 (6)

**ოტავა — ბუფალო 3:1**

1:1 1:0 1:0

0:1 გრეტონი 5'34 (7); 1:1 მაკიკერნი 8'44 (5); 2:1 იაშინი 39'44 (7); 3:1 მაკიკერნი 59'52 (6)

**ნეშვილი — კალგარი 6:1**

4:0 0:1 2:0

1:0 ჩიზარი 6'32 (1); 2:0 იაჩმენევი 9'51 (8); 3:0 რონინგი 14'53 (9); 4:0 რ. რობიტაილი 19'50 (4); 4:1 უიმერი 23'12 (6); 5:1 გ. ჯონსონი 40'51 (3); 6:1 პელტონენი 54'37 (2)

**ვანკუვერი — მონრეალი 4:1**

1:0 2:0 1:1

1:0 დ. სედინი 9'50 (9); 2:0 ოლუნდი 22'30 (2); 3:0 ბერტუცი 23'46 (8); 3:1 პაველიდო 41'43 (1); 4:1 ნესლუნდი 53'15 (13)

**ბოსტონი — პიტსბურგი 3:1**

0:1 2:0 1:0

0:1 კრავჩუკი 18'41 (5); 1:1 კოვალენკო 24'22 (8); 2:1 ელისონი 27'50 (12); 3:1 გერინი 59'45 (16)

**რეინჯერსი — ლოს ანჯელესი 7:6**

3:3 4:2 0:1

1:0 ტეილორი 5'50 (21); 2:0 იორკი 6'43 (5); 3:0 ნედვედი 6'56 (6); 3:1 პალფი 12'08 (15); 3:2 რაინპრეხტი 14'23 (7); 3:3 პალფი 17'13 (16); 4:3 ფლერი 23'40 (17); 4:4 ბელანჟე 26'45 (3); 5:4 იორკი 27'45 (6); 6:4 გრეივსი 29'26 (5); 6:5 მ. ჯონსონი 51'50 (2); 7:5 მალჰოტრა 33'33 (1); 7:6 პალფი 51'55 (17)

ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერიკ ლინდროსის ფილადელფიური ხანა დამთავრდა. სულ ორი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ექიმებმა ფორვარდს ყინულზე დაბრუნების ნება დართეს და აი, გუშინ ლინდროსმა სენსაციური განცხადება გააკეთა. „მე მართლა ძალიან მინდა ტორონტოში თამაში. ეს დიდებული გუნდია და იქ გადასვლა ამ სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი იქნება“ — თქვა ერიკმა პირველი ვარჯიშის დროს. ასე რომ, სულ მალე, ალბათ, დიდი გაცვლის მოწმენი გავხდებით. როგორც ჩანს, ამ გარემოებას უკვე შეეგუა ლინდროსის მთავარი მტერი, „მფრინავთა“ გენერალური მენეჯერი ბობი კლარკი. მართალია, მან უარყო ინფორმაცია ტორონტოსთან მოლაპარაკების დაწყების თაობაზე, მაგრამ განაცხადა, ერიკს სხვა გუნდში გადასვლას ვერ დავუშლიო.

ამ სიახლემ სრულიად დაჩრდილა დღის სხვა მოვლენები, მათ შორის რეინჯერსისა და ლოს ანჯელესის უაღრესად საინტერესო შეხვედრა, რომელიც ჯერჯერობით ყველაზე შედეგიანია წლეულს. პირველივე 34 წუთში მეტოქეებმა 12 გოლი გაიტანეს და მერეც ღია, შემტევი ჰოკეი ითამაშეს. იერიშებში გართული რეინჯერსი სცოდავდა და მეტოქეს ხშირად აძლევდა გამორჩევის შანსს, მაგრამ მეკარე მაიკ რიხტერმა დარჩენილ დროში სტუმრები მხოლოდ ერთხელ გაახარა. ჩემპიონატის მთავარმა სნაიპერებმა — ზიგმუნდ პალფიმ (კარიერაში მე-9 ჰეთ-ტრიქი) და ტეო ფლერიმ თავიანთი მარაგი 17 შაიბამდე გაზარდეს, ამას ლოსანჯელესელის 21 პასიც დაემატა და იგი 38 ქულით ბომბარდირთა შორისაც დამაჯერებლად ლიდერობს.

პალფის პირველობა მით უფრო თვალსაჩინოა, რომ სლოვაკი უკვე 13 ქულით უსწრებს იარომირ იაგრს. პიტსბურგის ლიდერს მეოთხე მატჩია, უიღბლობა სდევს თან, 25 (13+12) ქულისთვის ვერაფერი შეუმატებია. „აღარ ვიცი, რა ვიღონო. როცა მე მკეტავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ გუნდს ხელ-ფეხი აქვს შეკრული. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, დავასრულებ კიდეც კარიერას“ — თქვა ჩეხმა და თავის წარუმატებლობაში კვლავ თანაგუნდელები დაადანაშაულა. ასეა თუ ისე, როცა იაგრს ვერ გააქვს, პიტსბურგსაც არ ულხინს და ბოსტონმაც ამით ისარგებლა. „დათვების“ რიგებში კვლავ გამოირჩა ედმონტონიდან გადასული ბილ გერინი (2 გოლი), რომელმაც უცებ გამონახა საერთო ენა პარტნიორებთან.

ნეშვილმა საკლუბო რეკორდი (ერთ მატჩში 7 გოლი) ხომ დაამყარა, ახლა ლამის გაიმეორა კიდეც. ამჯერად „მტაცებლებმა“ კალგარი იმსხვერპლეს. სკოტ უოკერმა 3 პასი მიითვალა, აქედან ერთი ვიტალი იაჩმენევმა უმცირესობაში გოლად აქცია.

ვანკუვერი კი თანდათან შვედური გუნდი ხდება. კაპიტან მათს ნესლუნდს (1+1) მისი ახალბედა თანამემამულეები, ტყუპი სედინებიც კარგად ეხმარებიან. ერთ-ერთი ძმა, დანიელი, 9 გოლით დებიუტანტთა შორის დაწინაურდა, კიდევ ერთი შაიბა ანაჰაიმის კარში კი გამოჯანმრთელებულმა მატიას ოლუნდმა მიითვალა.

ოტავამ შონ მაკიკერნისა (2+1) და რადეკ ბონკის (2 პასი და 9 ქულა 6 მატჩში) კვლავ გამოძებნა გზა ბუფალოელი დომინიკ ჰაშეკის კარისკენ.

სან ხოსე და სენტ ლუისი კი კვლავ ის ორადორი გუნდია, ჯერჯერობით ზედიზედ ორჯერ რომ არ წაუგიათ. სტივ შილდსმა, რომელსაც ჩინებულად მოთამაშე დებიუტანტი ევგენი ნაბოკოვი ყინულზე გასვლის შანსს იშვიათად აძლევს, ამჯერად პარტნიორები არ დაალალატა და 27 დარტყმა მოიგერია.

**სამველ ლარიბიანი**



ლოსანჯელესელმა ნელსონ ემერსონმა (7) მატჩის მიწურულს რეინჯერსელთა მეკარე მარკ რიხტერს ვერაფერი დააკლო

### სატურნირო ვითარება

**ჩრდილო - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 24 | 13 | 4 | 0 | 7 | 77:58 | 30 |
| ტორონტო | 23 | 12 | 3 | 1 | 7 | 65:47 | 28 |
| ბუფალო | 22 | 12 | 2 | 1 | 7 | 60:53 | 27 |
| ბოსტონი | 24 | 8 | 3 | 2 | 11 | 59:85 | 21 |
| მონრეალი | 24 | 7 | 2 | 0 | 15 | 61:76 | 16 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 24 | 13 | 0 | 0 | 11 | 83:77 | 26 |
| პიტსბურგი | 23 | 11 | 3 | 1 | 8 | 65:61 | 26 |
| ნიუ ჯერსი | 22 | 11 | 3 | 0 | 8 | 77:60 | 25 |
| ფილადელფია | 23 | 10 | 4 | 0 | 9 | 57:61 | 24 |
| აილენდერსი | 22 | 7 | 2 | 2 | 11 | 52:64 | 18 |

**სამხრეთ - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 22 | 8 | 3 | 1 | 10 | 54:66 | 20 |
| ტამპა | 22 | 8 | 2 | 2 | 10 | 67:81 | 20 |
| ვაშინგტონი | 23 | 6 | 6 | 1 | 10 | 53:66 | 19 |
| ატლანტა | 21 | 5 | 6 | 1 | 9 | 52:66 | 17 |
| ფლორიდა | 21 | 5 | 4 | 3 | 9 | 45:56 | 17 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 22 | 15 | 3 | 0 | 4 | 71:39 | 33 |
| დეტროიტი | 25 | 14 | 1 | 2 | 8 | 77:67 | 31 |
| ნეშვილი | 24 | 9 | 5 | 1 | 9 | 58:61 | 24 |
| ჩიკაგო | 24 | 8 | 2 | 2 | 12 | 62:74 | 20 |
| კოლუმბუსი | 24 | 7 | 1 | 1 | 15 | 46:77 | 16 |

**ჩრდილო - დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 23 | 16 | 3 | 0 | 4 | 73:48 | 35 |
| ედმონტონი | 26 | 14 | 3 | 0 | 9 | 76:67 | 31 |
| ვანკუვერი | 25 | 13 | 3 | 2 | 7 | 85:69 | 31 |
| მინესოტა | 25 | 7 | 4 | 1 | 13 | 52:66 | 19 |
| კალგარი | 26 | 5 | 5 | 4 | 12 | 53:75 | 19 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 21 | 14 | 2 | 0 | 5 | 62:44 | 30 |
| დალასი | 22 | 13 | 3 | 1 | 5 | 60:42 | 30 |
| ფინიქსი | 24 | 12 | 6 | 0 | 6 | 67:56 | 30 |
| ლოს ანჯელესი | 25 | 11 | 6 | 0 | 8 | 88:75 | 28 |
| ანაჰაიმი | 26 | 8 | 4 | 2 | 12 | 66:86 | 22 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS სანდერლენდთან

# წააგეთ, სერ!

**ასეც ხდება ხოლმე: „სანდერლენდმა" ლიგის თასიდან გააგდო „მანჩესტერ იუნაიტედი". სათქმელია, რომ „სანდერლენდს" ლიგის თასი მეტად სჭირდება, თითქმის ისე, როგორც „იუნაიტედს" ჩემპიონთა თასი. თუმცა ალისფერთა თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი მაინც ბობოქრობს, თამაში თამაშია, წაგება კიდევ წაგება.**





# ამერიკული წამები

ამერიკის საუნივერსიტეტო კალათბურთის შეჯიბრში დიუკის სტუდენტებმა ილინოისის სტუდენტებს სძლიეს 78-77 და ამას თავიანთ ლიდერს — შეინ ბეტიეს უნდა უმადლოდნენ. ამიტომაც გამომხტარა ეშმაკუნად გადაცმული დიუკელი ქომაგი და აცხადებს: არც გორი, არც ბუში, აირჩიეთ ბეტიე.

ენბიეში კი სხვა გაქანების ვნებანი ტრიალებს. მინესოტელი ტერელ ბრენდონი (ჰაერში) და ჩიკაგოელი დრაგან ტარლაჩი ერთი შეხედვით ჰოკეისტები გეგონებიან და არა კალათბურთელები.






# გზანი კრიკეტისანი

გუშინაც გამცნობდით, რომ ახალ დროი
ინდოეთის ერთ-ერთ სიწმინდეს, კრიკეტ
უბედურება ემუქრება. ეროვნული ნაკრების
კაპიტან მოჰამად აზარუდინს (მარცხნივ) და
კიდევ ოთხ მოთამაშეს თამაშების ჩაწყობაში
ედებოდათ ბრალი და სასამართლომ ეს ბრალი
დანაშაულად გარდასახა. ახლა აზარუდინ
კრიკეტის ეროვნული საბჭოს დისციპლინარულ
კომიტეტშია დაბარებული. ეს ფოტოც მისი
დელიში ჩასვლისასაა გადაღებული
მეზობელ და კრიკეტშიაც მოქიშპე პაკისტანში
კი, სადაც ეს თამაშობა ასევე წმინდა რამ არის
სასამართლოს ხმაური არ ისმის. დიდ
მოკრიკეტეს, ვაზიმ აკრამს (შუაში) მეას
სანაკრებო ტესტი მოულევია და გუნდი
მწვრთნელ ჯავედ მიანდასა (მარცხნივ) და
კაპიტან მოინ ხანს (მარჯვნივ) მისთვის ა
ღირსების აღმნიშვნელი ოქროს ფირფიტ
გადაუციათ. აკრამი მესამე კაცია პაკისტანურ
რიკეტაფელობის ისტორიაში, ასიანი ნიშნისთვის
რომ უწევია. ის ორნი კი მიანდადი და სალი
მალიქი გახლავან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge